ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

9 სექტემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული დეტექტივი

დანაშაული ალარ მოხდება ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



13 — 14 სექტემბერი, 2014 №217 (6528) ფასი: 30 თეთრი

„ნაციონალებმა ბიძინა ივანიშვილს მინისტრებზე სკანდალური ვიდეოები მიაწოდეს“

გვ.3

„ჩაიწერეს, რას აკეთებდნენ მისი გუნდის წევრები კაბინეტებში, ვის მიჰყავდა საყვარელი უცხოეთში და ა.შ. ამ ჩანაწერების ნახვის შემდეგ ივანიშვილმა ეს ხალხი ისევ თანამდებობებზე დატოვა. ამის შემდეგ მისი საუბარი ოჯახის სიწმინდეზე არის ბლეფი. ისევე, როგორც ბლეფია მისი რელიგიურობა".

უსუფაშვილისათვის დემოკრატია ნაცმოძრაობის შენარჩუნება ყოფილა

გვ.6

„საქართველოში წამლების ხარისხი არ კონტროლდება“

გვ.2

„ადამიანები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას, წამლებს იღებენ მეზობლების, მეგობრების რჩევით, რაც, დაგეთანხმებით, უსერიოზულესი პრობლემაა, რასაც ბევრი ვერ აცნობიერებს. ამიტომ რეცეპტი არის დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი.

ISSN 1987-9385

ანი მიროტაძე: „მე მხარს ვუჭერ გიორგი მარგველაშვილს“

გვ.5

„პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ იქნება“

გვ.3

ირაკლი სესიაშვილი: „სევდია უგრეხელიძეს ვურჩევ, სჯობდა, პირველ რიგში, პასუხისმგებლობით მოკიდებოდა თავის საქმიანობას. სჯობს თავის საქმიანობაზე ისაუბროს. ჯარში ნორმალური ვითარებაა".

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

„საქართველოში ნამლების ხარისხი არ კონტროლდება“

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ ნამლის სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელ გიორგი ბარამიძესთან

– ბატონო გიორგი, რეცეპტის ინსტიტუტის აღდგენის მცდელობა თავიდანვე პრობლემებით დაიწყო. ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღეა, ახალი რეგულაცია ამოქმედდა და ჯანდაცვის სამინისტროს უკვე კორექტირება შეაქვს. როგორ ფიქრობთ, დასაწყისშივე შეცდომა იქნა დაშვებული?

– თუ დააკვირდებით, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი ხდება. ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით შვიდასამდე დასახელების მედიკამენტი ისევ რეცეპტის გარეშე გაიყიდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავიდანვე იყო შეცდომა დაშვებული ანუ სამინისტრომ შეცდომა დაუშვა იმაში, რომ ეს პროცესი არ დაიწყო ეტაპობრივად.

– ე.წ. შავი ბაზრის ამოქმედებაზეც არის უკვე საუბარი.

– ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე სულ სხვა რამესთან გვაქვს. ჩვენ, რომ ვეძახით ფარმაცევტულ კომპანიებს, ისინი არ არიან ფარმაცევტული კომპანიები, არც თავისი არსით და არც არსებითად, ისინი არიან სადისტრიბუციო კომპანიები, რომლებიც ყიდულობენ და ყიდიან. მათ გარეშე ვერც ვერავინ შემოიტანს წამალს და ვერც ვერავინ გაიტანს. ამიტომ შავსაც და თეთრ ბაზარსაც ესენი აკონტროლებენ. თუ მათ პრობლემა შეექმნათ წამლების რეალიზაციის მხრივ, ისინი აუცილებლად შექმნიან შავ ბაზარს, რისი ნიშნებიც უკვე არსებობს. თავიანთი ბაზებიდან, თუ უნდათ, აფთიაქში შეიტანენ წამალს და, თუ უნდათ, შავ ბაზარსაც მიაწვდიან. შავი ბაზარი იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაც წავა და უცხოეთიდან შემოიტანს წამალს, ეს წამლები არის ფარმაცევტული კომპანიების მიერ შემოტანილი.

– რეცეპტით მედიკამენტების გაყიდვას თავისი დადებითი მხარეებიც გააჩნია, თუნდაც თვითმკურნალობის ტენდენციის აღმოფხვრა, საფთიაქო ნარკომანია და ასე შემდეგ.

– ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა. ადამიანები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას, წამლებს იღებენ მეზობლების, მეგობრების რჩევით, რაც, დაგეთანხმებით, უსერიოზულესი პრობლემაა, რასაც ბევრი ვერ აცნობიერებს. ამიტომ რეცეპტი არის ერთ-ერთი დაცვის მექანიზმი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი თუმცა, უმჯობესი იქნებოდა, რომ დაწყებულიყო ნელა და ეტაპობრივად. როდესაც დაიწყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, პირველი ეტაპი იყო, რომ პირველ რიგში ის ადამიანები აეყვანათ პროგრამაში რომლებიც არ იყვნენ დაზღვეულები, მეორე ეტაპი იყო გეგმური დაავადებები, აქ არის შეცდომა დაშვებული, თუ ადამიანები მიდიან პოლიკლინიკაში, მათ არანაირი გადასახადი არ აქვთ ანუ პირველადი ჯანდაცვა მთლიანად დაფინანსდა, მაგრამ თუ ადამიანი მიდის ოჯახის ექიმთან, მას აგზავნიან სპეციალისტთან და მას სპეციალისტის მომსახურება არ უნდა უჯდებოდეს გარკვეული თანხები ანუ, ჩემი აზრით, პროფილაქტიკა და პირველადი ჯანდაცვა უნდა იყოს უფასო. ამ შემთხვევაში რეცეპტი ამუშავდება მთელი სერიოზულობით.

– ანუ ამ შემთხვევაში საყოველთაო დაზღვევაც არაეფექტურია?

– ამ შემთხვევაში არ იმუშავებს ეფექტურად მანამ, სანამ პირველადი ჯანდაცვა არ იქნება დაფინანსებული საყოველთაო ჯანდაცვაში.

– მედიკამენტების ფასებს რაც შეეხება, ეს საკითხი კიდევ პრობლემად რჩება, ხელისუფლების არაერთი დაპირებისა, რომ ეს საკითხი გადაიხედებოდა, დღემდე არაფერი შეცვლილა..

– დისტრიბუტორი რაც მეტად გაყიდის წამალს, მისთვის მეტი მოგებაა, ამ შემთხვევაში ხდება ფასების მატება. სამწუხაროდ, ამას არავინ აკონტროლებს, თუ სახელმწიფომ არ დააწესა რაღაც ზღვარი, ეს პრობლემა მუდმივად იარსებებს და ურო და უფრო გართულდება. მაგალითად, ევროპაში წამლის ფასს არეგულირებს სახელმწიფო და არავითარ შემთხვევაში ეს არ ითვლება კერძო ბიზნესში ჩარევაში. ეს არ არის ის საქმიანობა, რომ სუფთა ბიზნესი, ეს არის მსოფლიოში დადგენილი, რომ აქ უნდა ერეოდეს სახელმწიფო, რადგანაც საქმე გვაქვს ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან. სამწუხაროდ, დისტრიბუტორი კომპანიები საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენენ ფასებს წამლებზე, ფასს უმატებენ სეზონების, დაავადებების მიხედვით და ასე შემდეგ.

– რატომ არ ხდება ამ ყველაფრის რეგულირება, სახელმწიფოს რაიმე ინტერესი აქვს?

– ადრე იყო გარკვეული კორუფციული გარიგებები მაგრამ, არა მგონია, ახლა მსგავსი რამ ხდებოდეს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ სახელმწიფო აპელირებას აკეთებს იმაზე, რომ ამ სფეროში ბევრი ხალხია დასაქმებული, და გარკვეული შიში არსებობს იმისა, რომ პროცესების დაწყებით შესაძლოა უმუშევართა მთელი არმია მიიღო, მაგრამ არის ბევრი გამოსავალი თუნდაც ის, რომ შეუძლია თავად სახელმწიფომ შემოიტანოს წამლები, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ სახელმწიფოს ამაში ჩარევა არ უნდა, რატომ არ უნდა, ჩემთვის გაუგებარია, შესაძლოა, კვლავ ამოქმედდა ძველი გარიგებები და ეს ყველაფერი მოსახლეობას ძალიან მძიმე ტვირთად აწევს.

– ფასის გარდა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მედიკამენტების ხარისხი. აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს საქართველოში რეალიზებული მედიკამენტები თუ აქაც გარღვევა გვაქვს?

– ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგანაც საქართველოში ხარისხის ლაბორატორია არ არსებობს, შესაბამისაც მედიკამენტების ხარისხის გაკონტროლებაც ძალიან ძნელია. არის მხოლოდ კონტროლის ერთი მექანიზმი, თუ წამალი არის ევროპაში დარეგისტრირებული, აქვს იქ გავლილი ლაბორატორია, ამ შემთხვევაში უნდა ვენდოთ, სხვა ქვეყნებზე ცოტა რთულია ამის ნდობა, თუმცა არც იმას გამოგრიცხავ, რომ ევროპაშიც ხდებოდეს ვადაგასული წამლების გადაფუთვა, ამასაც გაკონტროლება უნდა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რაც, სამწუხაროდ, არ კონტროლდება სახელმწიფოს მხრიდან. ამ ყველაფერს შესწავლა უნდა, ამ სფეროში მომუშავე კომპანიები საქმიანობით სახელმწიფოს ბევრად ასწრებენ, უფრო ძლიერი სტრუქტურები აქვთ, ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლობები, ისინი კომპლექსურად მუშაობენ და ამიტომაც მათ წინააღმდეგ უძლურია სახელმწიფო, აქ უფრო სხვა მუშაობაა საჭირო.

– თქვენ სწორედ ამ სფეროში მუშაობდით. არ ჰქონია სახელმწიფოს ამ პრობლემებზე მუშაობის მცდელობა?

– როდესაც მე ვმუშაობდი ამ სფეროში, მქონდა ამის მცდელობა, მაგრამ ამუშავდა ჩემ წინააღმდეგ მთელი სახელმწიფო მანქანა და იძულებული გამხადეს, სამსახურიდან წამოვსულიყავი. არიან ადამიანები, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებიან, ისინი მუშაობენ პარლამენტში, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, ჯანდაცვის სამინისტროში, რომლებიც ამ პროცესების დაწყებას ხელს უშლიან. მთელი ქსელია, რომლებიც მუდმივად ჯობნიან ცალკეულ ადამიანებს რომლებიც ამ თემით ინტერესდებიან. ამიტომაც თავად სახელმწიფომ უნდა გამოთქვას ამის სურვილი და არა ერთმა ადამიანმა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ჯანდაცვის მინისტრს გაუჭირდება, რადგანაც მას გვერდით უნდა დაუდგეს საკანონმდებლო ორგანო, პრემიერი და ასე შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო სერგეენკოს ისინი შეიწირავენ.

– რა დონემდე მივიდა თქვენი ეს მცდელობა, ეს იყო მხოლოდ ინიციატივის დონეზე თუ გარკვეული სამუშაოები ჩაატარეთ?

– კონკრეტული ქმედებები იყო. ამოვიღეთ რამდენიმე დასახელების წამალი, ასევე დავიწყეთ წამლის ფასების შედარება, მაგალითად, ერ|თი და იმავე დასახელების წამალი რომელიც ჩვენთან ღირდა ათი ლარი, სომხეთსა და აზერბაიჯანში ღირდა სამჯერ ნაკლები. დავიწყეთ ამ ყველაფრის შესწავლა, ასევე დავიწყეთ ინდოეთიდან შემოტანილი წამლების ხარისხის შესწავლა, თუ სად რა პირობებში და ვის მიერ ხდებოდა ამ წამლების დამზადება, შეიქმნა კომისია და ასე შემდეგ, მაგრამ, როგორც კი დავიწყეთ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა დაგვედგინა, თუ რა ხდება საქართველოში წამლის ბიზნესში, ამან მოგვცა საბოლოოდ ის შედეგი, რომ ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფერს ვაკეთებდით, სამსახურიდან გაგვიშვეს. სამწუხაროდ, ჩვენი ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა, თუმცა, მე მინდა მოვუწოდო ჯანდაცვის მინისტრს და ყველა კომპეტენტურ ორგანოს, სახელმწიფომ გამოთქვას მზადყოფნა, რათა ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს.

ილია მეორე: „საქართველოში 300-ზე მეტი მეჩეთია და, სამწუხაროდ, თურქეთში არც ერთი ქართული სალოცავი არ მოქმედებს“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, გუშინ, სატრიარქოში, თურქეთის რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მეჰმედ გორმეზს შეხვდა.

გორმეზმა ილია მეორეს მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში მისი პირველი ვიზიტი და უწმინდესთან შეხვედრა მეგობრობის გამტკიცებას ხელს შეუწყობს.

თურქეთის რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ ის იმედოვნებს, ორი ქვეყნის ხელისუფლების შეთანხმების შესაბამისად, ახალციხეში „აჰმედის“ და ბათუმში „აზიზიეს“ მეჩეთი აშენდება.

მან ასევე აღნიშნა, რომ მუსლიმან მეზობლებთან დაკავშირებით პატრიარქთან გახსენებული ბავშობის მოგონებები შთამბეჭდავია, თუმცა მისი თქმით, რეალობაში ისტორიული, კარგი ფაქტების გადმოტანა არ ხდება.

ილია მეორემ კი შეხვედრისას განაცხადა, რომ საქართველოში 300-ზე მეტი მეჩეთია და სამწუხაროდ, თურქეთში არც ერთი ქართული სალოცავი არ არის მოქმედი.

„ქართველი ადამიანები თურქეთში ჩადიან და იქნებ იყოს საშუალება იმისა, რომ იქ ქართველმა ბერებმა იმოღვაწეონ“, – ბრძანა ილია მეორემ.

ნიუსპრესი

დავით უსუფაშვილი: „სიმართლეზე მონოპოლია პრობლემას ქმნის“

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა, ოსლოში ევროპის საბჭოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეების ევროპული კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

დავით უსუფაშვილმა, ნიდერლანდების სენატის თავმჯდომარე ანკე ბროკერს-კნოლთან ერთად, თემაზე „უმრავლესობა და ოპოზიცია – ბალანსის დამყარება დემოკრატიაში“ პრეზენტაცია წარადგინა.

სიტყვით გამოსვლისას პარლამენტის თავმჯდომარემ აქცენტი სამ ძირითად მიმართულებაზე – ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის ბალანსის დაცვის, საშინაო, საერთაშორისო და ადამიანურ საკითხებზე გააკეთა.

„მჯერა, რომ არავის უჭირდება შეკითხვა, საჭიროა თუ არა ოპოზიცია, მაგრამ, როდესაც გადავხედავთ ქვეყნების გამოცდილებას, საერთო პრობლემებს ვიპოვით, თუ რატომ არ არის ეს ბალანსი დაცული. პირველ რიგში, შეუძლებელია ბალანსის მიღწევა მოცემულ საზოგადოებაში, თუ არ არის ეს ბალანსი დაცული მდიდარსა და ღარიბს, ქალსა და კაცს, შავკანიანსა და თეთრკანიანს, სოფელსა და ქალაქს შორის“, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

მისივე განცხადებით, სიმართლეზე მონოპოლია პრობლემას ქმნის.

„ეს არის ყოფილი საბჭოთა ქვეყნების დაავადება, სადაც მონოპოლია სიმართლეზე კომუნისტურ პარტიას ჰქონდა და ეს ოფიციალურად და კონსტიტუციურად იყო აღიარებული. სამწუხაროდ, ვხედებით შემთხვევებს, როდესაც სხვადასხვა იდეოლოგიის მიმდევრები ცდილობენ, ეს მონოპოლია მოიპოვონ“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ოსლოში ევროპის საბჭოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეების ევროპულ კონფერენციაში მონაწილეობს.

საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს, ნორვეგიაში ვიზიტს ხვალ დაასრულებს.

ნიუსპრესი

დავით ნარმანია „თბილისის მიკროავტობუსს“ ტარიფების გადახედვისკენ მოუწოდებს

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსს“ გუშინ ტარიფების გადახედვისკენ მოუწოდა.

როგორც ნარმანიამ კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, დედაქალაქში მსყიდველუნარიანობა დაბალია და შესაბამისად, ტარიფები მოსახლეობისთვის მისაღები და ადეკვატური უნდა იყოს.

„ჩვენი მოთხოვნა ამ კომპანიის მიმართ, ისევე როგორც სხვა კომპანიების მიმართ, რომლებსაც ჩვენ მოვუსმინეთ და მომავალშიც მოვუსმენთ, არის უცვლელი, რომ რაც შეიძლება ხარისხიანი სერვისი მიეწოდოს თბილისელებს, შემცირდეს უკმაყოფილობის დონე და სადაც ტარიფებთან დაკავშირებული საკითხების გადახედვა შესაძლებელია, მოხდეს მისი გადახედვა. დედაქალაქში მსყიდველუნარიანობა არც ისე მაღალია, ამიტომაც, ვთვლით, რომ მოსახლეობისთვის ადეკვატური და მისაღები ტარიფები უნდა იყოს“, – განაცხადა ნარმანიამ.

დავით ნარმანია კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლებს დღეს შეხვდა.

ნიუსპრესი

ახალი თვალი

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი ვოლსკი: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ იქნება“

გულიკო ბალაძე

ბოლო დღეებში საინფორმაციო სივრცეში განსაკუთრებით აქტუალური იყო მსჯელობა, გაეროში ვინ უნდა წასულიყო ვიზიტით, პრეზიდენტი, პრემიერი თუ ორივე.

საკითხი დღის წესრიგიდან ბიძინა ივანიშვილმა მოხსნა, რომელმაც განაცხადა, რომ ორი დელეგაციის წასვლა გაეროში მიზანშეუწონელი იყო, რასაც მოჰყვა პრეზიდენტის ბრიფინგი ვიზიტის ჩაშლის თაობაზე. როგორია საკანონმდებლო ორგანოს წევრების, უმრავლესობის წარმომადგენლების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ **ირაკლი სესიაშვილმა** საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალ „კვირას“ პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა, რომ ეს თემა უნდა დავასრულოთ. მისი თქმით, ჩვენ შეჩვეული ვიყავით ზომბირებულ პროცესებს, ახლა კი ჯანსაღი დამოკიდებულებაა.

– ეს თემა უნდა დავასრულოთ. ის საკითხები, რომელიც განხილული იქნება გაეროს ღონისძიებებზე, პირდაპირ კავშირშია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. საზოგადოებას გაუჩნდა შთაბეჭდილება, ხომ არ არის დაპირისპირება სახელისუფლებო შტოებს შორის. „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებას შესთავაზა გამჭვირვალე პოლიტიკის წარმოება. ამისთვის საფუძვლის ჩამყრელი თავად ბიძინა ივანიშვილი იყო. ჩვენ შეჩვეული ვიყავით ზომბირებულ პოლიტიკურ პროცესს. ახლა არის ჯანსაღი დამოკიდებულება პოლიტიკურ პროცესებში. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. უბრალოდ, გარკვეული უხერხულობა შეიქმნა. თუმცა ეს უხერხულობა, საერთო ჯამში, ხელს აძლევს ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის განვითარებას, რაც მე მიხარია. ნებისმიერ დემოკრატიულ დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი დავა და პოლიტიკური ინციდენტები არის თანმდევი. ეს იქნება ერთგვარი გაკვეთილი, რომ მსგავსი ინციდენტები თავიდან იქნება აცილებული, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

ირაკლი სესიაშვილი ამტკიცებს, რომ არავითარი დაპირისპირება პრეზიდენტსა და პრემიერს შორის არ არსებობს.

– არავითარი დაპირისპირება პრეზიდენტსა და პრემიერს შორის არ არსებობს. წარმოიქმნება რაღაც საკითხები, რაზეც განსხვავებული აზრი არსებობს. კოალიციის შიგნით, როდესაც ჩვენ კანონპროექტებს ვიხილავთ, ძალიან ხშირად მკვეთრად განსხვავებული აზრებია. ამ კოალიციის ერთ-ერთი სერიოზული უპირატესობა ისაა, რომ ჩვენ კანონპროექტებზე ვმსჯელობთ შიგნით კოალიციაში. ხანდახან აბსოლუტურად განსხვავებული აზრები გვაქვს, მაგრამ ჯანსაღი დებატების პირობებში მივდივართ იმ სასურველ პოზიციებამდე, რომელიც ქვეყნის ინტერესებში შედის. ვფიქრობ, სახელისუფლებო შტოებს შორის არავითარი დაპირისპირება არ არის.

ირაკლი სესიაშვილმა უარყო ნაციონალების ვარაუდი, პრეზიდენტის შესაძლო იმპიჩმენტის თაობაზე.

– ტყუილია. ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ხაზი გადის დესტაბილიზაციაზე. მათ ქმედებებს არავითარი საერთო არ აქვს სახელმწიფო ინტერესებთან. ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება მათ მიმართ ცნობილია. აშკარა იყო მათი ტენდენციური დამოკიდებულებაც ამ პროცესში, – აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა.

ამავე პრესკლუბში საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გიორგი ვოლსკიმ განაცხადა, რომ მარგველაშვილს ქვეყნისთვის ზიანის მიყენების არავითარი სურვილი არ ჰქონია. უბრალოდ, აჟიოტაჟური სიტუაციიდან გამომდინარე, მან ჩათვალა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს შეიძლება სერიოზული დარტყმა მიადგეს.

– მე ვიყავი პირველ მისიაში, რომელიც გაიხსნა, მათ შორის, გაეროსა და ვაშინგტონში. არსებობს დაწერილი წესები და დაუწერელი წესები და საქართველოს კონსტიტუციის ახალი მოთხოვნები. ამ ყველაფერს ერთად თუ შევაჯერებთ, გამოდის, რომ სურათი ასეთი უნდა ყოფილიყო: საქართველოს ხელისუფლება ღებულობს მოწვევას. ვის სახელზე იქნება ეს მოწვევა, იქ არის ვარიაციები. თუ საგანგებო ამოცანებია, თუ საგანგებო პარალელური ღონისძიებაა საჭირო, მაშინ პირველი პირი არის დელეგაციის ხელმძღვანელი, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესი. მისი მოადგილე შეიძლება იყოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ან ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. შეთანხმების ამბავია. ყველა ქვეყანას ერთნაირი კონსტიტუცია არ ექნება. ამიტომ გაერო მოქმედებს დადგენილი წესით და ახდენს სახელმწიფოს პირველი პირის მიწვევას საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით. ჩვენთან მოხდა ცვლილებები. საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტს აღარ აქვს ერთპიროვნული წარმოდგენის ვალდებულება. კონსტიტუცია მაინც ვალდებულებას განსაზღვრავს. აქ დამამცირებელი არაფერია. პრი-

ზიდენტი აღარ ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას, მთავრობას. ყველაფერი კონსტიტუციაში ვერ ჩაიწერება. აქ პიროვნული არაფერია. მე პირადად მშვენიერი ურთიერთობა მაქვს გიორგისთან, მშვენიერი ადამიანია. დარწმუნებული ვარ, მას არ აქვს არავითარი სურვილი დააზიანოს ქვეყანა. ვფიქრობ, უბრალოდ, აჟიოტაჟური სიტუაციიდან გამომდინარე, ჩათვალა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს სერიოზული დარტყმა შეიძლება მიადგეს, რამაც შეიძლება აზარალოს ქვეყნის კონსტიტუცია და ინტერესები. არ თვლის იმას, რომ ეს შეიძლება გადაედოს მთელ სახელმწიფოს, როგორც არეულობისა და დესტაბილიზაციის მიზეზი. სწორია. ეს არ არის ის თემა, რომელზეც შეიძლება ქვეყანა ჩამოიქცეს და მის ეკონომიკას სერიოზული ზიანი მიადგეს. ასეთი შემთხვევები მსოფლიოში არავის უკვირს. არის ასეთი შემთხვევებიც, დაპირისპირებაც, სკანდალებიც. ეს გავლენას არ ახდენს თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხოებაზე. რასაკვირველია, ძალიან არასასიამოვნოა. განსაკუთრებით საზოგადოებისთვის. რასაკვირველია, ეს მავანს ძალიან ბევრ საკვებს აძლევს პოლიტიკური სპეკულაციისას. ნაციონალურ მოძრაობას ძალიან გაუხარდა და ტაშფანდური ატეხა. ეს ტაშფანდური უნდა დამთავრდეს ქვეყანაში, რადგან უამრავი სხვა საქმეა გასაკეთებელი, – აცხადებს გიორგი ვოლსკი.

გიორგი ვოლსკის შეფასებით, ამ შემთხვევაში კონსტიტუცია არ ირღვევა.

– აქ კონსტიტუციის დარღვევასთან საქმე არ გვაქვს. კონსტიტუციაზე აპელირებას ნუ აკეთებენ. ამას უნდა მიხვდეს ტაშ-ფანდურის ხალხი. აქ არის პრაგმატული, სუფთა საქმიანი ურთიერთობა. კონსტიტუციით, თუ პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი არ არის, სჯობს მან წარმოადგინოს ქვეყანა, ვინც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია. გაეროში სხვა, პარალელური ღონისძიებებიც არის, რომელზეც სახელმწიფოები, ალბათ, მიიღებენ გადაწყვეტილებებს, რასაც სჭირდება გარკვეული ფინანსური რესურსები. აღმასრულებელი არის მთავრობა. მთავრობას პრეზიდენტი არ ხელმძღვანელობს. გამოდის, რომ იქ უნდა წავიდეს ადამიანი, რომელიც ჩამოვა და შესაბამის დავალებებს გასცემს მთავრობას. შეიძლება კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ თუ ასეა, მაშინ პრეზიდენტმა უნდა შეასრულოს, მაგრამ ეს არ არის საჭირო. აქ საჭიროა, ელემენტარულად (დაპირისპირებული პოლიტიკური გუნდებიდანაც რომ იყვნენ) ადამიანური, საქმიანი ურთიერთობები. თუ ახლა იმაზე მიდგა საქმე, ვინ გადასცდა ზღვარს ამ საქმიან ურთიერთობაში, ყველა თავის აზრს ამბობს. ამბობენ, ბიძინა ივანიშვილმა რომ განაცხადა, იმის შემდეგ დაიწყო საუბარი, ბიძინა ძალიან წონიანი ფიგურაა. არის საუბრები, ამან ის თქვა, იმან ეს თქვა. მე გადაჭარბებული და უაპელაციო განცხადებების წინააღმდეგი ვარ. ეს ჩემი უფლებაა. სანამ ის რამეს იტყოდა, მე თვითონ ვთქვი, რომ არ არის სწორი იმ შენობაში შესვლა. რომელ შენობასაც გიორგი ბოროტების ბუდეს ეძახდა. მოდით, შევეჩვიოთ იმას, რომ აღარ ვცხოვრობთ იმ საზოგადოებაში, სადაც რკინის ფარდის უკან იხილება ყველაფერი. ამ აზრთა ჭიდილში კარგიც დავინახოთ, – მიაჩნია გიორგი ვოლსკის.

– რატომ ვერ ხერხდება ამგვარი საკითხების გარკვევა კოალიციის, ხელისუფლების შიგნით?

– ვერ ხერხდება იმიტომ, რომ ქართველები ძალიან ინდივიდუალისტები ვართ. გიორგი შეიძლება რაღაცამ დაძაბა. თავიდანვე ძალიან აუგორეს არასწორად. კონსტიტუციის მიხედვით, რაღაც ცვლილებები მოხდა, რაღაც უფლებები წაართვეს. გიორგიმ თვითონ თავის თავზეც ძალიან ინტელექტუალურად გამართული შეფასება გააკეთა, როცა თქვა, მე პლასტელინი ვარო. პლასტელინი კი არა, უნდა ეთქვა, მოქნილი ვარო. გიორგი მოქნილი პოლიტიკოსია, რომელსაც თქვენ რასაც ამბობთ, ის უნდა გაეკეთებინა, მაგრამ გიორგი სიტყვა „პლასტელინზე“ წამოიგდეს. ძალიან სერიოზული სეტყვის ქვეშ მოჰყვა. როგორც თვითონ აღნიშნა, ახლა პირველი გამოცდაა. ის პოლიტიკური კარიერის პიკშია, ქვეყნის პრეზიდენტია. საკმაო უფლებები აქვს, ისევე, როგორც ისრაელისა და გერმანიის პრეზიდენტს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს სკანდალი უფრო გაბუქებულია. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვიდა ბიძინა ივანიშვილი. მე მგონი, საკმაოდ კარგ შედეგს აჩვენებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის სიმაღლიდან. მისთვისაც ეს გამოცდილება ახალია. ნუ ვიტყვით, რომ რადგან ბიძინაა, იმიტომ ამბობს ამას. ვფიქრობ, ობიექტურობაც ბევრია და სუბიექტურობაც, მაგრამ გათვლებს რაღაცაზე ახდენს და ამ სიტუაციას რაღაცისთვის იყენებს პოლიტიკურ ინტრიგებში გამოწვრთნილი ნაციონალური მოძრაობა.

– პრეზიდენტის იმპიჩმენტის თემა რამდენად აქტიურია?

– იმპიჩმენტი არ იქნება. ახლა ამ თემაზე დაძაბავენ სიტუაციას. ყველას მოვუწოდებ (ხელისუფლების რომელი შტოს წარმომადგენელიც უნდა იყოს), ყველა თემაზე აყოლა საჭირო არ არის. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, პრესას სკანდალურობა უნდა ახასიათებდეს, რადგან მედიაბაზარი ძალიან დაძაბულია. ზოგი იმაზე ღიზიანდება, რომ ხანდახან შეიძლება არაობიექტური კრიტიკაა, მაგრამ ფორმაში გვამყოფებს. არავისზე არ უნდა იყოს გაღიზიანებული, რადგან ეს არის მოცემულობა. ყველაფრის შემფასებელი ხალხია, რომელიც ამას უყურებს, – აცხადებს გიორგი ვოლსკი.

როგორც გიორგი ვოლსკი, ასევე ირაკლი სესიაშვილი კომენტარს აკეთებენ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან დაკავშირებულ სკანდალზე.

შვედეთში გამოქვეყნდა დოკუმენტები, რომ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი სააკაშვილის ძალიან ახლო მოკავშირე იყო და პიარსააგენტო „კრეაბის“ ხელმძღვანელი, რომელიც სააკაშვილისთვის მუშაობდა, სააკაშვილის მთავრობამ ერთი წლის განმავლობაში 20 მილიონი კრონი გადაურიცხა. შვედეთში გამომავალმა გაზეთმა „აფტონბლადეტმა“ „კრეაბისთვის“ საიდუმლო გადარიცხვები გამოამზეურა. კორუფციაში საგარეო საქმეთა მინისტრ კარლ ბილდტის მონაწილეობის შესახებ გამოქვეყნდა სტატიებიც.

გიორგი ვოლსკის განცხადებით, ეს არის სკანდალი.

– შვედეთის ყოფილი ელჩი საქართველოდან დაითხოვეს იმის გამო, რომ მან შეფასება მისცა ლობისტური ორგანიზაციის საქმიანობას, რომელთანაც დაკავშირებული იყო შვედეთის დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის სახელი, მაგრამ შვედეთის მთავრობა, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, კარლ ბილდტი, მათი დიპლომატიური და პოლიტიკური კორპუსი არის უაღრესად პატივსაცემი. ასეა დაწესებულებაც, ორგანიზაციაც და ქვეყანაც. შვედეთი სერიოზული გავლენის მქონე ქვეყანაა ევროსტრუქტურებშიც და „ჩრდილო ევროპული გაერთიანებაშიც“. ამ სტრუქტურებში შვედეთს აქვს განსაკუთრებული წონა. შვედეთი არის ჩვენი მოკავშირე. ყოფილი ელჩი ამბობს, რომ ბილდტი და მისი ლობისტური ორგანიზაცია მხარს უჭერდა სააკაშვილს. უამრავი თანხა აქვს გადარიცხული სააკაშვილს ამ ორგანიზაციისთვის. კარლ ბილდტს ჩემი დაცვა არ სჭირდება, მაგრამ არ არის აუცილებელი კარლ ბილდტი შევაფასოთ და ამას მიჰყვეს ხაზი, რომ ის არის რაღაც კორუფციულ სისტემაში ჩართული. შვედეთმა ძალიან კარგად იცის, როგორ შეაფასოს ის.

ამასთან დაკავშირებით თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ იგი თავის დროზე საკმაოდ მკაცრად დაუპირისპირდა ბილტს.

– თავის დროზე მე ვიყავი ძალიან უხეში. ახლა, როცა გარკვეული დოკუმენტები გამოქვეყნდა, დიდი ეჭვი მაქვს, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ კორუფციასთან. თქვენ იცით, რომ საქართველოს მთავრობამ შვედურ ლობისტურ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება მაშინ, როდესაც ბატონი ბილდტი გახლდათ ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი. ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა ხელისუფლებამ გადაუხადა 20 მილიონი. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ფაქტი, როცა შვედეთის ყოფილი ელჩი საქართველოში აცხადებს, რომ მისი სამსახურიდან დროზე ადრე დათხოვნა მოხდა სწორედ ბილდტის მოთხოვნით. ელჩმა განაცხადა, რომ ის მოულოდნელად მას შემდეგ გაიწვიეს საქართველოდან, რაც წარდგენილ ანგარიშში ჩაწერა, 2008 წლის არჩევნები შორს იყო დემოკრატიისგანო, რაც ეწინააღმდეგებოდა თავის მხრივ ბილდტის არაერთხელ გაცხადებულ პოზიციებს სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ. ასე რომ, ეს ორი ფაქტი საკმარისი საფუძველია ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ კორუფციასთან. რა თქმა უნდა, ნებისმიერ სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობის მომხრე ვართ და მაღლობას ვუხდი შვედეთის სახელმწიფოს ნებისმიერი მხარდაჭერისთვის, მაგრამ ეს ადამიანი 11-ჯერ იყო საქართველოში, რაც, ვფიქრობ, სცილდება სახელმწიფო ინტერესების სფეროს, ვიწრო ინტერესებს აჩენს და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ეჭვებს აჩენს. შვედური მედია აქტიურად აშუქებს ამ თემებს. არის სხვადასხვა პოლიტიკოსების განცხადებები, რომლებიც საუბრობენ „კრეაბთან“ ბილდტის აშკარა კავშირებზე.

ირაკლი სესიაშვილმა პასუხი გასცა სევდია უგრეხელიძის განცხადებას ჯარის შესახებ.

– სევდია უგრეხელიძემ განაცხადა, რომ ჯარში შემაშფოთებელი მდგომარეობაა. ნაციონალების დროს ნაყიდი ტანსაცმელი ჯარისკაცებს ტანზე შემოეხიათ, ჯარისკაცებს დამპალ ხორცს აჭმევენ და ისინი ჯარიდან გარბიან. რა შეგვიძლიათ გვითხრათ ჯარში არსებულ ვითარებაზე?

– სევდია უგრეხელიძეს ვურჩევ, სჯობდა, პირველ რიგში, პასუხისმგებლობით მოკიდებოდა თავის საქმიანობას. სჯობს თავის საქმიანობაზე ისაუბროს. ჯარში ნორმალური ვითარებაა. თავდაცვის სამინისტროსთან არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ უშუალო კავშირი და ჩართული არიან თავდაცვის უწყებაში მიმდინარე პროცესებში. კარგად იცით ჩემი დამოკიდებულება ჯარისკაცისა და ოფიცრის უფლებებისადმი. ჩემთან არაერთი განცხადება-წერილი მოსულა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა არ დაუშვებს ნებისმიერი ჯარისკაცისა თუ ოფიცრის შეურაცხყოფას, ვერ აიტანს ქართული ჯარის წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებას. რატომ არ ასახელებს, სად იყო მსგავსი შემთხვევა, დამპალი ხორცის ჭამა გააგრძელონო? ეს არის ტყუილი. თუ მისი მიზანია დამპალი ხორცი არ ჭამონ ჯარისკაცებმა, უნდა თქვას, სად იყო ასეთი შემთხვევა. ქალბატონი სევდია უგრეხელიძე მიჩვეულია ამგვარი დეზინფორმაციული განცხადებების გავრცელებას. ეს განცხადებაც ჩვეული ნაციონალური მოძრაობის აპოკალიფსის სურათის დახატვის მცდელობაა. სხვა ვეღარაფერი ვეღარ იპოვეს და ახალი რაღაც გამოჩხრიკეს – ჯარსაც გადასწვდნენ. თუმცა, ამ ყველაფერს მე მაინც გადავამოწმებ არა სევდია უგრეხელიძის გამო, არამედ დეზინფორმაციის გამო, რადგან ჯარისკაცების მშობლებმა არ იფიქრონ ან არ დაუშვან, რომ მართლა შეიძლება იყოს ასეთი ფაქტები.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

2014, 13 — 14 სექტემბერი, №217

„ნაციონალებმა ბიძინა ივანიშვილს მინისტრებზე სკანდალური ვიდეოები მიაწოდეს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არ არის სანდო ივანიშვილის განცხადებები და რაზე აქვს მას ბოდიში მოსახდელი, რატომ წააგო ხალხმა არჩევნებზე, ვინ დაიწყო პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლა, ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ესაუბრება

თემურ შაშიაშვილი:

– ძლიერია ის ქვეყანა, სადაც არჩევნებით იგებს ხალხი. იმ ქვეყანას არა აქვს მომავალი, სადაც არჩევნებზე იგებენ პოლიტიკოსები. საქართველოში არჩევნებზე კიდევ ერთხელ დამარცხდა ხალხი. მეგონა, რომ 2013 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე მოიგო ხალხმა. თუმცა გამოჩნდა, რომ შეუთავსებელის შეთავსება არ შეიძლება.

– შეუთავსებელთა შეთავსებაში რას გულისხმობთ?

– ბატონი ბიძინა შეეცადა, სხვადასხვა იდეოლოგიის და მოტივაციის ძალები გაეერთიანებინა ერთმანეთთან. ვინც მოსწონდა, ისინი ცაში აიყვანა, ვისზეც გარედან მიუთითეს, მათ მილიონები გადაურიცხა, ხოლო ვინც თვალში არ მოუვიდა, მათ გასრესას შეეცადა. ამის შედეგად გაბოროტებული პოლიტიკური ძალები მივიღეთ.

– ვის მოიაზრებთ გაბოროტებულ პოლიტიკურ ძალებში?

– ხელისუფლებაში მყოფი ხალხის 80 პროცენტს.

– მათ რაღა სჭირთ?

– თქვენ რა გგონიათ, მარტო ხელისუფლების მიღმა დარჩენილი ძალები ბოროტდებიან? „ქართულ ოცნებაში“ ბლომად არიან წესიერი ადამიანები, სწორედ ისინი გაბოროტდნენ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია რეგიონებში. ამ ხალხს საქმის კეთება სურთ, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევენ. ეს წესიერი ხალხი გაოგნებულია და გაიძახიან, ეს სად მოვედითო. ეს მოსალოდნელიც იყო. როცა პოლიტიკაში ადამიანი ფულის ძალით მოდის, იქ სხვანაირად არც მოხდებოდა. ივანიშვილი ფულის ძალით მოვიდა პოლიტიკაში და შემდეგ ხელისუფლებაში.

– პიროვნული ავტორიტეტი არაფერში დახმარებია?

– მას რომ 6 მილიარდი არ ჰქონოდა, გარწმუნებთ, არათუ ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა, არამედ პოლიტიკურ პარტიასაც კი ვერ შექმნიდა. იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ბატონი ბიძინა უნიჭო ადამიანია. უნიჭო რომ ყოფილიყო, 6 მილიარდს ვერ იშოვიდა. სწორედ ამ 6 მილიარდმა დააშვებინა ხალხს შეცდომა. ჩვენმა საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ხელისუფლებაში მოსული ივანიშვილი რძის მდინარეებს მოიტანდა. მსოფლიოს არ ახსოვს მაგალითი, როცა ხელისუფლებაში მოსულ მილიარდერს ქვეყნისთვის სიკეთე მოეტანოს. ამიტომაც არის, რომ დემოკრატიულ სამყაროში მილიარდერებს ქვეყნის მეთაურებად არ ირჩევენ. კომუნისტური რეჟიმის შემდეგ ჩვენ გამუდმებით ბელადის ძიებაში ვართ. ვეძებთ იმ ადამიანს, რომელიც გადაგვარჩენს. ამ ძიებაში ხშირად ბელადის ნაცვლად ფულს ვპოულობთ და გვგონია, რომ ფული გადაგვარჩენს. გვავიწყდება, რომ საქართველოს გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ მოაზროვნე ადამიანებს და წესიერ პოლიტიკოსებს შეუძლია. ვუყურებ ამ ხელისუფლებას და გაოგნებული ვარ მათი განცხადებებით. ერთადერთი, ვისი ტონიც ქართველი საზოგადოებისთვის მისაღებია, ეს ირაკლი ღარიბაშვილია. ამ ადამიანს არასწორად აქებენ.

– რატომ აქებენ არასწორად?

– მან ბევრი რამე გააკეთა, მაგრამ მინიმუმ ხუთჯერ მეტის გაკეთება შეიძლებოდა. ამ მიზნის მისაღწევად სათანადო ხალხი უნდა დაეყენებინა გვერდით. ყველაფრის მიუხედავად, პრემიერის ტონი და განცხადებები მისაღებია, მაგრამ გაოცებული ვარ კახი კალაძის ტერმინოლოგიითა და ტონით. მაინტერესებს, სად არის პოლიტიკური კულტურა. კალაძე იყო ადამიანი, რომელსაც ჯერ მოქკავშირის და აღორძინების მიმართ ჰქონდა სიმპათია, მერე ნაციონალები მოსწონდა, ახლა „ქართული ოცნების“ სახელით გველაპარაკება. გაიძახის, მოქკავშირის და ნაცმოძრაობის ეპოქის პოლიტიკოსების დრო უნდა დამთავრდესო. კაცი, რომელიც ბერლუსკონისთან მეგობრობდა, სხვაზე არ უნდა იღებდეს ხმას.

– ასეთი სამარცხვინოა ბერლუსკონისთან მეგობრობა?

– სილვიო ბერლუსკონიზე გაუგებარი პოლიტიკოსი მსოფლიოში ბოლო წლებში არ ყოფილა. ისევ კალაძეს დავუბრუნდები, როცა აცხადებს, მოქკავშირლების დრო დამთავრდაო, იმას რატომ არ ამბობს, რაიონების გამგებლებად მამალი მოქკავშირლები რომ აირჩიეს? თვითმმართველობის არჩევნებში კალაძე „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო. ის ადგენდა საარჩევნო სიებს და ის არჩევდა გამგებლების კანდიდატებს. რეგიონებში შექმნილ ვითარებაზე ის აგებს პასუხს. ამ კაცს მამალი მოქკავშირლები და მამალი ნაციონალები გვერდით ჰყავს და რაკი ასეთი ტონით საუბრობს, აშკარაა, რომ ძალიან არის გაბოროტებული.

– ამბობენ, რომ მას გუნდში გარკვეული პრობლემები აქვს და შესაძლოა ამიტომაც არის გაღიზიანებული. ისიც ითქვა, რომ ის თითქოს ყოფილი ნაციონალების დაწინაურების წინააღმდეგი იყო.

– ყველა მამალი ნაციონალი გვერდზე უდგას და არ ვიცი, ვის წინააღმდეგ ილაშქრებდა. არის ჭორები, რომ ის პოლიტიკიდან წავა. ეს იქნება მართლაც კარგი ნაბიჯი. რაც მალე წავა პოლიტიკიდან, მით უკეთესი იქნება მისთვის და იმ ხალხისთვის, ვისაც მისი სჯერა.. კალაძის ფიგურით აღფრთოვანებული არა ვარ, მაგრამ არ მინდა დავიჯერო, რომ მან მართლაც დანიშნა თავისი ცოლისძმა თბილისის მერიაში. ასეთ პოლიტიკოსს ნებისმიერ ქვეყანაში იმპიჩმენტს გამოუცხადებდნენ.

– თუ პროფესიონალია ადამიანი, მხოლოდ იმიტომ ხომ არ უნდა დარჩეს უმუშევარი, რომ ვიცე-პრემიერის ცოლისძმაა?

– რომელ პროფესიონალიზმზეა საუბარი. ბიოგრაფიულ ჩანაწერში სახელი, გვარი და ტელეფონი უწერია მხოლოდ. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ იმედი მაქვს, ეს მართალი არ არის. ნაციონალები როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, საკუთარი ოჯახის წევრებს და ნათესავებს უმუშევრობის პრობლემა გადაუწყვიტეს. ანალოგიურად მოიქცა „ქართული ოცნებაც“. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ არჩევნებზე წააგო ხალხმა. ქართველმა ხალხმა ერთხელ გაიმარჯვა მარტო არჩევნებში. ეს იყო 1990 წელს. ე.წ. იმელის პარლამენტიც კარგი იყო. მაშინ პარლამენტში მართლა პოლიტიკოსები იყვნენ და გამდიდრებაზე არ ფიქრობდნენ. ამის შემდეგ კი დაიწო დაღმასვლა. ახლა პარლამენტში ჯიბეზე ორიენტირებული ხალხი მოდის. წარმოგიდგენიათ, ყველა მომდევნო პარლამენტი წინაზე უარესია.

– ამით რა გამოდის, დღეს რაც პარლამენტი გვყავს, ყველაზე უარესია?

– რა თქმა უნდა. საკანონმდებლო ორგანოში წესიერი ხალხიც არის, მაგრამ უმეტესობა მიუღებელია. ბიძინა ივანიშვილს

მართლაც რომ სდომებოდა ქვეყნის გადარჩენა, პარლამენტსაც და მთავრობასაც პროფესიონალებით დააკომპლექტებდა. იმის მაგივრად, რომ ასე მოქცეულიყო, გაბოროტდა და ყოველი მისი გამოსვლა თუ ინტერვიუ ღანძღვა-გინებით მთავრდება. შარშან ამ დროს მთელ საქართველოს დაჩოქილი ეხვეწებოდა, მარგველაშვილი პრეზიდენტად აირჩიეთო. ჩვენ, ვისაც ამჟამინდელი პრეზიდენტი არ მოგვწონდა, მტრებს გვეძახდა. საკუთარ თავზე დიდი მტერი ივანიშვილს არა ჰყავს. მტრები იმ ამერიკელ მრჩევლებშიც მოიკითხოს, ფეხქვეშ რომ გაეგო. თუ ქვეყნის გადარჩენა უნდა, ამ ხალხისგან უნდა გათავისუფლდეს. აუცილებლად უნდა გაწმინდოს გარემოცვა. მე პირადად არ მჯერა, რომ ასე მოიქცევა. ყველას კარგად გვახსოვს, რა მაღალფარდოვან განცხადებებს აკეთებდა ის ოჯახის სიწმინდესა და ერთგულებაზე. მინისტრებად ისეთი ხალხი დანიშნა, პირდაპირ არ ვიცი.

– რისი თქმა გინდათ, ბატონო თემურ?

– ნაცმოძრაობამ ივანიშვილს თავისი გუნდის წევრებზე ისეთი ვიდეო-ჩანაწერები დაახვედრეს.... ძალიან ცუდია, რომ ასეთი რამე ჩაიწერეს, მაგრამ ივანიშვილსაც ხომ უნდა მოეხდინა რეაგირება.

– მაინც რა ჩანაწერებია ასეთი?

– რას აკეთებდნენ მისი გუნდის წევრები კაბინეტებში, ვის მიჰყავდა საყვარელი უცხოეთში და ა.შ. ამ ჩანაწერების ნახვის შემდეგ ივანიშვილმა ეს ხალხი ისევ თანამდებობებზე დატოვა. ამის შემდეგ მისი საუბარი ოჯახის სიწმინდეზე არის ბლეფი. ისევე, როგორც ბლეფია მისი რელიგიურობა.

– რას გულისხმობთ?

– არჩევნების წინ მან თავი მოგვაჩვენა, რომ თითქოს ეკლესიური იყო და თითქოს პატივს სცემდა პატრიარქს. მერე ყველამ ვნახეთ, რა განცხადება გააკეთა პატრიარქის მისამართით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ეკლესიისადმი ძალიან მახინჯი დამოკიდებულება აქვს. გამუდმებით საუბრობდა ქართულ იდეოლოგიაზე. მისი შვილი ბერაც სულ ასეთ სიმღერებს მღეროდა. აღმოჩნდა, რომ ესეც ბლეფი იყო. მან ხალხს იძულებით აარჩევინა მარგველაშვილი პრეზიდენტად. ღიად ამბობდა, თუ მას პირველივე ტურში არ აირჩევთ, იმაზე ადრე წავალ პოლიტიკიდან, ვიდრე ვაპირებდიო. მარგველაშვილის არჩევიდან 2 თვის შემდეგ განაცხადა, შევცდიო. ამის გამო მოსახლეობას ბოდიშიც კი არ მოუხადა. არადა, მან ხალხს ქართული იდეოლოგიის მტრული ორგანიზაციების დამფუძნებელი აარჩევინა.

– რომელ ორგანიზაციებს გულისხმობთ?

– სოროსის ფონდი, ენდიაი.... ისინი ყველაფერ ქართულს ებრძოდნენ. ყველამ წავიკითხეთ ის წერილი, რაც მარგველაშვილმა ქართველ ერზე დაწერა. ამის მიუხედავად, ივანიშვილი მაინც ითხოვდა მის არჩევას.

– არ იცოდა რასაც წარმოადგენდა სინამდვილეში მარგველაშვილი?

– ძალიან კარგად იცოდა.

– აბა, რატომ შეაჩერა მასზე არჩევანი?

– გარედან უთხრეს. სამწუხაროდ, ბატონი ბიძინაც გარედან მიღებული მითითებებით მოქმედებდა. ასევე იქცევა მარგველაშვილიც. მას არასდროს დაუმალია, რომ ნაციონალებთან მეგობრობდა. არც ეს მიიჩნია რამედ ივანიშვილმა. მან პოლიტიკაში მოსვლით ნაცმოძრაობა გადაარჩინა. ის რომ არ მოსულიყო პოლიტიკაში, ნაციონალები დღეს უკვე აღარ იარსებებდნენ. მათ ქართველი ხალხი სამართლიან განაჩენს გამოუტანდა. ახლა ისინი ისევ ხელისუფლებაში არიან, მეოცნებეები კი მათ გასამართლებას არ აპირებენ. მათ შორის არანაირი დაპირისპირება არ არის. მეტსაც გეტყვით, ერთად არიან და ერთად ებრძვიან პატრიარქს. პატრიარქის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა დაიწყო. ნახეთ, რა დღეში არიან არასამთავრობოები, მათ ხელისუფლება თავზე ხელს უსვამს. ასე გაგრძელება არ შეიძლება, ხალხი უნდა გამოფხიზლდეს. ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ ხალხის გამოსაფხიზებლად. ამასთან ხელისუფლებას მოვითხოვთ, ჩააბაროს ანგარიში.

– რანაირად უნდა გაკეთდეს ეს?

– საუკუნის დასაწყისში საქართველოსთვის დადგა პერიოდი, როდესაც ყოველგვარი ქართული დარტყმის ქვეშაა. ქართული მიწაც, ქართული ენაც, ჩვენი მართლმადიდებლობაც, ტრადიციებიც, ქართული კულტურა, მეცნიერება, ქართული განათლების სისტემა, ქართული სოფელი, მამული ჩვენი, საერთოდ, ანუ ყველაფერი, რაც ქართული იყო და ჯერ კიდევ არის – დადგა დარტყმის ქვეშ.

მძლავრობენ ძალები, რომელთათვისაც უპირატესია უცხო ქვეყნების პოლიტიკური ძალების მსახურება, ვიდრე საკუთარი ხალხის და ქვეყნისა. ტრაგედიაა, როდესაც სურვილი უჩნდება არა ერთსა და ორს, ხელისუფლებაში კი უმრავლესობას, რომ გაამერიკელდეს, გაინგლისელდეს, გაგერმანელდეს, გაფრანგდეს.. ჯერ ერთი – ვერასდროს ვერ გახდება ფრანგი ის, ვისაც გაფრანგება უნდა; ვერ გახდება ამერიკელი ის, ვისაც გაამერიკელება უნდა, მაგრამ თავის ქვეყანას კი ღალატობს, არადა, ასეთი ძალები მომრავლდნენ პოლიტიკაში.

რაც დრო გადის, ქვეყანაში ძლიერდება უიმედობა, დეპრესია, ღრმავდება სიღარიბე, მიმბაძველობა, ყოველგვარი უცხოურის ქება, საკუთარის, მათ შორის, ისტორიის ძაგება – ჩვეულებრივ ამბად იქცა.

დამთრგუნველია, როცა ხედავ, რომ სახელმწიფოს განვითარების დავით აღმაშენებლისეულ პრინციპებს გარეთ უფრო აფასებენ, ვიდრე საქართველოში, როცა ბევრი ქვეყნისათვის სამაგალითო ხდება ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეოლოგია, იოანე პეტრიწის ფილოსოფიური, ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური მემკვიდრეობა და დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია, მაშინ როცა, ყველაფერ ამას იგნორირება უკეთდება მათ სამშობლოში. გვემართება ის, რაზეც სხარტად და ხატოვნად თქვა პოეტმა – თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასო.

კატასტროფაა, როცა ხედავ, რომ ქვეყანა იმათ მმართველობაში გადავიდა, ვინც ნულოვან აუქციონზე კაპიკებით ხელში ჩაიგდო ხალხის მთელი სიმდიდრე და კიდევ იმ ადამიანების, რომლებიც „ნაციონალების“ მიერ დაინიშნენ (სწორედ რომ დაინიშნენ) ბიზნესმენებად, ანუ იმათ ხელში, ვინც დაეპატრონა სხვათა მიერ გამართულ ბიზნესს.

დღეს უკვე ყოველი მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია, რომ სააკაშვილის მმართველობის წლები ეს იყო „მოქკავშირაღორძინების“ დროს დაწყებული სიკეთის გათითოკაცების და ბოროტების ერთ მძლავრ მუშტად შეკვრის ქვეყნის დამანგრეველი პროცესის მძლავრად გაგრძელების წლები. მისი მონაწილეა დღევანდელი ხელისუფლების დიდი ნაწილიც, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ჩათვლით, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, 2008 წლამდე დიდი ფინანსებით და გვერდში დგომით აძლიერებდა სააკაშვილის ანტიქართულ რეჟიმს.

მძიმე ჟამი უდგას ქვეყანას. მისი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ ყოფილა ასეთ მდგომარეობაში. ისტორია იმასაც ადასტურებს, რომ ასეთ პერიოდებში რწმენით და იმედით ერთ დიდ მუშტად იკვრებოდა ხალხი, ქართული აზრი, მძლავრობდა ქართული ცნობიერება, ქართული დროშის ქვეშ დგებოდა ახალგაზრდობა.

დღეს სწორედ ეს პერიოდი დადგა. ამისათვის ღირს სიცოცხლეც, მით უფრო, რომ ისტორიულად ადამიანები, რომლებიც იცავდნენ ქართულს, ცივილიზაციის სიკეთეებთან იყვნენ ნაზიარები. მუდმივად ცივილიზაციის მწვერვალებზე იყვნენ იმ განწყობით, რომ კარჩაკეტილობა, ისევე, როგორც კოსმოპოლიტობა, უბედურებაა ქვეყნისთვის. დღეს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა მიდის იმ გლობალიზაციით, რომელმაც თითქოს უნდა შთანთქას პატარა ერები. ეს არის დამახინჯებული წარმოდგენა რეალურ გლობალიზაციაზე. ეს ნამდვილად არ შედის გლობალიზაციის ინტერესებში, მით უფრო, რომ ყოველი ერი, გლობალიზაციის დროს, თუ ის ძლიერია, თუ მას ისტორია აქვს, ინარჩუნებს თვითმყოფადობას ისე, რომ არ ეწინააღმდეგება კაცობრიობის განვითარების კანონზომიერებას.

დღეს ხალხს და ქვეყანას იმედის ხელისუფლება და პოლიტიკოსები სჭირდება. სჭირდება მთავრობა, რომელიც მომავლით ცხოვრობს და არ არის ჩარჩენილი წარსულის ძაგებასა და განქიქებაში. სჭირდება პოლიტიკოსები, რომლებიც თავისუფალნი არიან სიძულვილისაგან, არ იმართებიან ქვეყნის გარედან, პატიოსნად ცხოვრობენ და აანალიზებენ საკუთარ საქმიანობას – არიან თვითკრიტიკულნი და არა თვითკმაყოფილნი. ქვეყანას სჭირდება ხელისუფლება და პოლიტიკოსები, რომელთაც შეუძლიათ მოქმედებაში მოიყვანონ ქვეყნის მთელი პოტენციალი – როგორც ინტელექტუალური და ადამიანური, ასევე ბუნებრივი და გეოგრაფიული, რომელთაც ესმით, რომ ყოველგვარი ქართული და ეროვნული ნადგურდება მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობა იბრძვის არსებობისათვის, ხოლო ქვეყანა ბრწყინდება მაშინ, როცა მისი ხალხი, თითოეული ადამიანი იბრძვის საკუთარი თავის რეალიზაციისათვის.

ჩვენი საინიციატივო ჯგუფი „პირველ ოქტომბერს ჩააბარებს ანგარიშს ქართველ ხალხს“ ასეთ ჭრილში ვხედავთ დიდ ქართულ მოძრაობას „დავიბრუნოთ საქართველო“.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირველ ოქტომბერს ხელისუფლებამ არა უბრალოდ ანგარიში უნდა ჩააბაროს ხალხს და ქვეყანას, არამედ პატიოსნად თქვას, რა ვერ შეძლო და რაც მთავარია, თქვას ის, რის გაკეთებასაც აპირებს.

პირველ ოქტომბერს დეპრესიისა და უიმედობის დღევანდელ საქართველოს მართალი და იმედიანი სიტყვა უნდა, რომელიც შემდგომ მოქმედებით უნდა დადასტურდეს.

ბატონო ხელისუფალნო, თქვენ ხალხს დაჰპირდით სამართლიანობის დადგენას, დაჰპირდით საარსებო მინიმუმს, დაჰპირდით საბანკო პრობლემების მოგვარების სისტემას, დაჰპირდით წართმეულის დაბრუნებას, დაჰპირდით კიდევ ბევრ რამეს.

პირველ ოქტომბერს, ხელისუფლებაში თქვენი მოსვლიდან ორი წლის თავზე ჩააბარეთ ანგარიში ხალხს.

– როგორი ფორმით უნდა მოხდეს ეს?

– ჩვენ ვთლით, რომ ხელისუფლებამ ამის ფორმა თვითონ უნდა მოძებნოს. ერთი კი, ნამდვილად ვიცით, რომ ხალხს ანგარიში უნდა ჩააბაროს როგორც ცენტრალურმა, ასევე ადგილობრივმა ხელისუფლებამ. დავდგეთ საქართველოსთან და დავიბრუნებთ საქართველოს!

ანი მიროტაძე: „მე მხარს ვუჭერ გიორგი მარგველაშვილს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ანი მიროტაძესთან

– ანი, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, როგორია თქვენი დამოკიდებულება პრემიერის და პრეზიდენტის ურთიერთობებზე. აშშ-ში ვიზიტმა საკმაოდ დიდი სკანდალი გამოიწვია. ფაქტია, რომ სანამ ბიძინა ივანიშვილი არ ჩაერია, სიტუაცია არ განიმუხტა და ვერავინ გადაიფიქრებინა მარგველაშვილს, რომ ის არ უნდა წასულიყო გაეროში, რომ, სულ ცოტა, უხერხული იყო ორი დელეგაციეს წასვლა. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?

– ამ ყველაფერთან დაკავშირებით ვფიქრობ ზუსტად იმას, როგორც თქვენი კითხვის ბოლო ნაწილი იყო, რომ ძალიან უხერხულია, როცა ერთი პატარა ქვეყნიდან მიდის ორი დელეგაცია და ორივეს უნდა უხელმძღვანელოს ორმა მაღალი თანამდებობის პირმა. ამიტომ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს იქნებოდა ძალიან დიდი უხერხულობა. აქედან გამომდინარე, ისევე, როგორც პრეზიდენტი, ისევე, როგორც პრემიერი, ატარებენ იმ ვალდებულებას, რომ ასეთი საკითხები შეათანხმონ ერთმანეთთან. ძალიან ცუდია, როცა ეს ვერ თანხმდება, ან არ თანხმდება. უფრო მეტად ცუდია, როდესაც ადამიანები გამოდიან უფრო პირადი დამოკიდებულებებიდან, ვიდრე სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან. იმის მიუხედავად, რომ მათ მაღალი ნდობის მანდატი აქვთ გადაწყვეტილების მიღების დროს და ასე შემდეგ, ნებისმიერ რიგით მოქალაქესთან შედარებით, მათ აქვთ უფრო მაღალი პასუხისმგებლობა, როგორც შიდა აუდიტორიისთვის, ისე საგარეოსთვის. ამიტომ, ეს ფაქტი ჩემთვის არის ცუდი და მიუღებელი. სიტუაცია არ უნდა მისულიყო აქამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი იმაზე, რომ ვინ უნდა წავიდეს, პრემიერი თუ პრეზიდენტი.

– თქვენი აზრით, ვინ უნდა წასულიყო?

– მე თუ მკითხავთ, ამას არ ვამბობ იმიტომ, რომ მე წარმოვადგენ კოალიციის უმრავლესობას, რადგან არსებობს საკითხები, რომელზეც მიმაჩნია, რომ ეს სადავოც კი არ არის. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში სადავო არ იყო, რომ უნდა წასულიყო პრემიერ-მინისტრი. არა იმიტომ, რომ ამ ნაბიჯით უნდა დადასტურებულიყო ამ ორს შორის ვინ უფრო ძლიერია, ამაზე არც შეიძლება რომ ლაპარაკი იყოს. გაეროს ღონისძიების შინაარსიდან და ფორმატიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ იქ უნდა წასულიყო პრემიერ-მინისტრი. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა გამორიცხულიყო პრეზიდენტი, ან არ უნდა მომხდარიყო გარკვეული საკითხების მასთან შეთანხმება.

– ეს სადავოც კი არ იყოო ამბობთ და მაშინ რატომ გახადეს სადავო?

– სწორედ მაგას ვამბობ, რომ ცოტა მეტი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონოდა ორივე მხარეს და უფრო მეტად პრეზიდენტს და ეს საკითხი არ უნდა გამხდარიყო ასეთი განხილვების თემა მთელი ამ ხნის განმავლობაში. არა მგონია სწორი და არ არის მაინცდამაინც პოპულარული ასეთი გადაწყვეტილება, რომ პრეზიდენტი გაიძახოდეს ჯიუტად, გინდა თუ არა მე უნდა წავიდე. სულ მცირე, ეს სწორი არ არის. გარდა მაგისა, მე ვთვლი, რომ ჩვენ ვართ ერთი გუნდი და როდესაც ერთი გუნდი ვართ, შიგნით უნდა ხდებოდეს გარკვეული შეთანხმებები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩემთვის არის გაუგებარი, როგორ აგვარებს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ვიზიტებს საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდის ავლით?! ვინაიდან საგარეო საქმეთა სამინისტრო არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და არა რომელიმე მთავრობის ან თუნდაც ირაკლი ღარიბაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი უწყება. როდესაც შენ არ ცნობ საგარეო საქმეთა სამინისტროს, არ რთავ ამ მოლაპარაკებების პროცესში, ეს ნიშნავს იმას, რომ შენ უარს ამბობ გუნდურ თამაშზე, რაც მიმაჩნია, რომ სწორი არ არის. ასევე მიმაჩნია, რომ როდესაც უარს ამბობ გუნდურ გადაწყვეტილებებზე და გუნდური თამაშის წესებით თამაშზე, ასეთი გადაწყვეტილებები ყოველთვის არასწორია.

– ალბათ ამიტომაც ისმის ასე ხშირად შეფასებები, რომ მარგველაშვილი არ არის ამ გუნდის წევრი, რომ მან წამოიწყო დამოუკიდებელი თამაში, აქვს სამომავლო გეგმები, რომელიც კოალიციას არ უკავშირდება. რამ განაპირობა ყოველივე ეს? ის ხომ კოალიციის მიერ იყო დასახელებული და მხარდაჭერილი? რა შეიცვალა?

– მე დღესაც მხარს ვუჭერ მარგველაშვილს და დარწმუნებული ვარ, ასეა ბევრი ჩემი კოლეგა, მხარს უჭერს მას, როგორც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს. მე კარგად მაქვს გაცნობიერებული და ძალიან ბევრს ალბათ, რომ აქ არ არის ლაპარაკი სახელებსა და გვარებზე, არც ყოფილა და არც უნდა იყოს, როდესაც შენს ქვეყანას ჰყავს არჩეული პრეზიდენტი, აქვს მაღალი ლეგიტიმაცია და ის არის შენი გუნდის წევრი, შენ უნდა გამოხვიდე ამ მოცემულობიდან და შესაბამისი დამოკიდებულებაც უნდა გქონდეს. მე მაქვს ეს დამოკიდებულება. ამის აღიარება უნდა ხდებოდეს ყველა მხრიდან. თუ არის კონფლიქტი, თუ არის აზრთა სხვადასხვაობა, ვთქვათ, პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, რომელიც იკვეთება და ჩვენ რომ დავმალოთ, ამას რა აზრი აქვს. როდესაც არის ეს აზრთა სხვადასხვაობა, სრულფასოვანი ადამიანები იქცევიან ასე, კონკრეტულ მტკივნეულ საკითხებზე, როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს მათთვის ეს საკითხი, უნდა ხდებოდეს გარკვეული პოზიციების შეჯერება. თუ ვერ ახერხებს ამას ორი პირი, ანუ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი და პრემიერი, მაშინ მათი მხრიდანაც უნდა იყოს იმის სურვილი, რომ მოხდეს სხვების ჩარევა, არა იმიტომ, რომ ეს ორი ადამიანი კიდევ უფრო მეტად დააპირისპიროს ერთმანეთთან, არამედ ხელი შეუწყოს მათ დაახლოებას. ვინაიდან, თუკი კიდევ უფრო გაღრმავდება კონფლიქტი, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ჩვენი ოპონენტები უკვე დიდი ხანია ამ თემით მანიპულირებენ და მე ვგულისხმობ ყოფილ ხელისუფლებას, თუკი ვინმეს გონია, რომ მათი მხარდაჭერა იქნება პოზიტიური მისი მომავალი კარიერისთვის, ეს არის უბრალოდ განწირული დამოკიდებულება. ამდენად, მე მიმაჩნია, რომ მოკავშირეები მარგველაშვილს ჰყავს მაინც ჩვენთან და არა სხვაგან. მე ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით. ის ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრია, მიმაჩნია, რომ ყველაზე ახლოს გიორგი მარგველაშვილი არის ჩვენთან და, შესაბამისად, თუ არსებობს გაუგებრობები, უნდა მოხდეს ამ გაუგებრობებზე დალაპარაკება და ყველაფრის გარკვევა.

– თუმცა, ვისმენთ შეფასებებს, რომ მარგველაშვილი ნაციონალებთან კეკლუცობს, რომ ხშირი შეხვედრები აქვს ამ პარტიის ლიდერებთან... თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ?

– მე არ მაქვს რაიმე ინფორმაცია იმის შესახებ, მას აქვს თუ არა შეხვედრები. კეკლუცობს თუ არა, ეს არის შეფასების ნაწილი და თქვენ იცით, რომ შეფასებების გაკეთების უფლება აქვს ყველას. თუ ნაციონალების პოლიტიკური სტრატეგიის ქეისში შედის ჩვენს პოლიტიკურ გუნდში დაპირისპირების გაღვივება, რასაკვირველია, ეს არის ძალიან მარტივად გამოსაცნობი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ადამიანი, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება და შესაბამისი გამოცდილება, ამ ქვეყანაში როგორ ხდება პოლიტიკურ პროცესების მართვა და შესაბამისად ვინც კარგად იცნობს იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც 9 წლის განმავლობაში იყო ხელისუფლებაში და ვიცით, როგორც მართავდა ქვეყანას, მათი მხარდაჭერა, მე ვფიქრობ, უფრო უარყოფითია და გაცილებით უფრო დააკარგვინებს ქულებს, ვიდრე მოუტანს. მე ძალიან კარგად მესმის, რომ არც გიორგი მარგველაშვილი და არც ერთი ჩვენი გუნდის წევრი ნაციონალურ მოძრაობას არც მოსწონს და საერთოდ ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ მასთან თანამშრომლობა უნდა. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური დღის წესრიგი და, შესაბამისად, უნდა ხდებოდეს ყველა, რომ სხვისი პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი არ გახდეს.

– მაშინ ასე გკითხავთ, რამდენად ცდილობენ ნაციონალები გიორგი მარგველაშვილის გამოყენებას?

– მე არ ვიცი, ამის დადასტურება ფაქტებით ძალიან გამიჭირდება, მაგრამ მცდელობა რომ ექნებათ, ეს არის ძალიან მარტივი. ამ ადამიანებს აქვთ ძალიან მარტივი გათვლა, რომ აუცილებლად დარჩნენ პოლიტიკურ სავჭადრაკო დაფაზე. დღევანდელი მონაცემებით, მათი პოლიტიკური ლიდერი – მიხეილ სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, გაკოტრებულია, მათი პოლიტიკური გუნდის უმეტესობა, 99% პოლიტიკურად გაკოტრებულია, შესაბამისად, სამომავლოდ ახალ არჩევნებზე მათი ადგილი რომ დარჩეს პოლიტიკურ სივრცეში, ეს არის ძალიან მინიმალური. შესაბამისად, მათ ჭირდებათ ყველა პოზიციის და ყველა შესაძლებლობის გამოყენება იმისთვის, რომ მათი პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა იყოს ხანგრძლივი. მე ამაში ვერც საოცარს ვხედავ რამეს და არც იმაზე მიფიქრია, რომ მსგავს შემთხვევებს ეს ადამიანები არ გამოიყენებენ. ეს შეიძლება იყოს მათი პოლიტიკური სტრატეგიის ნაწილი. მთავარი ის არის, შენ რას უპირისპირებ, ან რამდენად აძლევ იმის შანსს, რომ ის გამოვიდეს მდგომარეობიდან, მოახდინოს საკუთარი თავის რეანიმაცია დ პრეტენზიები განაცხადოს გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე.

– რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს? ისმის შეფასებები, რომ ის ღიად ერევა პოლიტიკურ პროცესებში, აშკარაა, რომ სწორედ ის მართავს ქვეყანას. გასაგებია, რომ მის სიტყვას ფასი აქვს და მარგველაშვილმაც გაითვალისწინა ეს, მაგრამ რამდენად ერევა ივანიშვილი ქვეყნის მართვაში?

– მე გეტყვით, რომ ჩვენ, უმრავლესობის წარმომადგენლები, ბატონ ბიძინას შევხვდით რამდენიმე თვის წინ, უკვე აღარც მახსოვს, უმრავლესობის ფორმატში. ახლა, თუკი ვინმეს პერსონალური ურთიერთობა აქვს მასთან, მე ეს არ ვიცი. სხვა მხრივ რაღაც სახის დირექტივები რომ მოდიოდეს, აი, ბატონ ბიძინას ასე უნდა, ბატონმა ბიძინამ ასე თქვა და ასე გადაწყვიტა, მე მსგავსი არ გამიგია, არ მახსოვს არასოდეს! ბატონი ბიძინა რომ არის ფაქტორი, თქვენც აღიარებთ ამას, იმიტომ, რომ ამ ფაქტორმა შეცვალა ამ ქვეყანაში პოლიტიკური მიმართულება, შეცვალა პოლიტიკური ძალების განლაგება ხელისუფლებაში. დღეს მე ნაკლებად მგონია, რომ საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში ბატონი ბიძინა ერეოდეს. მე ამის თქმის არანაირი მიზეზი არა მაქვს. დანარჩენი, ახლა, თუ მასთან პერსონალური ურთიერთობები აქვთ და მის აზრს ითვალისწინებენ, არ ვფიქრობ, რომ ეს არის მისი მხრიდან პირდაპირი ჩარევა. ამ კითხვას მე ასე ჩამოვაყალიბებდი, ბიძინა ივანიშვილი იყო ფაქტორი და დარჩა ფაქტორად. მე არ მაქვს არც ერთი ფაქტი იმისა, რომ ის პროცესებში უხეშად ერევა.

– ამ კონკრეტულ შემთხვევას რაც შეეხება? ჩიხში შევიდა სიტუაცია და მან ღიად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია?

– ბატონმა ბიძინამ მარგველაშვილთან დაკავშირებით ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დააფიქსირა თავისი პოზიცია, მართალი გითხრათ ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. ასევე კიდევ უფრო შორს წავალ და ვერაფრით ვერ მივხვდი, რატომ დასჭირდა მას ღიად ამ თემაზე საუბარი, მაგრამ გამომდინარე მისი პერსონიდან, რომ მართლაც ძალიან გულწრფელი ადამიანია, იშვიათად შემხვედრია ასეთი გულწრფელი ადამიანი, შესაბამისად, ალბათ ეს იყო მისი გულწრფელობის ნაწილი. თუმცა, ალბათ იყო შესაძლებლობა, რომ ასეთ დონემდე არ მისულიყო ეს გაუგებრობა. მე ვფიქრობ, რომ ეს არის გაუგებრობა და არა დაპირისპირება და ამ ორ შორის სხვაობა დიდია. მიმაჩნია, რომ დღეს პრემიერს და პრეზიდენტს შორის არის გაუგებრობა, რაც არის მოგვარებადი. თუ, რასაკვირველია, ამის ნება არსებობს როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. პრემიერსაც და პრეზიდენტსაც და განსაკუთრებით პრეზიდენტს, რომელიც არის ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრი, ძალიან სერიოზულად დაფიქრება მოუწევს იმაზე, რომ არ დაუშვას შეცდომა, რომელი შეცდომითაც მერე ისარგებლებენ პოლიტიკური ოპონენტები.

– თქვენ აღნი შნეთ, რომ მე გამაკვირვა ივანიშვილის მხრიდან მარგველაშვილის მისამართით ასეთმა ღია კრიტიკამო, თუმცა ამის მერე ოცნების ლიდერები აღარ ერიდებიან მარგველაშვილთან დაპირისპირებას და მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას. საუბარია, რომ ამით ივანიშვილის თვალში ქულების ჩაწერას ცდილობენო. ალბათ არც ასე ხელწამოსაკრავია საქართველოს პრეზიდენტი?

– როცა მსგავსი გაუგებრობაა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, იქმნება გარკვეული უხერხულობა. პირადად ჩემთვის, თუკი მიწევს შეხება პრემიერის ადმინისტრაციასთან, ეს არანაირ უხერხულობას არ წარმოადგენს. ჩემთვის არაფერი არ არის შეცვლილი. მე ვკონტაქტობ საქართველოს პრეზიდენტთან და არა კონკრეტულად გიორგი მარგველაშვილთან. მე ასე ვუყურებ და ასე ვუდგები ამ საკითხს. სახელებით და გვარებით და პირადი დამოკიდებულებებით ქვეყნის ბედის გადაწყვეტა არ შეიძლება. მე არ ვიცი თქვენ ვის გულისხმობთ, მაგრამ თუკი ჩვენს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ მარგველაშვილთან ურთიერთობას, ეს არის იმ უხერხულობის შედეგი, რომელიც შეიქმნა და რომელშიც, სხვათა შორის, თვითონ გიორგი მარგველაშვილსაც აქვს წვლილი შეტანილი. მე არ ვიცი, რატომ არ გაუჩნდა მარგველაშვილს იმის სურვილი, რომ აქამდე არ მიეყვანა საქმე. ის პატრიოტი ადამიანია, მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მას არ უნდა ქვეყნისთვის საზიანო საქმეების კეთება. ასეთ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური კარიერის პიკზე იმყოფები, ალბათ რისკი შეცდომის დაშვების არის ძალიან მაღალი, მაგრამ პოლიტიკოსის ხარისხი სწორედ იმით ფასდება, რომ პოლიტიკური კარიერის პიკზე რომ ხარ, მაშინ არ დაუშვა ძალიან ცუდი შეცდომა. მე გავაფრთხილებდი კიდეც მას გულშემატკივრის პოზიციიდან და ვეტყოდი, რომ პოლიტიკური კარიერის პიკზე შეცდომების დაშვება არის დამღუპველი. მეორეც ის, რომ არსებობს სერიოზული რისკი და საშიშროება იმისი, რომ მისი ეს შეცდომა გამოიყენონ მისმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა, რაც ასევე იქნება დიდი შეცდომა.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბალის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

2014, 13 — 14 სექტემბერი, №217

დავით ჟღენტი: „მარგველაშვილი ყველას პრეზიდენტი არ არის“

უსუფაშვილისათვის დემოკრატიის ამოცანა ყოფილა ნაცმოძრაობის შენარჩუნება

მარიკა მჭედლიშვილი

„საქართველოს სახალხო კრების“ წარმომადგენელს, სააკაშვილის რეჟიმის პოლიტრეპრესირებულ დავით ჟღენტს, არაერთხელ უსაუბრია ნაციონალური მოძრაობის მზაკვრულ გეგმებზე. ახლა იგი იმედოვნებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებებს ქვეყანაში გადატრიალებისა და ქაოსის მზადების შესახებ მოჰყვება რეალური ნაბიჯები. დავით ჟღენტის აზრით, ამ საქმეში უმოქმედობა ხელისუფლებას დააზარალებს. რესპონდენტი მჭიდრო კავშირს ხედავს ნაციონალებსა და ახლანდელი სახელისუფლებო კოალიციის წევრ რესპუბლიკურ პარტიას შორის. მისი აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ ყალბი გამოკითხვების არასწორი შედეგები კარგა ხანია წარმოგვიჩენს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ყველაზე რეიტინგულ პოლიტიკოსად. „სახალხო კრების“ წევრი იმ დაგეგმილ გადაჯგუფებებზეც საუბრობს, რომელიც ღარიბაშვილის ზურგს უკან მზადდება. „ახალი თაობა“ დავით ჟღენტს ესაუბრა.

– ნაცმოძრაობის დესტრუქციულ გეგმებზე, რომელზეც თქვენ არაერთხელ გაგიმახვილებიათ ყურადღება, უკვე შინაგან საქმეთა მინისტრიც ალაპარაკდა. მოსალოდნელია, რომ ამისათვის ვინმე დასაჯონ?

– ჩვენ ისიც გამოგვიცხადეს, რომ ამასთან დაკავშირებით აღძრულია საქმე. თუ ალექსანდრე ჭიკაიძეს დავუჯერებთ, დამნაშავეები პასუხს აგებენ. ალექსანდრე ჭიკაიძის უწყებაში, პოლიციის გარდა, შედის უშიშროების სამსახურიც. ასე რომ, ჭიკაიძე ინფორმირებული უნდა იყოს. იმედია, საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. თუ ეს განცხადება პიარისთვის ან რაღაცის გადასაფარად გაკეთდა, სულ მალე გამოჩნდება. ასეთ შემთხვევაში, ეს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ იმუშავებს.

– თქვენ ნაციონალების მხრიდან არეულობის მოწყობის მცდელობებსა და მათ გეგმებზე მუდმივად საუბრობდით...

– არამარტო მე. მეც და სხვა ადამიანებსაც გვიწევდა ურთიერთობა პირებთან, ვისაც შეხება აქვს ნაციონალებთან. ნაცმოძრაობის აქტივისტების მუქარებიდანაც ჩანდა, რომ ისინი რაღაცას ამზადებენ. მთავარია, ნაცმოძრაობის გეგმები არ განხორციელდეს და ქვეყანა არ დადგეს საფრთხის ქვეშ. როცა ასეთ განცხადებას აკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრი, სერიოზულადაა საქმე. ცოტა ხნის წინ კრიმინალი სააკაშვილი სარფში შეხვდა თავის აქტივს. მაშინ ის პირდაპირ იმუქრებოდა. აუცილებლად მიმაჩნია იმ პირების დაკითხვა, რომლებიც ძებნილ სააკაშვილთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ. ეს აქტივი უნდა დაიბარონ და დაკითხონ. ხელისუფლება მოვალეა, გაატაროს შესაბამისი ზომები. თუ ხელისუფლება ასე არ მოიქცევა, ეს ქვეყანას არ წაადგება. ეს ქვეყანას დაღუპავს.

– როგორი შეიძლება იყოს მოვლენების განვითარების უარესი სცენარი?

– ეს დაახლოებით აღწერილია ეგრეთ წოდებულ უგულავას ფარულ წერილში კეზერაშვილისადმი. ამ წერილში ჩვენ თვალწინ იშლება მოვლენები და ის, რა შეიძლება მოხდეს. აჭარაში ძალიან შემაშფოთებელი ფაქტი მოხდა. ეს იყო რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების მცდელობა. იმედი მაქვს, სამართალდამცავები ამ მცდელობას ძირში აღკვეთენ და იმ ინსპირატორებს დასჯიან, რომლებმაც რელიგიურ ნიადაგზე სცადეს ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის შუღლის ჩამოგდება. როგორც ცნობილია, ქობულეთში მედრესესთან ვიღაცამ ჩამოკიდა ღორის თავი. დარწმუნებული ვარ, ეს მიზანმიმართულად გაკეთდა. ყველა ტელევიზია გვიჩვენებდა ერთსა და იმავე ქალბატონს, რომელიც ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა.

– მიგაჩნიათ, რომ ეს ქალბატონი დავალებას ასრულებდა?

– დიახ. ეტყობოდა, რომ ის რაღაცით დააინტერესეს, დააფინანსეს და განცხადება გააკეთებინეს. ტელევიზიებს, რომლებიც კარგა ხანია, ანტისახელისუფლებო პროპაგანდას ეწევიან, აბსოლუტურად ერთნაირი სიუჟეტები ჰქონდათ. არ მესმის, როგორ შეიძლება, ყველა ჟურნალისტს ერთისა და იმავე ადამიანის აზრის გაგება მოუნდეს და სხვებთან რატომღაც არც ერთი არ მივიდეს. მაგრამ ეს ჟურნალისტები კი არა, პროპაგანდისტები არიან. ისინი ერთნაირად ურეცხავენ ტვინს მაყურებელს. ვერ გამიგია, რატომ უნდა მუშაობდნენ ასე ერთნაირად „რუსთავი 2“, „იმედი“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“?



– სააკაშვილის მომხრე მომღერლები და შოუბიზნესის სხვა წარმომადგენლებიც აბსოლუტურად შეთანხმებულ და თითქმის იდენტურ განცხადებებს აკეთებდნენ რამდენიმე დღის წინ...

– ეს ის მომღერლები არიან, რომლებიც ჩვენი, ხალხის თანხებით ფინანსდებოდნენ. ეს ხდებოდა წლების განმავლობაში. ეს მომღერლები და მსახიობები ძალიან დიდ ფულს იღებდნენ. კონცერტების გარდა, სხვა შემოსავალიც გარანტირებული ჰქონდათ. ზოგი მათგანი ალპინისტმაშველებად იყო გაფორმებული, ზოგი-დამლაგებლად. გოგოლა კალანდაძე მძღოლად იყო გაფორმებული ტელევიზიაში. შოუბიზნესის ეს წარმომადგენლები დაინტერესებული არიან, რომ უშრომელი შემოსავალი არ შემოაკლდეთ. მათ ჯიბის ინტერესი ამოძრავებთ. აღბათ, იმისიც ეშინიათ, რომ ხალხის კუთვნილი ფული არ დაებრუნებინოთ.

– რაღაც არ ჩანს ტენდენცია, რომ ვინმე აპირებდეს მათთვის, ან თუნდაც, ნაცმოძრაობის ლიდერებისათვის უკანონოდ მითვისებული ფულის სახელმწიფოსათვის დაბრუნებას...

– დღევანდელ დღეს ამის დიდ სურვილს მეც ვერ ვხედავ. მაგრამ, შეიძლება ეს მერე მოხდეს. საერთოდ, თუ ნორმალური სახელმწიფოს აშენება გვინდა, თუ გვინდა, რომ ცივილიზებულად და დემოკრატიულად მოხდეს ქვეყნის განვითარება, უკანონოდ მითვისებული თანხები არავის არ უნდა შერჩეს. კეთილი ინებონ და იმათ, ვინც თანხები უკანონოდ მიითვისეს, დაუბრუნონ სახელმწიფოს. ამისი სურვილი მომავალში აღარავის უნდა გაუჩნდეს. ვეღავინ უნდა გაბედოს თავისი აქტივის ჩვენი ფულით დაფინანსება. ეს პრეცედენტი აუცილებლად უნდა შეიქმნას, რათა დაუსჯელობა არ დამკვიდრდეს. მე ისიც მაფიქრებს, რომ ნაციონალების გათეთრებას ცდილობენ.

– ვინ ათეთრებს ნაციონალებს?

– ამის მცდელობა ჰქონდა რესპუბლიკელ დავით ზურაბიშვილს. ზურაბიშვილმა თქვა, რომ ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადება არ ემყარება ფაქტებს. დავით ზურაბიშვილის აზრით, ნაცმოძრაობის მუქარები მაიდნის მოწყობის, არეულობის გამოწვევის და ა.შ. თაობაზე თითქოსდა არაფერია და თითქოს ეს მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებია. აქედან გამომდინარე, თბილისის საკრებულოს რესპუბლიკელ წევრს მიაჩნია, რომ საგანგაშო არაფერია.

– საიდან იცის, რომ საგანგაშო არაფერია?

– ზურაბიშვილი „აპრავებს“ ნაცმოძრაობას. ის რესპუბლიკელია და აქედან გამომდინარე, ასეთი რამ გასაკვირი არ არის. რესპუბლიკური პარტია ნაციონალური მოძრაობის პირდაპირი სატელიტია. რამდენიმე წლის წინ რესპუბლიკელები ვითომ ოპოზიციაში იყვნენ. სინამდვილეში, ნაცმოძრაობასთან იყვნენ შეკრული და კრიმინალი ნაციონალები მათ თანხებით კვებავდნენ. რესპუბლიკელების საქციელიდან და მათი პოლიტიკიდან გამომდინარე, კაცი სხვა დასკვნას ვერ გამოიტანს. ხან ზურაბიშვილი „აპრავებს“ ამ კრიმინალებს, ხან – ბერძენიშვილი. ეს ის ხალხია, რომელიც სათავეში უდგას ლიბერალებს, ე.წ. „ლიბერასტებს“. უსუფაშვილისათვის დემოკრატიის ამოცანა ყოფილა ნაცმოძრაობის შენარჩუნება.

– პრეზიდენტის საქმიანობაზე რას იტყვით? გახდა ის ყველას პრეზიდენტი?

– მარგველაშვილი ყველას პრეზიდენტი არ არის. რესპუბლიკელებზე რომ ვისაუბრეთ, იმათი პრეზიდენტია. ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი დღეს სწორედ რესპუბლიკელების გავლენის ქვეშაა. საერთოდ, ეს კაცი უცნაურად იქცევა. საერთოდ, დაძაბულია ურთიერთობა პრემიერ-მინისტრსა და ეგრეთ წოდებულ პრეზიდენტს შორის. ეგრეთ წოდებულს იმიტომ ვუწოდებ, რომ გიორგი მარგველაშვილი ხათრით არჩეული პრეზიდენტია. ახლა ამ ხათრით არჩეულ კაცს რესპუბლიკელები ჰყავს გარემოცვაში. უშიშროების საბჭოს მდივანი რესპუბლიკელი ირინა იმერლიშვილია. გარკვეული ხნის წინ მისი მოადგილე გახდა ასევე რესპუბლიკელი ივლიანე ხაინდრავა. ივლიანე ხაინდრავა ყოველთვის მიმაჩნდა რუხ კარდინალად. ის არაერთ გადატრიალებაში იღებდა მონაწილეობას. ივლიანე ხაინდრავა გადატრიალების მონაწილე იყო კანონიერი ხელისუფლების დროსაც (1991-92 წლები) და 2003 წელსაც. ის იმავეს აკეთებს ახლაც.

– მოსალოდნელ გადატრიალებაზე საუბრობთ?

– დიახ. ირაკლი ღარიბაშვილი გაუსვრელი ახალგაზრდა კაცია და მის ზურგს უკან რაღაცები მზადდება. ცოტა ხნის წინ „ენდიაი“-მ დაგვიდო კიდევ ერთი გამოკითხვის მორიგი გაყალბებული შედეგები. ამ ფალსიფიცირებული შედეგებით, ირაკლი ალასანია საქართველოში ყველაზე რეიტინგული პოლიტიკოსია. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ეს ასე არ არის! წარმოუდგენელია, რომ ალასანია იყოს ყველაზე რეიტინგული პოლიტიკოსი. ალასანია ჯერ პოლიტიკურ ასპარეზეც არ იყო გამოჩენილი, რომ მასზე არასწორ მონაცემებს ავრცელებდნენ. ერთხელ ის აშშ-ში იმყოფებოდა და აქ იმ დროს ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც, ალასანია უკვე რეიტინგულ პოლიტიკოსად წარმოგვიჩინეს. ეს ყალბი გამოკითხვები არაერთხელ ჩატარებულა და ალასანია ამ გამოკითხვებში ყოველთვის ლიდერობდა.

– ეს ტყუილუბრალოდ არ ხდება?

– რა თქმა უნდა. ასეთი კონტურები ჩანს-მიდის პოლიტიკური გადალაგება. უნდათ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გუნდი რესპუბლიკელებით, ალასანიას გუნდით, ასევე ყოფილი ნაციონალებით ჩაანაცვლონ. ნაციონალებში ბოკერიას ჯგუფს ვგულისხმობ. ამ გეგმაში ჯდება მიზანმიმართული კამპანია შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ. რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს დარტყმის მიყენებას ირაკლი ღარიბაშვილისათვის. ხსენებული ძალები უნისონში მღერიან და ყველა მხრიდან ცდილობენ, როგორმე სახელი გაუტეხონ პრემიერ-მინისტრს.

– პრემიერს შეუძლია ამის აღკვეთა?

– ჩემი აზრით, ირაკლი ღარიბაშვილმა სხვა საკადრო პოლიტიკა უნდა გაატაროს. მან გვერდზე უნდა დაიყენოს გამოცდილი პოლიტიკოსები და პატრიოტი ადამიანები, რომლებსაც ქვეყანაზე შესტკივათ გული და არა სკამსა და ჯიბეზე. სხვა დროსაც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ-არ შეიძლება, პენსიონერს 150 ლარით ძლივს ედგას სული, ხოლო ჩინოსანმა (თავდაცვის მინისტრმა) 80-ათასიანი პრემია მიიღოს. წარმოუდგენელია, რომ მინისტრები ამხელა პრემიებს იწერდნენ. ახლაც მუშაობენ მინისტრები, რომლებმაც პრემიის სახით უზარმაზარი ფული მიიღეს. ვინც ამას აკეთებს, იმას ქვეყანა არ უყვარს. ვინც ამას აკეთებს იმას ქვეყანა არ უყვარს. ვინც ასეთ თანხებს იჯიბავს, იმას საკუთარი ოჯახის გარდა, არავინ აინტერესებს. ამისთანა მინისტრები უნდა გათავისუფლდნენ. ჩვენ ზოგიერთისგან მუქარაც მოვისმინეთ-წახალისება თუ არ გვექნება, მაშინ კერძო სექტორში გადავალთო. კი ბატონო, მიბრძანდნენ. ასეთებმა კერძო სექტორში იმუშაონ. სახელმწიფო სამსახურში უნდა იყვნენ პატრიოტი და პროფესიონალი ადამიანები. სამინისტროებში უნდა იმუშაონ იმათ, ვისაც ქვეყანა უყვარს, ვისაც პენსიონერისა და სხვა მოქალაქეების პრობლემები სტკივა. ასეთები პრემიერსაც გამოადგებიან და ქვეყანასაც.

სამართალი

ლაშა მახარაძის მკვლელი დაკავებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს, ვაკე-საბურთალოს სამმართველოსა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ლევან კ.-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში დამხმარე სათავსოდან უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: „ტე-ტე“-ს სისტემის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 74 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, ლევან კ. დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

პოლიციამ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ქუთაისში, ყაჟუჩიშვილის ქუჩაზე, 1956 წელს დაბადებულ ლევან კ.-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში დამხმარე სათავსოდან უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: „ტე-ტე“-ს სისტემის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 74 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, ლევან კ. დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

შსს-მ მკვლელობის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1939 წელს დაბადებული მუხტარ ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დმანისის რაიონის სოფელ გოდაგ-დაგში მცხოვრებმა მუხტარ ა-მ საკუთარი სანადირო ორლულიანი თოფიდან გასროლით 11 სექტემბერს, გამთენიისას, თანასოფლელს – 1938 წელს დაბადებულ ჯანგირ ო-ს ორი ჭრილობა მიაყენა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, ჯანგირ ო. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ, რამდენიმე საათში გარდაიცვალა. გამოძიებამ ასევე, დაადგინა, რომ მუხტარ ა.-სა და გარდაცვლილს შორის წარსულში მიწის ნაკვეთის გამო, ურთიერთშელაპარაკებას ჰქონდა ადგილი. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

სად არ შეიძლება ალკოჰოლის მიღება

შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯარო სივრცეში ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრებაზე განმარტებას აკეთებს.

„2013 წლის ნოემბრის თვეში ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171-ე მუხლში და ევროპული კანონდებლობების მსგავსად დაიხვეწა ის პროცედურები, რომელებიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ალკოჰოლური სასმელების მიღებაზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე“, – განაცხადა შს სამინისტროს იურიდიული სამმართველოს უფროსმა ზვიად ოქროპირიძემ. ზემოთ აღნიშნული კანონი აწესებს პასუხისმგებლობას ალკოჰოლის მიღებაზე: სტადიონზე, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. სხვა საზოგადოებრივ ადგილში იგულისხმება - საჯარო სივრცეში (მაგ., ქუჩა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების პუნქტი, ფეხით მოსიარულეთა მიწისქვეშა გადასასვლელი, ხიდი, გვირაბი, სადარბაზოები და სხვ.), ორი ან ორზე მეტი პირის შეკრების ადგილი. აღნიშნული ქმედების პირველად ჩადენისთვის მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას 50-დან 150 ლარამდე, ერთი წლის განმავლობაში განმეორებით შემთხვევაში - ჯარიმას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას.

„პასუხისმგებლობა არ გამოიყენება სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან, იმ ადგილებთან, სადაც ალკოჰოლური სასმელები ჩამოსხმით იყიდება“,– აღნიშნა ოქროპირიძემ.

მედიანიუსი

დონბასი: რუსეთი ახალ პროვოკაციას ამზადებს

– რუსები ახალ პროვოკაციას ამზადებენ. მათ მიერ დაქირავებული პროვოკატორები დონეცკს „გრადებით“ დაბომბავენ, ამაში კი უკრაინის მხარეს დაადანაშაულებენ. რუსეთიც საომარ მოქმედებებს განაახლებს, – განაცხადა ჯგუფ „საინფორმაციო წინააღმდეგობის“ ხელმძღვანელმა დმიტრო ტიმჩუკმა.

უკრაინის სამხედრო დაზვერვა, თავის მხრივ, ამტკიცებს, თითქოს რუსებმა ჯარის გაყვანა დაიწყეს. „გაყვანილია არმიის 70 პროცენტი,“ – სამხედრო დაზვერვის უფროსმა ეს პირადად პოროშენკოს მოახსენა. პრეზიდენტმა აღნიშნული ინფორმაცია ტელეინტერვიუში გაიმეორა, რითაც უკრაინული საზოგადოება ძალზე გააოცა.

– სამწუხაროდ, ფაქტები საწინააღმდეგოზე მიუთითებენ, – იტყობინება უკრაინის ტელეკომპანია მე-5 არხი.

მართლაც, 11 სექტემბერს რუსეთის მხრიდან უკრაინაში 100 ტანკი შევიდა. მათ სასაზღვრო პუნქტი იზვარინო ყოველგვარი პრობლემის გარეშე გადაკვეთეს. ეს გასაკვირი არ იყო, იზვარინოს ხომ სეპარატისტები აკონტროლებენ.

პროვოკაციები ინტენსიური ხდება

ე.წ. მინსკის შეთანხმებების შემდეგ დონბასში მშვიდობამ არ დაისადგურა. მართალია, „გრადებითა“ და „სმერჩებით“ დაბომბვები შეწყდა, მაგრამ შეტაკებები გრძელდება. რუსული მხარე სისტემატურად იყენებს ისეთ მეთოდს, როგორიცაა პროვოკაცია. ასე მაგალითად, 11 სექტემბერს განხორციელდა მორიგი თავდასხმა ბატალიონ „აიდარზე“. ტერორისტებს ხელთ ეპყრათ უკრაინული დროშა, რამაც ახლოს მისვლის საშუალება მისცა. ამის შემდეგ „აიდარის“ მებრძოლებს ცეცხლი გაუხსნეს. უკრაინელმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა. მტერმა უკან დაიხია. შეტაკების შედეგად დაზარალებულნი ორივე მხარეს არიან.

– უკრაინულ ფორმაში გამოწყობილი სეპარატისტები მშვიდობიან მოქალაქეებს თავს ესხმიან, – იტყობინება მე-5 არხი.

ერთ-ერთმა ასეთმა ჯგუფმა განახორციელა თავდასხმა ავტობუსზე, რომელიც პერვომაისკიდან მოემართებოდა. სროლის შედეგად დაიღუპა რამდენიმე მგზავრი. მათ შორისაა ახალგაზრდა დედა და მისი თანმხლები პატარა ბავშვი.

– სეპარატისტებმა ეს ამაზრზენი დანაშაული ე.წ. „უკრაინელ ფაშისტებს გადააბრალეს, – იტყობინება ტელეკომპანია „ინტერი“.

12 სექტემბერს სეპარატისტებმა განახორციელეს მორიგი თავდასხმა მარინკაზე (დონეცკის მახლობლად) და უკრაინელ სამხედროებს ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად მოკლულია რამდენიმე უკრაინელი ჯარისკაცი. იმავე დღეს ტერორისტები და რუსი სამხედროები დებალცევოს ალყაში მოქცევას შეეცადნენ. მცდელობა ამჯერადაც მარცხით დამთავრდა. ასევე წარმატება არ მოჰყოლია მცდელობას, დაეწესებინათ კონტროლი ტრასაზე მარიუპოლ-დონეცკი. მტერი იძულებული გახდა, უკან დაეხია.

– 12 სექტემბერს სეპარატისტები და რუსი სამხედროები „ნეიტრალურ ზონაში“ მკვეთრად გააქტიურდნენ, – იტყობინება მე-5 არხი.

მართლაც, ამ დღეს სეპარატისტების ბანდამ, რომელსაც ვინმე მოტოროლა მეთაურობს, ქალაქი კომსომოლსკი დაიკავა. დასახლებულ პუნქტზე რუსული დროშა აღიმართა. სეპარატისტებმა დაიკავეს ქალაქი ტელმანოვოც, რომელიც ასევე ნეიტრალურ ზონაში შედიოდა. ამრიგად სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია 1-2 პროცენტით გაიზარდა.

– რუსეთიდან განუხრელად მოედინება იარაღი, მძიმე ტექნიკა, შემოდიან ახალახალი ნაწილები. ფაქტობრივად, არა ჯარების გაყვანა, არამედ, პირიქით, დონბასში რუსული საოკუპაციო კორპუსის გაძლიერება ხდება, – იტყობინება მე-5 არხი.

დმიტრო ტიმჩუკის ცნობით, დონბასის ცალკეული რეგიონებიდან რუსული ნაწილების გაყვანა მართლაც შეინიშნება, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. სამაგიეროდ რუსული ჯარის კონცენტრაცია მარიუპოლის მახლობლად ხდება.

– ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რუსები ფართომასშტაბიანი შეტევისათვის ემზადებიან, – ამბობს ტიმჩუკი.

ასეთი შეტევა სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევის გარეშე შეუძლებელია. ამას კი საბაბი სჭირდება.

მიზანში დონეცკია?

უკანასკნელ ხანს სეპარატისტების საიტებზე გახშირდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკრაინელები თითქოს კონტრშეტევას გეგმავენ. კერძოდ, საიტი „რუსსკაია ვესნა“ იტყობინება, თითქოს უკრაინელმა სამხედროებმა დონეცკის მიმართულებით დიდძალი სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა გადაისროლეს. როგორც ყოველთვის, რუსულმა ტელეარხებმა „დეზა“ უმალ აიტაცეს და გაავრცელეს:

– უკრაინამ სამშვიდობო ხელშეკრულება თავისი ჯარის გაძლიერებისათვის გამოიყენა. უკრაინელები კონტრშეტევისათვის ემზადებიან!

ამრიგად, იქმნება ნიადაგი საიმისოდ, რომ მშვიდობის დარღვევა უკრაინას დაბრალდეს. როგორც ჩანს, რუსები დონბასის რიგ დასახლებულ პუნქტში პროვოკაციებს გეგმავენ. ამათგან ერთ-ერთი უშუალოდ დონეცკში ჩატარებული აქცია იქნება.

– სეპარატისტები დონეცკს „გრადებით“ დაბომბავენ და ამას უკრაინელებს გადააბრალებენ, – ამბობს ტიმჩუკი.

უკრაინული წყაროების ცნობით, უკანასკნელ ხანს დონეცკში უზარმაზარი ბენზინის ცისტერნები გამოჩნდნენ. მოსახლეობაში დადის ხმები, რომ ეს ბენზინი კი არა, ქიმიური იარაღია, რომელსაც რუსები გამოიყენებენ, მასობრივ სიკვდილიანობას კი უკრაინელებს გადააბრალებენ. „რუსსკაია ვესნაზე“ უკვე გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ამერიკის დაზვერვა „უკრაინელ ფაშისტებთან“ ერთად დონეცკში ქიმიური იარაღის გამოყენებას აპირებს.

– ვაშინგტონში რუსი ხალხის გენოციდის ახალი ტალღა იგეგმება, – ამტკიცებს „რუსსკაია ვესნა“.

რუსეთის ტელევიზიამ ეს შიზოიდური ინფორმაცია უმალ აიტაცა. ამრიგად, მზადდება ინფორმაციული ნიადაგი, რათა რუსეთის მოსახლეობამ მორიგი „დეზა“ სიმართლედ მიიღოს და უკრაინაში ომის განახლებას მხარი დაუჭიროს.

გაზის ჯოხიჩი

იარაღის ჟღარუნის პარალელურად, „გაზის კოზირიც“ აამოქმედა. დასავლეთის ქვეყნებს პირდაპირ განუცხადეს: თუკი უკრაინისათვის გაზის რევერსულ რეჟიმში მიწოდებას არ შეწყვეტთ, კონტრრეჟისორებს მივმართავთო. სიტყვას საქმეც მოჰყვა. რუსეთმა პოლონეთს გაზის მიწოდება შეუმცირა.

– პოლონეთი დარტყმის ქვეშ შემთხვევით როდი აღმოჩნდა, ის ჩვენი უმთავრესი მოკავშირე და ლობისტია, – აცხადებს უკრაინის პრემიერ-მინისტრი იაცენიუკი.

სამწუხაროდ, პოლონეთი კრემლის ამ ნაბიჯს მოუმზადებელი შეხვდა. უკრაინაში რევერსი შეწყდა, თუმცა პოლონელები აცხადებენ, რომ ეს დროებითია, ორ დღეში რევერსი აღდგება.

– ცხადია, რომ ზამთარში რუსეთი „გაზის კოზირს“ ინტენსიურად აამოქმედებს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

რუსი ექსპერტები ღიად აცხადებენ, რომ ზამთარზე დიდ იმედებს ამყარებენ. კრემლიც ცდილობს, ევროპას უკრაინისათვის გაზის მიწოდებაზე უარი ათქმევინოს. პოლონეთის წინააღმდეგ ნამდვილი შანტაჟი დაიწყო. 12 სექტემბრიდან რუსეთმა გაზის მიწოდება ავსტრიასაც შეუმცირა.

– უკრაინას ცივი ზამთარი მოელის. ბევრი მოქალაქე, რომელიც დღეს ეროვნული დროშით ხელში დარბის და „დიდება უკრაინასო“, გაჰკივის, გაზაფხულზე პოზიციას შეიცვლის, – თვლის სერგეი მარკოვი.

„რუსსკაია ვესნამ“ უკვე გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დონბასის იმ ნაწილს, რომელსაც სეპარატისტები აკონტროლებენ, გაზს სიმბოლურ ფასებში მიაწვდიან. თავად მოსკოვში ამის თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუმცა, ცხადია, რომ პუტინს დონბასის იმ ნაწილის შენახვა მოუწევს, რომელიც სეპარატისტებმა მისი ჯარისკაცების მხარდაჭერით დაიკავეს. ტვირთი ძალიან მძიმე იქნება და ასეთ ნაბიჯზე წასვლას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუკი გაზაფხულზე ახალი ფართომასშტაბიანი შეტევის პერსპექტივები გაჩნდება.

ჰამდენად შეაჩერებენ ჩესეთის აგრესიას სანქციები?

12 სექტემბერს ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები აამოქმედა. მიზეზი დონბასში ვითარების გაუარესება იყო. ევროპა კარგა ხანია თავს იკავებდა. აღნიშნული პაკეტის ამოქმედება რამდენჯერმე გადაიდო.

– რუსები ძალზე აგრესიულები არიან, უკრაინელები კი ზედმეტად ამბიციურები. მათ რომ საკაშვილივით კეთილგონიერება გამოეჩინათ, რასაკვირველია, ასეთი სანქციების აუცილებლობა არ იქნებოდა. საკაშვილმა თავის დროზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის ფართომასშტაბიან ომზე უარი თქვა, რის გამოც სისხლის ღვრაც აიცილა, დანარჩენ ტერიტორიებზეც რეფორმები განახორციელა, ქვეყანაც წინ წავიდა. შედეგად დემოკრატიული პროცესი საქართველოში შეუქცევადი გახდა, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გარანტიაა. უკრაინელთა მომავალი თაობები განსჯიან, რა სჯობდა, რუსეთთან ომი თუ გარკვეული კომპრომისი. სამწუხაროდ, უკრაინა ნელნელა „ახალ ავღანეთად“ იქცევა. ჩვენც იძულებულნი ვართ, რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ავამოქმედოთ, თუმცა ეს ეკონომიკურად ძალზე გვაზარალებს, – აცხადებს გერმანის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი.

ამრიგად, ევროპა ფეხს ითრევდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, სანქციები აემოქმედებინა. ამჯერად ისინი ისეთ გიგანტებზე გავრცელდა, როგორიცაა „გაზპრომნეფტი“, „ტრანსნეფტი“, აგრეთვე თავდაცვის სფეროში მომუშავე კომპანიები.

– რუსეთის ეკონომიკას ამით საგრძნობი ზარალი მიადგება, თუმცა, რამდენად შეაჩერებს ეს რუსეთის აგრესიას? – ამ კითხვას რადიო „თავისუფლება“ სვამს.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ რუსეთის გააქტიურება შემთხვევითი არ არის. დღეს აშშ-ის მთელი ყურადღება ერაყისაკენაა მიპყრობილი, სადაც ტერორიზმის პრობლემა მწვავედ დადგა. ვაშინგტონი „ერაყისა და ლევანტის სახელმწიფოზე“ დარტყმას ამზადებს. უკრაინელი პოლიტოლოგი ფისენკო შექმნილ ვითარებას 1956 წელს ადარებს, როცა უნგრელი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა, დასავლეთს კი მისთვის არ ეცალა.

– იმ დროს ინგლისმა ეგვიპტის საწინააღმდეგო ომი დაიწყო, უნგრეთიც მეორე პლანზე გადავიდა, – წერს ფისენკო.

როგორც ჩანს, კრემლში იმედოვნებენ, რომ დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა კი აშშ, უკრაინის დაცვას ვერ შეძლებენ, თუმცა ახლა 1956 წელი როდია. რუსეთიც ბევრად უფრო სუსტია. უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის, გენერალ სმეშკოს ცნობით, დღეს რუსეთს მხოლოდ 150 000 ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცი ჰყავს. შესაბამისად, უკრაინის წინააღმდეგ შეუძლია, 50-80 ათასი გამოიყვანოს. მთელი უკრაინის ოკუპაციისათვის კი არანაკლებ 300 000-ია აუცილებელი. დონბასის სრულ ოკუპაციას კი დაახლოებით 10 000-120 000 დასჭირდება.

– რუსეთს დღეს არ გააჩნია საიმისო ძალები, რომ უკრაინას ომი მოუგოს! ჩვენი ხალხი მაგრად დგას! თუკი უკრაინის ხელმძღვანელობა სიმტკიცესა და კომპეტენტურობას გამოიჩენს, მტერი ვერას დაგვაკლებს, – ამბობს სმეშკო.

დასავლეთი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ მისი შეიარაღებული ძალები რუსეთ-უკრაინის ომში არ ჩაერევიან, თუმცა სანქციები რუსეთის წინააღმდეგ გამკაცრდება. ასეც მოხდა, თუმცა ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის.

– სანქციები კრემლს უფრო აგრესიულს გახდის, – თვლის ვიტალი პორტნიკოვი.

ამ მოსაზრებას ბევრი წამყვანი პოლიტიკოსი იზარებს. დიდი ბრიტანეთის პრემიერ ქემერონი თვლის, რომ სანქციების ეფექტი მოგვიანებით იქნება, დღეისათვის კი უკრაინა თავდაცვისათვის უნდა მოემზადოს.

– სანქციები, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი იარაღია, მაგრამ მხოლოდ ამით ვერას გავხდებით. მთავარი უკრაინელთა შემართება და დარაზმულობა იქნება, – ამბობს ქემერონი.

უკრაინელები თავდაცვისათვის ემზადებიან

უკრაინელები კი რუსეთის თავდასხმის მოლოდინში არიან. მართალია, რუსეთთან საზღვრის დონბასის მონაკვეთს უკრაინა ჯერჯერობით ვერ აკონტროლებს, მაგრამ სხვაგან გამაგრებითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

– ჩვენი არმია ფეხზე დგება, – აცხადებს პატრიოტული ორგანიზაცია „მემარჯვენე სექტორის“ ერთ-ერთი ლიდერი, ბერეზა.

უკრაინული ჯარი წარმატებთ გაუმკლავდა რუსული არმიისა თუ ფსბ-ს სპეციალურ ნაწილებს, ჩეჩენ ბოევიკებს. დონეცკისა და ლუგანსკის აღების პერსპექტივა რეალობა გახდა. პუტინსაც სხვა გამოსავალი აღარ დარჩა, გარდა იმისა, რომ უკრაინაში რეგულარული არმია შეეყვანა. კრემლის გათვლა, რომ ამით ძირეულ გარდატეხას მიაღწევდნენ, არ გამართლდა. უკრაინელებმა მტერს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. თანახმად უკრაინის უშიშროების საბჭოს მონაცემებისა, ბრძოლების შედეგად მოკლულია 2 000-მდე რუსი ჯარისკაცი, 8000-მდე კი დაჭრილია.

– ჩვენი მეომრების გმირულმა წინააღმდეგობამ, პლუს საერთაშორისო ზეწოლამ, განაპირობა, რომ პუტინი მინსკის ზავზე წავიდა, ჩვენ კი დონბასის 70 პროცენტი შევინარჩუნეთ, – ამბობს პოროშენკოს მრჩეველი სერგეი კუნიცინი.

მინსკის ზავი დროებითია, ამაში არც ერთ უკრაინელს ეჭვი არ ეპარება. ისიც ცხადია, რომ საომარი მოქმედების განახლების შემთხვევაში პუტინი ჯარის ახალ-ახალ ნაწილებს შემოიყვანს. უკრაინელებიც რუსეთის რეგულარულ არმიასთან საბრძოლველად ემზადებიან.

ნიკა თევზაძე

აშშ ისლამისტ-ექსტრემისტების საწინააღმდეგო კოალიციას ქმნის

აშშ „ერაყისა და ლავანტის ისლამურ სახელმწიფოს“ წინააღმდეგ კოალიციას ქმნის. სავარაუდოდ, კოალიციას რიგი არაბული სახელმწიფო შეუერთდება.

ტერორისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ (იგლ) 2014 წლის აპრილში შეიქმნა. თავდაპირველად ის ალ ქაიდასა და რამდენიმე ისლამისტური ტერორისტული დაჯგუფების გაერთიანებას წარმოადგენდა. შემდგომში ალ ქაიდასა და დანარჩენ ისლამისტებს შორის განხეთქილება მოხდა, რის შედეგადაც ალ ქაიდამ ხსენებულ სტრუქტურებთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა. დღეისათვის იგლ-ი 12 000-მდე ბოევიკს ითვლის. ის ერაყისა და სირიის ტერიტორიის ნაწილს აკონტროლებს. დაკავებულ ტერიტორიაზე სასტიკი რეჟიმი დამყარდა. ტერორისტები სიკვდილით სჯიან ყველას, ვინც „არასაიმედოდ“ მიაჩნიათ. მათ შორის არიან სხვა რწმენის ადამიანები, ოპოზიციონერები და ა.შ. გამოიყენება დასჯის ისეთი მეთოდები, როგორიცაა თავის მოკვეთა, სარზე გასმა, თვალების დათხრა, ენის ამოგლეჯა და ა.შ. იგლ-ის ბოევიკების ხელით უკვე ათასობით ადამიანი დაიღუპა.

ორგანიზაციის შემოსავლის წყაროებია ადამიანებით ვაჭრობა, ნარკობიზნესი, ბანკების ძარცვა და ა.შ. იგლ-ს ჰყავს აგრეთვე მდიდარი სპონსორები არაბული ქვეყნების რიგი მილიარდერის სახით. ორგანიზაციის ლიდერი ალ-ბაღდადი ამტკიცებს, რომ მან ხალიფატი შექმნა და მალე მის შემადგენლობაში ყველა მუსლიმანი მოექცევა. იგლ-ი უკვე ცდილობს, გაავრცელოს თავისი მოქმედება პაკისტანზე, ავღანეთზე, თურქეთზე.

– იგლ-ი საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციად გადაიქცა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ექსტრემისტებთან ბრძოლა დემოკრატიული სამყაროს ლიდერმა აშშ-მ ითავა. ამერიკულმა ავიაციამ იგლი-ს ბოევიკების ბაზებზე პირველი დარტყმები უკვე განახორციელა. ახლა კოალიციის შექმნა მიმდინარეობს, რათა ექსტრემისტები საბოლოოდ გაანადგურონ.

ნიკა თევზაძე

დინამო ქულების დაკარგვა დაიწყო

მეტალურგი – დინამო 3:0

რუსთავი. ფოლადი

1:0 ქავთარაძე (28) 2:0 ჯოხაძე (45) 3:0 სიხარულიძე (48)

მეტალურგი: ბედიაშვილი, ვასაძე, ქავთარაძე, ჯოხაძე (კიტეიშვილი 80), ვ.კილასონია, სიხარულიძე (გაბაშვილი 82), კ.ხიზანეიშვილი, ექვთიმიშვილი (გ.კილასონია 75), ცნობილაძე, კაკაშვილი, მიქაუტაძე

დინამო: მიგინეიშვილი, თოთაძე, გველესიანი, საჯაია (შერგელაშვილი 46), პაპავა, ძარია, ჯანელიძე (ლობჟანიძე 58), პაპუნაშვილი, პარუნაშვილი, ჩისკო, საბანაძე (ზივზივაძე 66)

აქამდე უდანაკარგო თბილისის „დინამომ“ პირველი მატჩი რუსთავში წააგო. თუმცა, მარცხსაც გააჩნია – მოუმზადებელ და ჩემპიონატის წინ შეკრებილ გუნდთან ისე უსუსურად გამოიყურებოდნენ, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ერთი მომენტის შექმნაც კი ვერ მოახერხეს.

ჯერ კიდევ უფინანსოდ მყოფმა „მეტალურგმა“ კი მართლაც ჩინებულად ითამაშა და ყველაფერში დაჩაგრა მეტოქე. სოლიდური ანგარიშის გარდა, კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ დინამოელთა კარში გოლის გატანა.

მატჩი რუსთაველთა უპირატესობით დაიწყო და სახიფათო მომენტებსაც მხოლოდ ისინი ქმნიდნენ. რამდენიმე ჩხვლეტის შემდეგ პირველი სერიოზული ხიფათიც შეიქმნა – ჯოხაძე მარჯვენა ფლანგზე ორ მეტოქეს გასცდა, საჯარიმოს წინ ქავთარაძე მოძებნა, რომლის დარტყმული ძელს მოხვდა. მალევე ჯოხაძის ჩაწოდებას თაბი კაკაშვილმა შეაგება, მაგრამ არაზუსტი დარტყმა გამოუვიდა.

„მეტალურგის“ გოლს დიდხანს არ დაუგვიანია – 27-ე წუთზე მიქაუტაძემ მარჯვნიდან განივი პასი გააკეთა, ქავთარაძემ კი ბურთს შეუჩერებლივ შეაგება ფეხი – 1:0.

პირველი ტაიმის მიწურულს ჯოხაძემ მარცხენა ფლანგიდან ჯარიმა მოულოდნელად კარში დაარტყა, მიგინეიშვილს აღება მართებდა, მაგრამ – 2:0.

მეორე ტაიმი რუსთაველებმა აქტიურად დაიწყეს და მალევე, ჯოხაძემ რუსთაველთა საჯარიმოში ჩააწოდა და სიხარულიძემ კი ერთი შეხებით გაიტანა – 3:0.

„მეტალურგი“ გაჩერებას არ აპირებდა. გოლის გატანის შანსი ჰქონდათ კაკაშვილსა და ქავთარაძეს. შემდეგ კი, თამაშის ტემპი ოდნავ დაეცა.

მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, მასპინძელთა საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა ჩისკომ სახიფათოდ, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. ეს იყო და ეს – მეტი საინტერესო არც არაფერი მომხდარა.

კახი გოგიჩაიშვილი:

– ვულოცავ „მეტალურგს“ დამსახურებულ გამარჯვებას. რაც შეეხება ჩვენს თამაშს, ძალიან სუსტად ვიასპარეზეთ. მიზეზები შეიძლება არის, მაგრამ ფაქტია – „დინამო“ ასე არ უნდა თამაშობდეს. სანაკრებო პაუზამ გამოძახებული ფეხბურთელებიდან გამომდინარე ცუდად იმოქმედა ჩვენზე. ასევე ბევრი ახალგაზრდა გვყავს გუნდში და სტაბილურობა გვაკლია, თუმცა ვიმუშავებთ ამაზე, გავაანალიზებთ შეცდომებს და უახლოეს ხანში გამოვასწორებთ ხარისხს.

ვარლამ კილასონია:

– მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ფეხბურთელებს. შევისწავლეთ მეტოქე და პირველივე წუთიდან ფეხბურთელებმა კარგად შეასრულეს აგრესიული თამაშის დავალება. გოლებიც კომბინაციური შეტევებით გავიტანეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

დილა – გურია 2:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 კვეკვესკირი (83) 2:0 მოდებაძე (90პ)

დილა: შეყრილაძე, ჯაფარიძე, ქარქუშაშვილი, ადამაძე, ხურცილავა, ერისთავი (ბერიძე 68), წიქარიძე (არაბული 72), რაზმაძე, კვეკვესკირი, ახალკაცი (სეთურიძე 78), მოდებაძე

გურია: ზუხბაია, მეგრელიშვილი (ე.კილაძე 86), გოგიაშვილი, ჟვანია, ჭეიშვილი, კოშკაძე, შალამბერიძე, ჯოჯუა (გაბრიჩიძე 66), მიქაბერიძე, კუკულაძე (წილოსანი 68), ს.ლომია

„დილამ“ საკუთარ სტადიონზე ნიკა კვეკვესკირისა და ირაკლი მოდებაძის გოლებით 2:0 დაამარცხა ლანჩხუთის „გურია“.

მატჩი დაბალი ტემპით დაიწყო. პირველი რეალური სახიფათო მომენტი ტაიმის შუა წელში შეიქმნა, როდესაც მოდებაძე საჯარიმოში შეიჭრა და დარტყმის მომენტში მცველებმა შეუშალეს ხელი. 35-ე წუთზე სახიფათო ჯარიმა ვერ გამოიყენა თენგო წიქარიძემ, რომელმაც დარტყმული კარის ჩარჩოს დიდი მანძილით აცდინა. აქტიური იყო გიორგი ერისთავიც, რომელიც შორიდან ურტყამდა, თუმცა უშედეგოდ. სტუმრებს კი მხოლოდ საწყის წუთებში ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა, სადაც ალექსანდრე კოშკაძე და კობა შალამბერიძე აქტიურობდნენ, მაგრამ მათმა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო.

მეორე ტაიმში თამაშის ხარისხი მკვეთრად გამოსწორდა. „დილა“ უფრო სწრაფად ათამაშდა და ძირითად დროს შეტევებში ატარებდა. 49-ე წუთზე ლანჩხუთელთა კარის სიახლოვეს სახიფათო ჯარიმა დაინიშნა. საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ადამაძე თავით გამოეხმაურა და „გურია“ ხარიხამ იხსნა. მალევე ადამაძემ კუთხურიდანაც შეძლო თავით დარტყმა და აქაც არ გაუმართლა. ბურთი მცირე მანძილით ასცდა მიზანს.

53-ე წუთზე ხურცილავა ფლანგიდან კარგად ჩაერთო შეტევაში და მეტოქის საჯარიმოში ერისთავი მოძებნა, რომელსაც ბოლო მომენტში აართვეს ბურთი. ხუთ წუთში ძალიან ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს გორელებმა. ერისთავმა ფლანგზე გარღვევის შემდეგ, ბურთი ლანჩხუთელთა საჯარიმოში ჩაკიდა, სადაც მოდებაძემ ბურთს მიმართულება შეუცვალა. დარტყმული მიზანს ცდებოდა, როდესაც დამატებაზე ახალკაცმა დაარტყა, მაგრამ მეკარემ ზედ კარის ხაზიდან შეძლო ბურთის გამოტანა.

ამის შემდეგ იყო ერისთავის ორი სახიფათო, მაგრამ არაზუსტი დარტყმა. ასევე მოდებაძემ ორჯერ დაარტყა მცირედ არაზუსტად. შეცვლაზე შემოსულ ბაჩანა არაბულმა ხურცილავას გადაცემის შემდეგ დასწრებაზე ყველას აჯობა და დარტყმული სულ ოდნავ გადასცდა ზუხბაიას კარს.

83-ე წუთზე მორიგი სახიფათო ჯარიმა ნიკა კვეკვესკირმა შეასრულა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0. გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრები შეეცადნენ წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ „დილას“ ფეხბურთელებმა უკან არ დაიხიეს. საბოლოო წერტილი თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ირაკლი მოდებაძემ დასვა, რომელსაც კვეკვესკირმა ძალიან ჭკვიანური გადაცემა გაუკეთა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა „დილას“ თავდამსხმელმა ზუხბაიას წამიერად დაასწრო და მეკარემაც მოწინააღმდეგე წააქცია. პენალტი ირაკლიმ უზადოდ შეასრულა – 2:0.

და ერთი სამწუხარო ამბავიც. მატჩის მიმდინარეობისას ტრიბუნაზე გულის შეტევით გარდაიცვალა „დილას“ ლეგენდა – ყოფილი ფეხბურთელი და მთავარი მწვრთნელი, 68 წლის ზავენ ვანიშვილი.

კოლხეთი – ჩიხურა 1:0

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

1:0 ჯიქია (84)

კოლხეთი: ძაგანია, კილასონია, ჩადუნელი, თევზაძე, ლემონჯავა, გოგონაია, გუგუჩია, ჯიქია, გუგუშვილი (ქორჩილავა 59), ამბროლაძე (დ. სიჭინავა 74), ნევუჩე (ბარამიძე 46)

ჩიხურა“: ქვილითაია, ღონღაძე, ჭელიძე, ჯიღაური, ქიმაძე, სიხარულია, მუმლაძე (კუჭუხიძე 63), დობროვოლსკი (ჩიკვაიძე 81), კორიფაძე, კაშია, დეკანოიძე

მიმდინარე ჩემპიონატში ფოთელებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს. მატჩის ერთადერთი გოლი 84-ე წუთზე გავიდა – „ჩიხურას“ საჯარიმოში სომხეთის ჩემპიონატიდან მობრუნებულმა შოთა ჯიქიამ მიიღო ბურთი და კარისკენ უძლიერესად დაარტყა, ქვილითაია უძლური იყო – 1:0.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო	4	3	0	1	6-5	9
2.მეტალურგი	4	2	2	0	5-1	8
3.დილა	4	2	1	1	4-1	7
4.ბათუმი	3	2	0	1	3-2	6
5.სპარტაკი	3	2	0	1	2-2	6
6.შუქურა	3	1	2	0	3-2	5
7.სიონი	3	1	1	1	3-3	4
8.ტორპედო	3	1	1	1	4-3	4
9.კოლხეთი	4	1	1	2	2-5	4
10.სამტრედია	3	1	1	1	3-4	4
11.ჩიხურა	4	1	1	2	3-4	4
12.ვიტ ჯორჯია	3	1	0	2	2-2	3
13.ზესტაფონი	3	1	0	2	9-5	3
14.მერანი	3	1	0	2	3-4	3
15.ზუგდიდი	3	0	2	1	2-3	2
16.გურია	4	0	2	2	0-8	2

ტონი კროოსი: „ბაიერნიდან წასვლის მიზეზი გვარდიოლაა“

გერმანიის ნაკრების ფეხბურთელ ტონი კროოსისთვის ეს ზაფხული ისეთი იყო, ნებისმიერი ფეხბურთელი რომ ინატრებს. 24 წლის ნახევარმცველი ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მერე კი მადრიდის „რეალში“ გადავიდა.

გავრცელებული ხმებით, კროოსი „ბაიერნის“ ხელმძღვანელობას მაღალ ხელფასს სთხოვდა, ასეთი რამ კი მიუნხენური გრანდის შეფობისთვის მიუღებელია – ისინი დიდ ხელფასს არავის უხდიან.

„რეალში“ გადასვლის გამო კროოსს გულშემატკივრები კი გაუნაწყენდნენ, მაგრამ თვით გერმანული ფეხბურთის ლეგენდამ, ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, ტონის უნდა გავუგოთო.

კროოსთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– ფეხბურთელისთვის მსოფლიოს ჩემპიონობაზე დიდი ტრიუმფი არ არსებობს და თქვენ ამ მიზანს ამ ზაფხულს მიაღწიეთ. უმაღლესი საფეხბურთო ტიტულის მოპოვების შემდეგ ყოველდღიურობაში დაბრუნება როგორი განცდაა?

– ჩვენ წლების მანძილზე, ყოველდღე ვფიქრობდით მსოფლიოს ჩემპიონობაზე და ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ ამ მიზნისთვის მიგვეღწია. ფეხბურთში კი, ამაზე დიდი და ღირებული არაფერია. ტიტულის მოპოვების შემდეგ ხვდები, რომ უმაღლესი საფეხბურთო ჯილდო დაიმსახურე და ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საფეხბურთო რეალობაში დაბრუნება ადვილი ნამდვილად არ არის. თუმცა, 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, გერმანიის ნაკრების თითოეული წევრი ხვდება, რომ მსოფლიოს ჩემპიონობით არაფერი დამთავრებულა და ახლა უკვე ახალი მიზანი გვაქვს – მოვიპოვოთ ევროპის ჩემპიონატის საგზური და მერე ევროპის ჩემპიონობა. მუნდიალის მოგება უმაღლესი საფეხბურთო ჯილდოა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობა ყველაფერი არ არის! ჩვენი მიზანი ახლა ევროპის ჩემპიონობაა და ამ მიზნის მისაღწევადაც ყოველდღე უნდა ვიშრომოთ. ვინც ასე არ ფიქრობს, ფეხბურთის თამაშს უნდა შეეშვას.

– გამოდის, რომ თქვენი მთავარი მოტივაცია ახლა ევროპის ჩემპიონატია?

– პირადად ჩემთვის „რეალში“ გადასვლაც ახალი მოტივაცია და გამოწვევა იყო. რაც შეეხება სანაკრებო დონეს, ევროპის ჩემპიონობა სწორედ ერთადერთი ტიტულია, რომელიც მაკლია და ეს ჩემთვის საკმარისზე მეტი მოტივაციაა. დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი ასე ფიქრობს.

– მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ მეტოქე გუნდების უკანასკნელები უფრო აგრესიულად ხომ არ გეთამაშებიან?

– მსოფლიოს ჩემპიონობამდე, „ბაიერნშიც“ ძალიან აგრესიულად მეთამაშებოდნენ. ჩემი აზრით, ბუნდესლიგა უფრო აგრესიულია, მაგრამ „ლა ლიგა“ სხვა დონეა, რადგან აუტსაიდერიც კი ბოლომდე იბრძვის და ცდილობს ქულები მოიპოვოს შენთან. აქ ფეხბურთის თამაში მომწონს, შესანიშნავი კლუბია და გუნდში უდიდესი სითბო და მეგობრული სიტუაცია სუფევს.

– რით სჯობია „რეალი“ „ბაიერნს“? რას გთავაზობთ მადრიდული კლუბი მიუნხენურზე უკეთესს?

– ჩვენ ახლა მსოფლიოში ორ უდიდეს საფეხბურთო კლუბზე ვსაუბრობთ. „რეალი“ და „ბავარია“ მსოფლიოს წამყვანი კლუბები არიან, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ „რეალი“ მიუნხენურ კლუბზე ერთი ნაბიჯით წინაა. როდესაც ჩემი პრეზენტაცია შედგა „სანტიაგო ბერნაბეუზე“, მას 20.000 გულშემატკივარი ესწრებოდა. როდესაც მე პირველად მოვირგე „რეალის“ ფორმა, როდესაც პირველი მატჩი ჩავატარე „ბერნაბეუზე“ შევხვდი სადაც ვარ და მივხვდი რას ნიშნავს ამ გერბის ტარება. ასეთი რამ გერმანიაში არ მომხდარა. ესპანელი ქომაგი უფრო მოსიყვარულეა გერმანელებისგან განსხვავებით. ბედნიერი ვარ, რომ დამიმატა საუკეთესო კლუბმა და მზად ვარ მას ვემსახურო ბოლომდე.

– თქვენ „რეალში“ გადახვედით, ჩაბი ალონსო კი „რეალიდან“ „ბაიერნში“ წავიდა. როგორ შეაფასებდით ამ ტრანსფერს?

– ვიცი, რომ ზაფხულში „ბაიერნის“ ხელმძღვანელები ჩაბი ალონსოს ტრანსფერს არ გეგმავდნენ. ვფიქრობ, ეს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილებაა. გუნდს რამდენიმე წამყვანი ნახევარმცველი ტრავმირებული ჰყავს და რაკი ჩაბი ალონსო ბაზარზე გამოჩნდა, შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს. ყოველ შემთხვევაში, მე ჩემს ტრანსფერს ჩაბის ტრანსფერთან ვერ ვაკავშირებ. ალონსო დიდი ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ კლუბს მოერგება. „ბაიერნი“ ჩაბის გადასვლით საგრძნობლად გაძლიერდა. მე არ შევადარებ ჩაბის „რეალისთვი“ და ჩაბის „ბაიერნისთვის“. ის „რეალისთვის“ უფრო დიდი ფეხბურთელი იყო.

– როგორ ფიქრობთ, „ბაიერნი“ კმაყოფილი იქნება ჩაბი ალონსოთი?

– ჩაბი ძალიან კარგი ადამიანი და შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელიც „ბაიერნს“ აუცილებლად გამოადგება. იმედი მაქვს, რომ ალონსო მიუნხენში ბედნიერი იქნება.

– გულახდილად გვითხარით, აუცილებელი იყო, რომ „ბაიერნიდან“ „რეალში“ გადასულიყავით?

– პირადად მე ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ და ეჭვი არ მეპარება, რომ სწორად მოვიქეცი.

– მადრიდში კრიშტიანო რონალდუ თქვენი მეზობელია. წვეულებაზე უკვე დაგპატიჟათ?

– რონალდუ მართლაც ახლოს ცხოვრობს ჩემთან, მაგრამ, ჯერ ერთი, თვეზე ცოტა მეტი გავიდა მას მერე, რაც მადრიდში ვარ. სეზონი ინტენსიურად დაიწყო და ბევრი დრო არ გვქონდა იმისათვის, რომ თავისუფალი დრო ერთად გაგვეტარებინა. ამ ეტაპზე ჩემთვის ყველაზე მთავარი ოჯახი და ახალ გარემოსთან შეგუებაა.

– ესპანური ენის გაკვეთილები როგორ მიდის?

– ესპანური ენის კურსებს ნაკრებიდან დაბრუნების შემდეგ ვიწყებ და შეძლებისდაგვარად ხშირად ვიმეცადინებ ხოლმე – კვირაში მინიმუმ ერთხელ და მაქსიმუმ ორჯერ.

– ახალ თანაგუნდელებს ან კარლო ანჩელოტის რა ენაზე ეკონტაქტებით?

– ყველას ინგლისურად ვესაუბრები და კომუნიკაცია შესანიშნავად ხერხდება. მწვრთნელებსაც ინგლისურად ველაპარაკები – პრობლემა არ შემქმნია.

– ყველაზე მეტად რომელ სპეციალისტთან მუშაობა მოგწონდათ?

– „ლევერკუზენშიც“ და „ბაიერნშიც“ ჩემთვის საუკეთესო მწვრთნელი იუპ ჰაინკესი იყო, რომელიც ყოველთვის მენდობოდა და მისი დიდად მადლიერი ვარ. ნდობას და მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი იოახიმ ლიოვისგანაც. მიუხედავად იმისა, რომ ევრო 2012-ზე არ მენდო, ლიოვს ძალიან ვაფასებ.

– რაც შეეხება ხოსეპ გვარდიოლას?

– ჩემი „ბაიერნიდან“ წავლის მიზეზი სწორედ ის არის. მე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ვარ. არ ვარ 16 წლის, რომ ახლიდან დავხვეწო თამაში. მე შემიძლია ვითამაშო ეს სტილი და მაქვს პოტენციალი უფრო განვითარდე, გვარდიოლას კი სხვა რაღაც სურდა, რასაც მე ვერ მოვახერხებდი.

კობიაშვილი ახალ ამპლუაში

ბერლინის „ჰერტას“ ვებგვერდზე სტატია გამოქვეყნდა ლევან კობიაშვილზე, რომელიც ფეხბურთელობის შემდეგ გუნდის მენეჯმენტში მუშაობს.

ლევან კობიაშვილი:

– ემოციური გამოსამშვიდობებელი მატჩის შემდეგ დიდხანს ვიყავი სამშობლოში, რაც ძალიან კარგი იყო. ოცწლიანი კარიერის შემდეგ პირველად დავუთმე საკუთარ თავს და ოჯახს ამხელა დრო. ოჯახთან ვატარებდი დროს და კვირაში ორ-სამჯერ ვთამაშობდი. თუ ადრე რობერტ ლევანდოვსკის და მარკო როისს ვეპაექრებოდი, ახლა ჩემს შვილს ვეთამაშებოდი.

ახლა ჩემთვის ყველაფერი ახალია. ბოლო დღეებში უდიდესი გამოცდილება მივიღე. ახალგაზრდული აკადემიის მუშაობის პრინციპებს ვეცნობი და ვსწავლობ ვარჯიშების ორგანიზების პროცესს. რაც მთავარია, საქმე ნამდვილ პროფესიონალებთან მაქვს.

ყოველთვის მინდოდა, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ისევ ამ სამყაროში დავრჩენილიყავი. ამიტომ მიხარია, რომ „ჰერტამ“ ამის შესაძლებლობა მომცა. აკადემიაში შესანიშნავი გარემოა, აქ ისეთი ხალხი მუშაობს, რომელთაგანაც ძალიან ბევრი რამის სწავლა შემიძლია.

სანამ ფეხბურთს თამაშობ, იმდენად ხარ დაკავებული, რომ ვერ ამჩნევ, რა ამბები ხდება მის მიღმა. მინდა ვთქვა, რომ ეს ძალზე საინტერესოა. მომავალში, ალბათ, სამწვრთნელო ლიცენზიასაც ავიღებ. თუმცა ამ თემაზე ახლა საუბარი მიჭირს. ჩემი ახალი სამსახურით ვარ დაკავებული.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

კარტელური გარიგება — 34-მა კომპანიამ საფერავის ფასი ერთდროულად 2.40-დან 1.50 ლარამდე დააგდო

კახეთში რთველი 21აგვისტოს დაიწყო. ღვინის კომპანიები საფერავის ჯიშის ყურძენს 1.30 ლარად იბარებდნენ. 27 აგვისტოდან ყურძენი გაძვირდა. 28, 29, 30 აგვისტოს 1 კილოგრამი ხარისხიანი საფერავის ფასი 2-დან 2.40 ლარამდე მერყეობდა. იმის მიუხედავად, რომ წელს კახეთში, სეტყვის და ძლიერი გვალვის გამო ხარისხიანი ყურძნის მოსავალი შემცირებულია, ყურძენზე მოთხოვნა კი გაზრდილია, 31 აგვისტოს, ღვინის 34-ვე კომპანიამ, საფერავზე ფასი ერთდროულად 1.50 ლარამდე დააგდო.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2014 წლის ივლისში გაავრცელა ინფორმაცია, რომ წელს, კახეთში 126 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალია მოსალოდნელი. აქედან 96 ათას ტონამდე რქაწითელი და 30 ათას ტონამდე საფერავია. ივლისსა და აგვისტოში რეგიონში ძლიერი გვალვის გამო რამდენიმე ასეულ ჰექტარზე ყურძენი დაზიანდა და ვაზზე დაჭკნა, შესაბამისად, მოსავლის რაოდენობა შემცირდა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №1407 განკარგულებით დამტკიცდა 2014 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები. 2013 წელთან შედარებით, წელს მთავრობამ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე სუბსიდია 5 თეთრით შეამცირა და 35 თეთრია, 1 კილოგრამ საფერავზე კი სუბსიდია 10 თეთრით შემცირდა და 15 თეთრს შეადგენს.

სუბსიდიის შემცირება სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ყურძენზე გადაჭარბებული მოთხოვნით ახსნა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წლის 7 თვეში (იანვარი-ივლისი) მსოფლიოს 35 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 31376 279 (0,75 ლ) ბოთლი შეადგინა, რაც 95%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ბელარუსი. რუსეთი 65%-ით ლიდერობს ექსპორტის მთლიან მოცულობაში. ღვინის ექსპორტმა რუსეთში 2014 წლის პირველი 7 თვის მონაცემებით 20 502 499 ბოთლი შეადგინა. საექსპორტო ქვეყნების ათეულშია ჩინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და აზერბაიჯანი.

საანგარიშო პერიოდში, ექსპორტირებულია 102 186 500 აშშ დოლარის ($) პროდუქცია, რაც 117%-ით აღემატება 2013 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში 12 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6 455 295 (0,5ლ) ბოთლი ბრენდი. წლის განვლილ 7 თვეში ბრენდის ექსპორტმა თანხაში 22 973 604 აშშ დოლარი ($) შეადგინა, რაც 66%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებში ლიდერობს უკრაინა, სადაც იანვარ-ივლისის პერიოდში ექსპორტმა – 3 341 904 ბოთლი შეადგინა, მეორე ადგილს 2 636 496 ბოთლით რუსეთი იკავებს.

საქართველოს მთავრობის 7 აგვისტოს განკარგულების მიხედვით, ზემოთაღნიშნული სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ ღვინის კომპანიებს, რომლებიც ყურძნის ჩაბარებელი ფიზიკური პირებისაგან ერთი კილოგრამი ყურძნის შესყიდვას განახორციელებენ არანაკლებ ერთ ლარად; წარადგენენ მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულ ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობას.

ყურძნის ჩაბარების დაწყებამდე ღვინის კომპანია ვალდებულია, ყურძნის შესყიდვის გაზრახვის თაობაზე რეგისტრაცია გაიაროს ღვინის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო სააგენტო უზრუნველყოფს ღვინის კომპანიასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2 სექტემბრის მდგომარეობით, რთველში უკვე 57 ღვინის კომპანია მონაწილეობს.

28-30 აგვისტოს, როცა 1 კილოგრამ საფერავზე ყველაზე მაღალი ფასი 2 – 2.40 ლარი დაფიქსირდა, ყურძენს 34 ღვინის კომპანია იღებდა. მათ შორის იყვნენ ს/ს „თელიანი ველი“, შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“, შპს „ასკანელი ძმები“, ს/ს „თელავის ღვინის მარანი“ და ა.შ.

„თელავის ღვინის მარნის“ წარმომადგენლის თენგიზ ჯავახიშვილის განმარტებით, კომპანიამ 29-30 აგვისტოს 1 კილოგრამ საფერავში 2.20 ლარი გადაიხადა. „ფასი მერყეობდა 2 ლარიდან ზემოთ ადგილწარმოშობის ზონების, შაქრიანობის და ხარისხის მიხედვით“.

– 34-მა კომპანიამ ერთდროულად რომ შეამცირა ფასი 1.50 ლარამდე, ეს რამ გამოიწვია?

– არ იყო რეალური ფასი და იმიტომ.

– თუ რეალური ფასი არ იყო, მაშინ რატომ იხდიდით?

– ასე გადავწყვიტეთ.

29-30 აგვისტოს საფერავში 2.10 ლარს იხდიდა შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“, რომელიც ყურძენს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ქარხანაში იბარებს.

31 აგვისტოს, ქარხანაში მისულ მევენახეებს განუცხადეს, რომ ყურძენს 1.50 ლარად ჩაიბარებდნენ.

„წინა დღეს 2.10 ლარს იხდიდნენ. სოფლის გამგეობაში ცნობა ავიღე, მეორე დღეს ყურძენი დავკრიფე, მოვიტანე და ფაქტის წინაშე დამაყენეს. ღარანახევრად თუ გინდა ჩავიბარებთ თუ არადა უკან წაიღეო. ფასი რატომ დააკლეთ მეთქი და მიპასუხეს, კერძო კომპანიაა და რა ფასადაც გვინდა, იმ ფასად ჩავიბარებთო“, – უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ახაშენში მცხოვრებმა მევენახემ გიორგი ბეგაშვილმა.

შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“-ის დირექტორი კობა მკალავიშვილი 34 კომპანიის მიერ საფერავზე ფასის ერთდროულად შემცირების მიზეზებზე არ საუბრობს.

ლევან დავითაშვილი – ღვინის კომპანიებს იმაზე მეტი ყურძნის შესყიდვაზე აქვთ განცხადება გაკეთებული, ვიდრე მოსალოდნელი მოსავალია კახეთში რთველის საკოორდინაციო შტაბს ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ლევან დავითაშვილი ხელმძღვანელობს. რთველის შტაბი აძლევს სოფლებში გამგეობის წარმომადგენლებს ნებართვას რომ გასცენ ცნობა, რომლის გარეშეც ღვინის კომპანიები მევენახეებისგან ყურძენს არ იბარებენ. ცნობა მევენახეს ამისამართებს ყურძენი როდის დაკრიფოს და რომელ ქარხანაში ჩააბაროს. ამასთან, ყველა ქარხანაში სადაც ყურძნის მიღება ხდება, რთველის შტაბის წარმომადგენელია მიმაგრებული. ისინი სპეციალური პროგრამით აღრიცხავენ მევენახეებმა რა ოდენობის ყურძენი ჩააბარეს.

34 კომპანიის მიერ საფერავზე ფასის ერთდროულად შემცირებასთან დაკავშირებით, ლევან დავითაშვილი ამბობს:

„იყო საუბარი, რომ შეიძლება სახელმწიფომ ვიღაცას ან მიუთითა ფასი, ან იყო რაღაც ტიპის ინდიკაციები, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. სახელმწიფო დისტანცირებულია ფასის ფორმირებისგან. ჩვენი მთავარი ინსტრუმენტი, რომელსაც მევენახეებს ვთავაზობთ არის ის, რომ ლარის მინიმალური გარანტირებული პირობა შექმნილია, ისიც არა ძალდატანებით. ეს არის არჩევითი. კომპანიებს იმ მოტივაციას ვუქმნით, რომ ლარზე ნაკლები არ გადაუხადონ მევენახეს, ხოლო ლარის ზემოთ არის სუფთა საბაზრო მოთხოვნა – მიწოდებით განპირობებული ფასი. ფასი მერყეობს, დასაწყისში იყო დაბალი, შემდეგ აიწია, შემდეგ ოდნავ დაიწია. დღევანდელი სტატისტიკით ვადევნებთ თვალს ფასს და შედარებით შემცირებულია ერთი-ორი დღის ფასთან შედარებით, მაგრამ ეს ისევ განპირობებულია მოთხოვნა-მიწოდებით.

– 30 აგვისტოს კილოგრამი საფერავის ღირებულება თუ 2 ლარს აღემატებოდა, რა მოხდა განსაკუთრებული, რომ მომდევნო დღეს, ერთდროულად, ყურძნის ფასი 90-60 თეთრით დაეცა.

– ვერ გეტყვით ამას. ჩვენი ჩარევა არის საორგანიზაციო საკითხებში, ლოჯისტიკური დაბინავების კუთხით, რომ არ შეიქმნას ჭარბი მიწოდება და მოზღვავება, რიგები რომ არ დადგეს და ასეთი ტიპის კოორდინაცია მოხდეს. ასევე საინფორმაციო კუთხით ვეხმარებით ჩვენ მევენახეებს.

– არ დაინტერესდით რატომ მოხდა ეს, რა განმარტება მიიღეთ?

– ჩვენ მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს მევენახეებთან და იგივე რეჟიმში გვაქვს კომპანიებთან ურთიერთობა. კომპანიების აზრი ის არის, რომ რაღაც ფასად ულირთ ჩაბარება, რაღაცის მერე არ ულირთ, ეს საბაზრო პროცესია, თავიანთი გათვლები, გეგმები გააჩნიათ. ისინი ამ ფასს სთავაზობენ. რათქმაუნდა ყველა ერთ აზრზე ვერ იქნება. საბაზრო მექანიზმი არის ხელშეუხებელი და სახელმწიფო არანაირად არ შეიძლება რომ ამ პროცესზე ზემოქმედებდეს ან ერეოდეს.

– თქვენში ეჭვს არ იწვევს რომ 34-მა კომპანიამ ერთდროულად დააგდო ყურძნის ფასი?

– ვერ გეტყვით რომ ასეა, ჩვენი ინფორმაციით, ფასები

პატარათი მერყეობს. არ არის ერთმნიშვნელოვნად, არ არის წრფიულად დაფიქსირებული.

– 1.50-1.60-მდე მერყეობს სადაც ჩვენ ვნახეთ.

– რაღაც მერყეობის კორიდორი არსებობს. ფასის ინდიკაციისგან თავს შევიკავებ, რადგან ეს შეიძლება ვიღაცამ მითითებად აღიქვას. სახელმწიფო აბსოლუტურად დისტანცირებულია პროცესისგან, ფასი არის სუფთა საბაზრო მექანიზმით ჩამოყალიბებული, მოთხოვნა და მიწოდება განაპირობებს ფასს.

– ეს არ ჰგავს კარტელურ შეთანხმებას? რამდენიმე ათეულმა კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება და ფასი ერთდროულად დააგდო.

– რათქმაუნდა არა.

– რთველის საკოორდინაციო შტაბს აქვს მონაცემები ყურძნის შემსყიდველი თითოეული კომპანიისგან, რა რაოდენობის ყურძნის მიღებას აპირებს მიმდინარე სეზონზე. ჯამში მათ მიერ გაცხადებული რაოდენობა აღემატება მოსავლის საერთო რაოდენობის იმ მონაცემს რომელიც შიდა მოხმარებას არ ექვემდებარება და საწარმოებში ბარდება?

– ბუნებრივია, ჩვენ ვაკეთებთ ანალიზს, რაც არის საფუძველი ჩვენი გადაწყვეტილებებისა. პერიოდულად ვიღებდით ინფორმაციას კომპანიების განზრახვების შესახებ, რამდენი ყურძნის გადამუშავებას აპირებენ. ამ ინფორმაციის შეგროვება დავიწყეთ ივნისის ბოლოდან რთველის საწყის პერიოდამდე. როცა უკვე რთველი იწყება, ამ ინფორმაციის მიღებას ვეშვებით, რადგან უკვე აზრს მოკლებულია, რთველი მიდის და დეგეგმილია ყველაფერი, მხოლოდ იმპელემენტაცია ხდება იმ გეგმების, რომელიც მთავრობას გააჩნია. განცხადება აღემატებოდა იმას, რაც ჩვენი ვარაუდით იყო მოსავალი. შესაბამისად მაღალი მოთხოვნა განაპირობებდა ამ მქროლავ ფასებს, რასაც ჩვენ ვაკვირდებოდით რთველის დასაწყისში. მერე ფასების რაღაც ზღვარის იქით გადასვლა ალბათ ზოგი კომპანიისთვის განაპირობებდა იმას, რომ მათ უნდა შეაჩერონ შესყიდვა, რადგან ეს შეიძლება მათთვის არარენტაბელური იყოს და ა.შ“.

ექსპერტები კარტელურ გარიგებაზე საუბრობენ

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში სოსო არჩვაძე მიიჩნევს, რომ საფერავზე ფასის ერთდროულად შემცირება შეიძლება იყოს ღვინის კომპანიებს შორის კარტელური გარიგების შედეგი.

„საქართველოდან ღვინოზე მოთხოვნა იზრდება. წელს პირველ ნახევარში რუსულ ბაზარზე შეტანილი ღვინის დაახლოებით 12.5% ქართული ღვინო იყო. 1 წელიწადში საქართველომ შეძლო რომ იტყვიან შეუძლებელი და თავისი სეგმენტი ძალიან კარგად წარმოადგინა რუსულ ბაზარზე. ემბარგო ღვინოზე არ ვრცელდება, რუსეთში ელოდებიან ქართულ ღვინოს და არის გარკვეული მოთხოვნა. იმის გათვალისწინებით, რომ წელს კახეთში გვალვა იყო, მოთხოვნა კიდევ უნდა გაზრდილიყო. არის მოთხოვნა ექსპორტზე, არის შიდა მოთხოვნა და ასეთ პირობებში ამას ფასზე უნდა ემოქმედა“, – ამბობს სოსო არჩვაძე.

მისივე თქმით, ქარხნები დაინტერესებულები არიან, რომ ნედლეული იაფად შეიძინონ და შემდეგ ფასთა სხვაობით, გადამუშავების შედეგად მიღებულ მზა პროდუქციასა და პირველადი ნედლეულის ფასს შორის სხვაობა, ანუ მარჟა იყოს მაქსიმალური და მეტი მოგება დარჩეთ.

„ეს არის წმინდა საბაზრო მოთხოვნა. ამიტომ, გრძელვადიან პერსპექტივაში თვითონ ყურძნის მწარმოებლებმა ადგილზე უნდა შეძლონ მცირე ზომის ქარხნების ან კოოპერატივების შექმნა და თვითონვე მოახდინონ ბაზარზე გასვლას. თუ ადგილზე არ მოხდა გლეხური მეურნეობების ინტერესების თანხვედრა, მცირე ზომის ღვინის ქარხნების შექმნა, 5-6 ოჯახის ან ცოტა მეტის, ან ცოტა ნაკლების მიერ, ყოველი რთველის დაწყების წინ აღმოჩნდებიან ისე, როგორც ფეხბურთელი თამაშგარე მდგომარეობაში. მევენახეებმა უნდა იმუშაონ საკუთარი ინტერესების დასაცავად, რომ რაც შეიძლება ნაკლები რგოლი დარჩეს ნედლეულის პირველად წარმოებასა და საბოლოო მომხმარებელს შორის“, – აღნიშნავს სოსო არჩვაძე.

ექსპერტის შეფასებით, კარტელური გარიგება მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა.

„ნავთობით დაწყებული, ნებისმიერი სხვა სეგმენტით დამთავრებული ახდენენ ასეთ გარიგებას. ეს ჯენტლმენური საქციელი არ არის, მაგრამ კრიმინალადაც არ ითვლება და ბიზნესს ამ სფეროში, ისევე როგორც სხვა სფეროში, ნაკლები სენტიმენტალობა ახასიათებს. ისინი ორიენტირებულნი არიან მოგებაზე. ნებისმიერი საშუალება, რომელიც დასჯადი არ არის, მიღებულია. არ ვამართლებ ღვინის ქარხნების მეპატრონეებს, მაგრამ მესმის რატომ იქცევიან ასე. მიზანი ამართლებს საშუალებას, ეს ცინიკური დამოკიდებულება გააჩინათ“, – ამბობს ექსპერტი.

ეკონომიკის საკითხებში ექსპერტის ლევან კალანდაძის განცხადებით, როცა ყველა კომპანია ერთიდაიგივე დროს, ერთიდაიგივე მოცულობით აგდებს ფასს, ეს კარტელური გარიგებაა.

„ყოველად წარმოუდგენელია ეს კომპანიებს შორის შეთანხმების გარეშე მომხდარიყო. ძალიან ძნელია ეხლა საუბარი მოთხოვნა-მიწოდებაზე. მე ვერ დავეთანხმები ვერანაირ მტკიცებულებას და მოსაზრებას, ვინც არ უნდა იყოს, რომ ყურძენზე მოთხოვნა შემცირდა. პირიქით, მოთხოვნა უზარმაზარია. ამას განაპირობებს რუსეთთან ექსპორტის მაჩვენებლის ზრდა. პრაქტიკულად წარმოუდგენელი ზრდა დაფიქსირდა ექსპორტის თვალსაზრისით რუსეთში. შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში ღვინის კომპანიები პროგნოზირებას აკეთებენ სწორედ ექსპორტის და სავაჭრო მოცულობების გაზრდაზე. აქედან გამომდინარე, ყურძნის მოსავალი დღეს მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია“, – აღნიშნავს კალანდაძე.

მისივე თქმით, სხვადასხვა სფეროში კარტელურ გარიგებებს უნდა იკვლევდეს ანტიმონოპოლიური სამსახური.

„მე სავსებით ბუნებრივად მეჩვენება და არ გამოვრიცხავ, რომ ჩვეულებრივად ასეთი უკონტროლო სიტუაციით, როცა ანტიმონოპოლიური რეგულაცია რეალურად არ მუშაობს, სრულიად შესაძლებელია ისარგებლონ კომპანიებმა, დემპინგურ ფასზე შეთანხმდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე მოთხოვნა მაღალია, მაინც შეძლონ ფასის ხელოვნურად დაგდება. ღვინის ეროვნული სააგენტო ვერანაირად ვერ დაარეგულირებს ამ საკითხს, ვერ ჩაერევა ფასებში. ერთადერთი ვინც შეიძლება ეს გააკონტროლოს, არის ანტიმონოპოლიური სამსახური, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეს სამსახური რეალურად არ არსებობს ჩვენს ქვეყანაში. ქაღალდზე არის, მაგრამ რეალურად არ არსებობს. თავისუფალი კონკურენციის შესახებ კანონი გვაქვს, კონკურენციის სააგენტო შექმნილი გვაქვს, დანიშნულია ამ სააგენტოს ხელმძღვანელი, რომელიც ხელფასს იღებს, მაგრამ ეს სააგენტო არ მუშაობს, რადგან ნორმატიული აქტები, რომლის საფუძველზეც უნდა გამოვლინდეს მონოპოლისტური მდგომარეობა, რომლითაც უნდა გამოვლინდეს კარტელური შეთანხმებები, როგორ ხდება დემპინგური ფასის ბაზარზე დადგენა, ეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ გვაქვს. ისეთი სიტუაციაა, ავტომობილი გვყავს და ბენზინი არ არის ჩასხმული“, – აღნიშნავს ლევან კალანდაძე.

„კონკურენციის შესახებ“ კანონი 2014 წლის 1 ოქტომბერს უნდა ამოქმედდეს

ანტიმონოპოლიური სამსახური საქართველოში 2005 წელს გაუქმდა. მას შემდეგ კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობა აღარ ხორციელდებოდა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოთხოვნის თანახმად, საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 8 მაისს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო. იმავე წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დაფუძნდა. თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, დაფუძნებიდან დღემდე სააგენტოს ბაზარზე კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ან ზოგადად, კონკურენციის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის არცერთი საქმის ინიცირება – მოკვლევა არ განუხორციელებია.

2014 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს კანონის პროექტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტი ანტიმონოპოლიური რეფორმის ფარგლებში შემუშავდა და მიზნად ისახავს კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებას თავისუფალი კონკურენციისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის.

კანონში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, კონკურენციის სააგენტოს აქვს უფლება, დამოუკიდებლად დაიწყოს ბაზრის ნებისმიერი სეგმენტის მოკვლევა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ სფეროში კონკურენციის შეზღუდვის ნიშნები. ეუგეორგია.ინფო-ს ინფორმაციით, სააგენტოს აქვს უფლება, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე კომპანიის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება აღკვეთოს და კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში კანონდამრღვევს სანქციაც დააკისროს.

დაზუსტდა ჯარიმის ოდენობაც. ანტიკონკურენტული ქცევის შემთხვევაში კომპანიისთვის დაკისრებული ჯარიმა წინა ფინანსური წლის განმავლობაში კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს არ უნდა აღემატებოდეს. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დარღვევას არ აღმოფხვრის და კანონს განმეორებით დაარღვევს, სააგენტო უფლებამოსილია ჯარიმის ოდენობა კომპანიის წლიური ბრუნვის 10%-მდე გაზარდოს. კანონის თანახმად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის შედეგად სხვა კომპანიისთვის მიყენებული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე.

სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობისა და ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფისთვის კანონი მკაცრად ადგენს გადაწყვეტილების მიღების დროსაც – სააგენტომ გადაწყვეტილება მოკვლევის დაწყებიდან 3 თვის ვადაში უნდა გამოიტანოს.

„კონკურენციის შესახებ“ კანონი 2014 წლის 1 ოქტომბერს უნდა ამოქმედდეს. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარედ პრემიერ-მინისტრმა 2014 წლის 15 აპრილს გიორგი ბარაბაძე დანიშნა. ამჟამად სააგენტოში კანონქვემდებარე აქტები მუშავდება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

განცხადებები

● ვართ გამოცდილი სპეციალისტები სამშენებლო დარგში: სანტექნიკა, ელექტრობა, დემონტაჟი, კაფელ-მეტლახი, შეკიდული ჭერები. ტელ: 514-350-440.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გაბშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

TV პროგრამა

ორშაბათი 15 სექტემბერი

08.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ანიმალია" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი" მწარე ცხოვრება**" **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" **23.00** მხ/ფ "**დედა წყვდიადი**" (ნ.ნოლტი) **01.10** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მონრეალი" ტორონტო" **09.00** მხ/ფ "**სვავებს შორის**" **10.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ახალი ზელანდია" **11.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" – ბრძოლა გადარჩენისთვის **12.00** მხ/ფ "**მონსტრები დღეს**" **13.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "დიდებული დუნაი" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" - პ/გ "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" (პ/ე) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. "**შურისმაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**სიყვარული" ცა და მიწა**" **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში 2**" **00.00** მხ/ფ "**კარლიტოს გზა**" (შ.პენი) **01.20** მხ/ფ "**როგორ გიპოვე შენ**" (მ.ბროდერიკი)

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**კარადაი**" **22.00** გააცინე და მოიგე **23.30** სერ. "**დეტექტივები**" **00.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.30** სერ. "**ჭამი ყვავილობისა**" **01.00** სპორტ ტაიმი - დაწყება **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

08.00 მუსიკა **09.00 17.00** **სერიალი "ლენა"** **10.00 18.00** **სერიალი "მენტალისტი"** **11.00, 15.00, 00.15** მხ/ფ **12.30, 16.30, 19.30** გკიფტ თეწკშუთ **13.00, 21.00** **სერიალი "ინტერესის ობიექტი"** **14.00** სტილის სამყარო **19.00** პეპლის ეფექტი **20.00** დ/ფ **22.00** ქეშ **23.45** პოპკორნი **02.50** მუსიკა

06.10 საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" **13.30** კონცერტი - ჯანო ბაგრატიონის საღამო **15.05** სალბუნი **15.25** სპექტაკლი - "**ძველი ვალსი**" **17.20** დეკორატიული ფლორა **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მევლუდი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** ღირსი ასურელი მამა ისიდორე სამთავნელი **22.25** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" შ ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ისტორია ეპილოგის გარეშე" ნიკო ნიკოლაძე **00.05** სიახლენი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" შ ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**კატის თვალი**" **8.10** ფარული კამერა **8.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07** **სერიალი "ქუჩები და გულები"** **19.03** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან" **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40** **სერიალი "რთული გზა"** **3.20** ბრძოლა წესების გარეშე

სამშაბათი 16 სექტემბერი

08.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **09.00** ან/ფ "ანიმალია" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი" მწარე ცხოვრება**" **14.00** "გურმანია" **14.30** დ/ფ "ფოტოხელოვნება" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტური. (პ/რეპ) **00.40** მხ/ფ "**ტიბერიო მიტრი" ჩემპიონი და მის იტალია**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა" -პ/გ "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" **11.00** დ/ფ "ზვერები ლაბორატორიაში" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" - პ/გ "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. "**შურისმაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**სიყვარული" ცა და მიწა**" **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში 2**" **00.00** მხ/ფ "**მსხვილი**" (ნ.კინსკი) **01.55** მხ/ფ "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული** (ტიტ)

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**კარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **23.30** სერ. "**დეტექტივები**" **00.00** სოციალური ცელი **00.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

08.00 მუსიკა **09.00 17.00** **სერიალი "ლენა"** **10.00 18.00** **სერიალი "მენტალისტი"** **11.00, 22.00, 00.15** მხ/ფ **12.30, 16.30, 19.30** გკიფტ თეწკშუთ **13.00, 21.00** **სერიალი "ინტერესის ობიექტი"** **14.00** სტილის სამყარო **15.00** ქეშ **19.00** კიბერჰაუსი **20.00** დ/ფ **23.45** პეპლის ეფექტი **02.20** მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **07.35** მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" შ ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "ისტორია ეპილოგის გარეშე" ნიკო ნიკოლაძე **11.10** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" შ ნაწ. **11.35** პატერიკი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ "**მევლუდი**" **13.30** კონცერტი -გოგი გელოვანის სახ. ხალხური მუსიკის ფესტივალი **15.05** სალბუნი **15.25** მხ/ფ "**მოზიდიკი**" შ-შშ სერ. **17.20** დეკორატიული ფლორა **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.15** მოკ./ფ "**ბაკულას ლორები**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.35** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" შშ ნაწ. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" შშ ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**კატის თვალი**" **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"გ/ჩ **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07** **სერიალი "ქუჩები და გულები"** **19.03** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40** **სერიალი "რთული გზა"** **3.00** ახალი ამბები **3.20** ბრძოლა წესების გარეშე

ოთხშაბათი 17 სექტემბერი

08.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ანიმალია" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი" მწარე ცხოვრება**" **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტური. **00.40** მხ/ფ "**ტიბერიო მიტრი" ჩემპიონი და მის იტალია**"

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. "**შურისმაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**სიყვარული" ცა და მიწა**" **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 2**" **23.00** სერ. "**შუა ქალაქში 3**" **1** სერ. **00.00** მხ/ფ "**ლოკაუტი**" (მ.გრეისი) **01.45** მხ/ფ "**თავშესაფარი**"

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**კარადაი**" **22.00** "ნანუკას შოუ" - დაწყება **23.30** სერ. "**დეტექტივები**" **00.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.30** კიმონო - დაწყება **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერიჰ დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. (ტიტ.)

08.00 მუსიკა **09.00 17.00** **სერიალი "ლენა"** **10.00 18.00** **სერიალი "მენტალისტი"** **10.55, 15.00, 22.00, 00.30** მხ/ფ **13.05, 21.00** **სერიალი "ინტერესის ობიექტი"** **14.00** სტილი **16.30, 19.30** გკიფტ თეწკშუთ **19.00** ვარსკვლავთა ცხოვრება **20.00** დ/ფ **00.00** კიბერჰაუსი **02.30** მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" შშ ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ "**ბაკულას ლორები**" **13.45** კონცერტი - ელისო ბოლქვაძე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** სალბუნი **15.25** მხ/ფ "**მოზიდიკი**" შშშ სერია **16.15** დეკორატიული ფლორა **16.30** დიდ ხარ შენ, უფალო **16.45** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ "**ვედრება**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.15** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" შშშ ნაწ. **23.40** წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" შშშ სერ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**კატის თვალი**" **8.15** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07** **სერიალი "ქუჩები და გულები"** **19.03** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40** **სერიალი "რთული გზა"** **3.20** ბრძოლა წესების გარეშე

ხუთშაბათი 18 სექტემბერი

08.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **09.00** ან/ფ "ანიმალია" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი" მწარე ცხოვრება**" **14.00** "გურმანია" **14.30** დ/ფ "სამეფო სასტუმრო" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "არენა" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**დილით გნახავ**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" **11.00** დ/ფ "სპუტნიკის წლები" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" "თავისუფალი დემოკრატები" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. "**შურისმაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ) **14.40** სერ. "**სიყვარული" ცა და მიწა**" **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში 3**" **2-3** სერ. **00.00** მხ/ფ "**ემპაიერ სთეითი**" (დ.ჯონსონი) **01.45** მხ/ფ "**მეტსახელად "მწმენდავი**" (მ.დაკასკოსი)

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**კარადაი**" **22.00** პროფილი - დაწყება **23.30** სერ. "**დეტექტივები** **00.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

08.00 მუსიკა **09.00 17.00** **სერიალი "ლენა"** **10.00 18.00** **სერიალი "მენტალისტი"** **11.00, 15.00, 22.00, 00.30** მხ/ფ **12.30** გკიფტ თეწკშუთ **13.00, 21.00** **სერიალი "ინტერესის ობიექტი"** **14.00** სტილის სამყარო **19.00** დროის მანქანა **19.45** მინიპედია **20.00** დ/ფ **00.00** ვარსკვლავთა ცხოვრება **02.00** მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**"შშშ სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ჩვენი ფონდი **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ვედრება**" **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** კონცერტი -ეკა მამალაძე **15.05** სალბუნი **15.20** მხ/ფ "**მოზიდიკი**" შმ სერ. **16.05** დეკორატიული ფლორა **16.20** დიდ ხარ შენ, უფალო **16.35** კონცერტი - ფოლკლორის სკოლა **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკ./ფ "**კუზხი ბედინერი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ღირსი მამა ილარიონ ქართველი **22.25** "დრო და ტრადიციები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" შმ-მ ნაწ. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" შმ ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**კატის თვალი**" **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **10.05** სერიალი „სიყვარული და ღირსება/(შ) **11.05** სერიალი „სიყვარული და ღირსება/(შ) **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07** **სერიალი "ქუჩები და გულები"** **19.03** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40** **სერიალი "რთული გზა"** **3.20** ბრძოლა წესების გარეშე

პარასკევი 19 სექტემბერი

08.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ანიმალია" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი" მწარე ცხოვრება**" **14.00** "შემოძახილი" **14.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: შ სტუდია **23.30** მხ/ფ "**შორს**" (ნ.კიდმანი) **01.45** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა "თავისუფალი დემოკრატები" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" - პ/გ "ეროვნული ფორუმი" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. "**შურისმაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**სიყვარული" ცა და მიწა**" **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45** სერ. "**ღირსების საქმე**" **19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** რეაქცია **00.00** მხ/ფ "**ციხე**" (ს.სტალონე) **02.00** მხ/ფ "**წლის მამაკაცი**"

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**კარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ქერის უბანი **22.30** ვანოს შოუ **23.30** სერ. "**დეტექტივები**" **00.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**"(გ/ჩ) **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

08.00 მუსიკა **09.00 17.00** **სერიალი "ლენა"** **10.00 18.00** **სერიალი "მენტალისტი"** **11.00, 15.00, 22.00, 00.30** მხ/ფ **12.50** მინიპედია **13.00, 21.00** **სერიალი "ინტერესის ობიექტი"** **14.00** სტილის სამყარო **19.00** პოპკორნი **19.30** გკიფტ თეწკშუთ **20.00** დ/ფ **23.45** დროის მანქანა **02.10** მუსიკა

06.10 საგალობელი **06.15** მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" შმ ნაწ. **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "დრო და ტრადიციები" **10.05** ღვთის სახლი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ "**კუზხი ბედინერი**" **13.25** კონცერტი - ნიჭიერთა ათწლედი **15.05** სალბუნი **15.25** მხ/ფ "**მხოლოდ ერთხელ**" **16.25** დეკორატიული ფლორა **16.40** დიდ ხარ შენ, უფალო **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ჩიორა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" მშ ნაწ. **23.35** წმინდა მაქსიმე აღმსარებელი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**კილიმანჯაროს თოვლიანი მთა**"

მაესტრო

7.00 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**კატის თვალი**" **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"გ/ჩ **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07** **სერიალი "ქუჩები და გულები"** **19.03** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **21.00** მაესტროს "ცხრიანი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40** **სერიალი "რთული გზა"** **3.20** ბრძოლა წესების გარეშე

შაბათი 20 სექტემბერი

08.00 ან/ფ "ანიმალია" **09.00** მხ/ფ "**რთული ბავშვი**" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი" მწარე ცხოვრება**" **13.30** "სპექტაკლის დრო" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" **16.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.00** მხ/ფ "**ჯუნიორი**" **22.00** მხ/ფ "**მას სიკვდილი უხდება**" (გ.ჰოუნი) **23.40** მხ/ფ "**სექსი დიდ ქალაქში**" **01.40** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი"

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა "თავისუფალი დემოკრატები" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" – პლანეტები **13.00** მხ/ფ "**ტყუპები**" **15.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" მე-6 ნაწ. **17.00** "უნივერსიტეტი" **18.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" – ჟიულ ვერნი **19.00** "ეპიცენტრი" (პ/ე) **20.00** მხ/ფ "**ბრიჯიტ ჯონსის დღიური**" **22.00** ტ/სერ. "**კრიმინალური სეზონი**" **23.00** მხ/ფ "**ცხოვრება" როგორც სახლი**"

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**განძთა კუნძული**" 1 ნაწ. **10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00, 22.00** სერ. "**შუა ქალაქში 3**" **3-4** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.35** ორი ვარსკვლავი **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ "**პარანოია**" (რ.დრეიფუსი) **01.50** მხ/ფ "**უკვდავი კალასი**" (ჯ.აირონსი)

08.00 კურიერი. დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ - ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ნანუკას შოუ **18.40** ვინ დაამარცხებს ვასოს **19.40** იღბლიანი ბორბალი **22.00** ქ.მხ/ფ "**ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი**" **23.30** რა? სად? როდის? - დაწყება **00.30** სერ. "**დეტექტივები**" **01.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **01.30** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ.

08.00 მუსიკა **09.00 17.00** **სერიალი "ლენა"** **10.00 18.00** **სერიალი "მენტალისტი"** **11.00, 14.00, 21.00** დ/ფ **12.00, 15.00, 19.00, 22.00, 00.45** მხ/ფ **16.45** მინიპედია **20.30** გკიფტ თეწკშუთ **02.25** მუსიკა

06.10 საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** დ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ "**ჩიორა**" **13.30** საღვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - "**დონ ჟუანი**" მაყვალა ქასრაშვილი **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** წმინდა დიდმოწამე ქეთევანი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "დაკარგული მონასტრები" **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**მუსიკის ჰანგები**" შ ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**მებრძოლი**" **9.00** **სერიალი "ასი"** **9.55, 14.55, 17.55** კვირის აზრები **10.00** გადაცემა "იდ"(გ/ჩ) **10.30** სამედიცინო გადაცემა" პულსი" **11.00** ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა **12.00, 13.00, 14.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 13.00, 14.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა „60 კითხვა ინტერიერში" **13.10** მხ/ფ "**მდინარის შემობრუნება**" **15.30** მხჰფ "**ხარება და გოგია**" **18.40** **სერიალი "ქუჩები და გულები"** **20.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **21.00** თოქ-შოუ სუბიექტური აზრი **22.00** **სერიალი "რვაფეხა"** **23.00** მხჰფ "**ელი პარკერი**" **1.20** მხჰფ "**სხეული**" **3.40** **სერიალი "რთული გზა"**

კვირა 21 სექტემბერი

08.00 ან/ფ "ანიმალია" **09.00** მხ/ფ "**ვილის გათავისუფლება**" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი" მწარე ცხოვრება**" **13.30** ქართ. მხ/ფ "**წკიპურტები**" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.00** **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "**დინამო**" –

"**კოლხეთი**" **20.30** "ტელებლოგი" **22.00** კონცერტი: **არჩილ კერესელიძის** საღამო ჯ. კახიძის ცენტრში **23.30** მხ/ფ "**ნილაბი**" **01.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

08.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" – ჟიულ ვერნი **09.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** მხ/ფ "**ფიფქია**" **11.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "მადაგასკარი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) **19.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **20.00** მხ/ფ "**ბრიჯიტ ჯონსის დღიური-გონიერების ზღვარი**" (ჰ.გრანტი) **22.00** ტ/სერ. "**კრიმინალური სეზონი**" **23.00** მხ/ფ "**მაგარი პოლიციელები**" (ბ.უილისი)

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" **09.00** მხ/ფ "**განძთა კუნძული**" 2 ნაწ. **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ბასტი ბუბუ **12.00, 22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში 3**" **4-5-6** სერ. **13.00** უქშკპუტსნ სასწრაფო დახმარება **14.35** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **16.30** იდენტიფიკაცია **17.35** იმედის გმირები **17.50** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" 5-6 სერ. **20.40** იუმორინა **00.00** მხ/ფ "**გატაცებული**" (ჯ.ლუკასი) **01.40** მხ/ფ "**შეშლილი სავსერაზმი**" (ი.მაკგრეგორი)

08.00 კურიერი. დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.00** "სახლი" **10.30** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** ქერის უბანი **14.30** სოციალური ცელი **15.30** პროფილი **18.40** ექიმები **19.40** გააცინე და მოიგე **21.00** ზყთყ **22.00** კომედი შოუ **23.30** სერ. "**დეტექტივები**" **00.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **01.00, 03.30** მხ/ფ.

08.00 მუსიკა **09.00 17.00** **სერიალი "ლენა"** **10.00 18.00** **სერიალი "მენტალისტი"** **11.00, 14.00** დ/ფ **12.00, 15.00, 19.00, 22.00, 00.30** მხ/ფ **13.45** მინიპედია **16.30** გკიფტ თეწკშუთ **20.30** **გკიფტ თეწკშუთ** **21.00** ჯიდიპედია **02.40** მუსიკა

06.10 საგალობელი **06.20** დ/ფ "დედაო ღვთისა" **06.45** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** გამოყენებითი ხელოვნება **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** დ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**იავნანა**" **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** "ჩვენი ამბავი" **19.35** მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" **21.30** ინდიქტიონი **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "საუფლონი" ტაძარი პირმეტყველი **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ "**მუსიკის ჰანგები**" შშ ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**კატის თვალი**" **9.00** **სერიალი "ასი"** **10.00** ჟურნალისტური გამოძიება "მონიტორი"გ/ჩ **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** უცნობი ისტორიები **11.30** გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში"(გ/ჩ) **11.55, 13.05, 14.55, 17.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "იდ" **13.55** **სერიალი "რვაფეხა"** **15.20** მხჰფ "**მონანიება**" **18.30** ჟურნალისტური გამოძიება "მონიტორი" **19.00** **სერიალი "ქუჩები და გულები"** **20.15** SV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **21.00** ვახო სანაიას რეპორტაჟი **22.00** **სერიალი "რვაფეხა"** **23.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **0.00** მხჰფ "**სუპერანდროიდი**" **2.20** **სერიალი "რთული გზა"** **3.40** ფარული კამერა

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით



კალეიდოსკოპი მინესოტაში ყველაზე დიდი პომიდორი გამოიყვანეს

მინესოტას მცხოვრებმა დენ მაკკოიმ მსოფლიოში ყველაზე დიდი პომიდორი გამოზარდა. მისმა წონამ დაახლოებით 3,8 კილოგრამი შეადგინა. ფერმერს იმედი აქვს, რომ გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები დააფიქსირებენ მის რეკორდს. მაკკოიმ თავის რეკორდული წონის პომიდორს დიდი ზაკი დაარქვა.

პომიდვრის საკონტროლო აწონა ორგანიზაცია „დიდი გოგრის თანამეგობრობის“ წარმომადგენლების თანდასწრებით განხორციელდა, რომელიც ყოველწლიურად ფერმერთა შორის ატარებს შეჯიბრებას ყველაზე დიდი ხილისა და ბოსტნეულის გამოსავლენად.

იმისათვის, რომ რეკორდული წონის პომიდვრის ბუჩქი არ დაემტვრია, მან გიგანტური ბოსტნეული მეუღლის კოლგოტით მიაბა. მაკკოიმ აღნიშნა, რომ გიგანტური პომიდვრის თესლის ნაწილს სხვა ფერმერებს დაურიგებს, ხოლო ნაწილს საქველმოქმედო აუქციონზე გაიტანს, რომელსაც „დიდი გოგრის თანამეგობრობა“ მართავს. ის მომავალი წლის მარტში გაიმართება.

ადრე ყველაზე დიდ პომიდვრად 1986 წელს ფერმერ გორდონ გრემის მიერ ოკლაჰომაში მოყვანილი პომიდორი ითვლებოდა, რომლის წონამ 3,5 კილოგრამი შეადგინა.

დანიელმა მეთევზემ გიგანტური ცისფერი მარლინი დაიჭირა

დანიელმა მეთევზემ გიგანტური ზომის ცისფერი მერლინი დაიჭირა, რომლის წონამ 488 კილოგრამი შეადგინა. თომას პეტერსენ ელდორი ატლანტის ოკეანეში აზორის კუნძულების სიახლოვეს ანკესით თევზაობდა.

იმისთვის, რათა მარლინი გემბანზე ამოეთრია, ელდორს თითქმის სამი საათი დასჭირდა. მისი თქმით, ის ჩვეულებრივ დაჭერილ თევზებს, ისევ ოკეანეში უშვებს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადაწყვიტა, რომ მარლინი აღარ გაეშვა და წამოეყვანა.

თომასმა ასევე განაცხადა, რომ გიგანტური თევზისგან ფიტულის გაკეთებას აპირებს.

ატლანტიკური ცისფერი მარლინები მარტო ცხოვრობენ და მათი ზომებიდან გამომდინარე ბუნებრივი მტრები არ ჰყავთ. ისინი ხშირად სპორტული თევზაობის ობიექტს წარმოადგენენ, თუმცა ჩვეულებრივ უფრო მცირე ზომის მარლინებს იჭერენ. ყველაზე მსხვილი მარლინის წონა, რომელიც კი ოდესმე ანკესით დაუჭერიათ, 636 კილოგრამს შეადგენდა.

ქალაქის მერიიდან ათი ტონა სკინტლი გაიტანეს

ბელგიის ქალაქ ტიენენის მერიის შენობის სხვენიდან მუშებმა ათი ტონა მტრედების სკინტლი გაიტანეს. ფრინველები მრავალი ათეული წლის განმავლობაში ბინადრობდნენ შენობაში, რომელიც ჯერ კიდევ XVII საუკუნეშია აშენებული. ქალაქის ადმინისტრაციამ შენობის ჭერის ჩამონგრევის საფრთხის გამო გადაწყვიტა მისი დასუფთავება.

ქალაქის საბჭოს წევრმა კეტრინ პარტიკამ განაცხადა, რომ ფრინველების სკინტლს შენობა არ დაუზიანებია და ის კვლავაც შესანიშნავ მდგომარეობაშია. თუმცა, მისი თქმით, თუ იმ დროისთვის, როდესაც შენობის გასუფთავება დასრულდება, აღმოჩნდება, რომ შენობას შეკეთება სჭირდება, ის აუცილებლად შეკეთდება.

ტიენენში, რომელიც ქვეყნის ფლამანდრიის ბარბანტის პროვინციაში მდებარეობს, თითქმის 32 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ქალაქი ცნობილია, როგორც ქვეყნის შაქრისა და ღიმონმჟავის წარმოების ცენტრი.

ირლანდიაში სახლში 100 შხამიანი ობობა აღმოაჩინეს

ირლანდიის ქალაქ კარლოუში ზოოლოგებმა მიტოვებულ სახლში 100-ზე მეტი შხამიანი არსება აღმოაჩინეს. შენობაში ბინადრობდნენ ობობები სახელად „შავი ქვრივი“, ტარანტულები და მორიელები. სახლის ადრინდელი მფლობელი რამდენიმე წლის მანძილზე ინტერნეტის საშუალებით ყიდულობდა შხამიან არსებებს. მიტოვებულ სახლში აღმოჩენილი არსებები ლაბორატორიაში გადაიყვანეს. მას შემდეგ, რაც შხამიან არსებებს შეისწავლიან, ზოოლოგები იმ არსებებს გაანადგურებენ, რომლებიც ადამიანისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ.

რატომ მიატოვა სახლი მისმა ყოფილმა მფლობელმა და თუ რა სასჯელია გათვალისწინებული შხამიანი არსებების გამრავლება-შენახვისთვის, უცნობია.

კარლოუ ამავე სახელწოდების საგრაფოს ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს, რომელიც ირლანდიის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ქალაქში დაახლოებით 21 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„მარად უკვდავი სიყვარული“ ისტორიის მუზეუმშია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში გამოფენა „მარად უკვდავი სიყვარული“ გაიხსნა, რომელიც ია არსენიშვილის შემოქმედებას აერთიანებს.

– ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ია არსენიშვილის მიერ შექმნილი ზეთისა და ბატიკის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები. მიუხედავად სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიისა, მის ნამუშევრებში იგრძნობა ის ერთიანობა, რომელიც ასახავს მხატვრის დამოკიდებულებას სამყაროსა და მარადიული სიყვარულის თემის მიმართ. ია არსენიშვილი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულია. იგი მხატვართა კავშირის წევრი გახლავთ. საქართველოს მხატვართა კავშირმა იგი დააჯილდოვა როგორც „წლის საუკეთესო მხატვარი – საუკეთესო ნამუშევრისთვის,“ ხოლო მერიის კულტურის სამსახურმა პროფესიონალის წოდება მიანიჭა. ია არსენიშვილი აქტიურად თანამშრომლობს გალერეა „ფიროსმანთან“, რომელიც ქალაქ სტამბულში მდებარეობს. გამოფენაზე მხატვრის ნამუშევრები სრულად არის წარმოდგენილი. ექსპოზიცია, რომელიც საზოგადოების ყურადღებას დახვეწილი ტექნიკითა და ხედვით იპყრობს, ავტორის ტრაგიკულად გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნას ეძღვნება, – განუცხადა „ახალ თაობას“ ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

სამგლოვიარო განცხადებები

ნური ხომასურიძის ხსოვნას

ამ ზაფხულს ქართველ მექანიკოსთა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის მედლის მფლობელი ნური ხომასურიძე, ცნობილი მეცნიერი მკვლევარი მექანიკის დარგში და ახალგაზრდა მკვლევართა არაერთი თაობის აღმზრდელი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ გამოყენებითი მექანიკის სხვადასხვა დარგში.

აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბებული და შემდეგ უკვე მსოფლიოში ცნობილი ქართული სკოლის (ვ. კუპრაძე, ი. ვეკუა, ა. ბიწაძე, მათი მოწაფეები და მიმდევრები) შედეგებზე დაყრდნობით მან შეძლო პრაქტიკული გამოყენებისათვის მნიშვნელოვანი მექანიკის მთელი რიგი ამოცანების ეფექტური ამოხსნა.

ნური ხომასურიძის ინტელექტუალური და ფიზიკური ძალა, ვაჟკაცური გარეგნობა და, რაც მთავარია, თავდადება და ერთგულება მეცნიერებისადმი, ის უდრეკელობა, რომლითაც თითქმის ათი წელი ებრძოდა უკურნებელ სენს კალმით ხელში, სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და ნაცნობ-მეგობრების მეხსიერებაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში საქართველოს ეროვნული კომიტეტი

საქართველოს მექანიკოსთა კავშირი

შენ ისევ მოხვალ

ამ 40 დღის განმავლობაში შენი ქველმოქმედების წყალობით, აღბათ, ბევრი დაბრკოლება გადალახე და სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრე. მადლობა უფალს!

„ჩვენი კლასი ზაური“ – ასე იყო დახასიათებული შენი პიროვნება სკოლის დამთავრების 50 წლის იუბილეზე თანაკლასელებისადმი მიძღვნილ ლექსში. მართლაც, გამორჩეული იყავი ჩვენ შორის შენი ერუდიციით, მიზანსწრაფულობითა და საქმიანობით. წელს, სკოლის დამთავრების 55 წლის ზეიმზე, ინტერვიუში გამოთქვი სურვილი, რომ აღგვენიშნა სკოლის დამთავრებიდან 60 წლისთავიც... ე.ი. ხუთი წლის შემდეგ ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, ზაურ! შენთვის სუფრასთან აუცილებლად იქნება სკამი და ძველებურად მოგართმევთ სამახსოვრო საჩუქარს. ჩვენ გვჯერა, რომ შენ ისევ მოხვალ ჩვენთან, დატკბები ზეიმზე ყოფნით და კვლავ იტყვი ხმამაღლა: თქვენ გაგახარათ ღმერთმაო.

ზაურ ლაბარტყავას თანაკლასელები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. რაიმეს გარდაქმნა, შეცვლა; 2. მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 3. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 5. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 7. პოლონელი კომპოზიტორი, დიპლომატი; 9. საფეხბურთო, სარაგბო სტადიონი კარდიფში; 13. ხვიარა მცენარეებით გამწვანებული ფანჩატური პარკებში; 15. ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილებში, ჭაობში, მთებში; 16. იოსებ სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი; 18. ნავსადგური ისრაელში.

თარაზულად: 4. ტურისტთა, მოგზაურთა გზამკვლევი ცნობარი; 6. ფრანგული ლიქიორი; 8. მდინარეების შემსწავლელი ჰიდროლოგიის ნაწილი; 10. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 11. ზღვის სიღრმის გასაზომი ხელსაწყო; 12. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 14. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 17. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 19. დახშული ზედაპირის მქონე ბურთისებრი სხეული; 20. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 21. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 22. მუზეუმი ბერლინში; 23. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გამბრინუსი; 2. ლოპოტა; 3. ბომარშე; 4. ტანგო; 5. ჟურფიქსი; 6. „პიეტა“; 7. ტოსტერი; 9. ნაზუქი; 13. პიერო; 17. ქოცო; 18. ობი.

თარაზულად: 1. „გუდვილი“; 3. ბატუტი; 8. „სულიკო“; 10. ფორმანი; 11. ფრეზა; 12. ტორსიდა; 14. ონიქსი; 15. აპენინი; 16. საქსი; 19. ქორქია; 20. „ციურიხი“; 21. მადონა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დადიანი; 2. რეციდივი; 3. ორაგული; 5. კალევალა; 7. მცონარი; 9. „მზეჭაბუკი“; 13. მისტიკა; 15. პიკასო; 16. შულერი; 18. იტილი.

თარაზულად: 4. ბარაკონი; 6. გრეიდერი; 8. ცივილიზაცია; 10. ტანდემი; 11. ეტლი; 12. ოპერა; 17. აბატი; 19. აკინი; 20. აერობუსი; 21. იოდი; 22. პორტვეინი; 23. პიცერია.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 სექტემბერი

აშშ დოლარი	— 1.7457
ევრო	— 2.2596
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	— 2.8142
100 რუსული რუბლი	— 4.7071

ამინდის პროგნოზი 13 სექტემბრისთვის

კალეიდოსკოპი

ინჟინერმა ხელქვეითს ცხვირი მოაჭამა

უდმურტიის ბალეზინის რაიონის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ერთერთი ადგილობრივი საწარმოს მთავარ ინჟინერს. მას ბრალად ედებოდა თავისი ხელქვეითისთვის ცხვირის მარცხენა ნაწილის მოჭამა. გამოძიების მასალების თანახმად, ინციდენტი მიმდინარე წლის აპრილში მოხდა, როდესაც ინჟინერი საწარმოს კუთვნილ ავტოფარეხში ალკოჰოლურ სასმელს იღებდა თავის თანამშრომელთან ერთად.

გამოძიების დროს ინჟინერმა განაცხადა, რომ ხელქვეითისთვის ცხვირზე კბენას არ აპირებდა. მისი თქმით, თანამშრომელი მას გამოეკიდა, ხოლო როდესაც დაეწია, მიწაზე წააცია და დახრჩობა დაუპირა. სწორედ ამ დროს უკბინა მას ცხვირზე უნებურად, რათა მისგან თავი გაეთავისუფლებინა.

სასამართლომ დანაშაული დააკვალიფიცირა, როგორც „ჯანმრთელობისთვის განზრახ ზიანის მიყენება“ და ინჟინერს სამი წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა ერთწლიანი გამოსაცდელი ვადით. ასევე მთავარ ინჟინერს დაზარალებულისთვის მორალური ზიანის მიყენებისთვის 10 ათასი რუბლის გადახდა მოუწევს.

გარდა ამისა, დაზარალებულმა სასამართლოს მიმართა სარჩელით. მან მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოითხოვა, რომელიც მან გასწია სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნისა და ოპერაციის გაკეთებისთვის. თუ რა თანხა დაუჯდა დაზარალებულს სამედიცინო დაწესებულების მომსახურება, უცნობია.

იაპონიაში მომხმარებლებს შავ ბურგერს შესთავაზებენ

– იაპონური ბურგერ კინგი ორი სახის შავ ბურგერს გამოუშვებს, – იტყობინება ფასტფუდის ოფიციალური ვებგვერდი. ახალი კერძის გაყიდვა მთელი ქვეყნის მასშტაბით 19 სექტემბრიდან დაიწყება. ბურგერის შემადგენლობაში იქნება შავი ფუნთუშა და მდნარი შავი ყველი. ზოგიერთი ინგრედიენტის შესაღებად კალმარის მელანს და ბამბუკის ნახშირს გამოიყენებენ.

ბურგერებს ერქმევა „მარგალიტი“ და „ალმასი“. მის შემადგენლობაში შესულ ზოგიერთ ინგრედიენტებს, მაგალითად, პომიდორს, ხახვის დაჭრილ რგოლებსა და სალათის ფოთლებს არ შეღებავენ.

იაპონიის ბურგერ კინგის ქსელების დირექტორმა განაცხადა, რომ ფასტფუდმა უჩვეულო ბურგერების გამოშვების გადაწყვეტილება მომხმარებლების „გასახალისებლად“ მიიღო.

ბურგერის „მარგალიტის“ ფასი იაპონიაში 480 იენი, ხოლო „ალმასის“ ფასი 690 იენი იქნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თბილისში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

20 სექტემბრიდან თბილისი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მასპინძელი გახდება. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 8 ოქტომბრამდე თბილისის სხვადასხვა თეატრებში ტაივანიდან, დიდი ბრიტანეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ლიტვიდან, უკრაინიდან, მაროკოდან, ფინეთიდან მოწვეულ ვარსკვლავებს და მსოფლიო შედევრებად აღიარებულ მრავალფეროვან და საინტერესო სპექტაკლებს უმასპინძლებს.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, 20 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით თბილისის ცხოვრების რითმი მნიშვნელოვნად შეიცვლება, თბილისელების ცხოვრება განსხვავებული გრაფიკით აეწყობა. 20 სექტემბრიდან მსოფლიო კულტურული რუკის აქცენტი თბილისი იქნება. ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს მოძრაობის თეატრი, გრიბოედოვის სახელობის თეატრი, კოტე მარჯანიშვილის, შოთა რუსთაველისა და სამეფო უბნის თეატრები უმასპინძლებს. მაროკოს დასის წარმოდგენა „დასარტყამ ინსტრუმენტთა შოუ“ ქუჩაში, ძველ თბილისში, მეიდანზე გაიმართება.

ეკა მაზმიშვილი, *ფესტივალის დამაარსებელი:*

– თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2009 წელს დაარსდა ქალაქ თბილისის მერიის ინიციატივით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. 5 წლის განმავლობაში თბილისის საერთაშორისო ფესტივალმა უმასპინძლა 77 კომპანიას შემდეგი ქვეყნებიდან. საერთაშორისო პროგრამაში წარმოდგენილი იყო 120 სპექტაკლი, ქართული სპექტაკლების პროგრამაში 170 სპექტაკლი.

ჩვენი ფესტივალის მისიაა თბილისისა და საქართველოს კულტურული ცხოვრების გამდიდრება.

ფესტივალი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. მისი პოლიტიკისა და პროგრამის ჩამოყალიბებაზე ზრუნავს ფესტივალის დირექტორი მრჩეველთა საბჭოსთან ერთად. ფესტივალის პროგრამის განხორციელებაზე მუშაობს ფესტივალის სამუშაო ჯგუფი 10 ადამიანის შემადგენლობით და მოხალისეების გუნდი. წელს მე-6 ფესტივალს, მეექვსე „სიცოცხლეს“ წარვადგენთ, თბილისი უკვე მეექვსედ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს უმასპინძლებს!

– რით არის გამორჩეული ეს ფესტივალი?

– თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი არა მარტო საუკეთესო და ლეგენდარული სპექტაკლებისა და პერფორმანსების წარდგენის შესაძლებლობაა, არამედ გამოწვევის, დისკუსიისა და კამათის მცდელობა, დიკუსიისა საკუთარ თავთან, მეგობართან, საზოგადოებასთან, კამათისა და დისკუსიის, რომელიც პატარა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს აზრებსა და სურვილებზე. კამათისა და დისკუსიის, რომელიც ახალ აზრს ბადებს. ფესტივალი მუდმივი პროცესია, კომუნიკაციის განსხვავებული, განსაკუთრებული საშუალება!

– აქტიურობს მაყურებელი?

– 5 წლის განმავლობაში ჩვენ გვყავდა 40.000-ზე მეტი მაყურებელი, მსოფლიოში ცნობილი, ლეგენდებად ქცეული თეატრები და მსახიობები, ისევე როგორც ისინი, ვინც ჯერ კიდევ იწყებს საერთაშორისო ცხოვრებას.

– ქართული სპექტაკლების პროგრამა რას მოიცავს?

– ჯორჯიან შოუქეისი ქართული სპექტაკლების პროგრამაა. ის 2 ოქტომბერს ადიწყება და 8 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება. ქართული სპექტაკლების პროგრამა ეს არის ფესტივალის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ქართული სპექტაკლების პროგრამა გასული სეზონის შეჯამებაა.

– ფესტივალის გახსნის პატივი რომელ თეატრს მიანიჭეთ?

– ფესტივალს რუსთაველის თეატრში გახსნის სპექტაკლი „მოხეტიალეთა სიმღერები“. მასში მონაწილეობენ ტაივანი-ჩინეთის ცეკვის თეატრი „ღრუბლის კარიბჭე“ და ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „რუსთავი“. სპექტაკლის დამდგმელებმა ძალიან ბევრი იშრომეს იმისთვის, რომ იმ სიმღერების სამყაროში მოხვდე, რომელიც სპექტაკლშია გაერთიანებული. „მოხეტიალეთა სიმღერები“ საერთაშორისო პროგრამაშია წარმოდგენილი. ეს არის თანამედროვე ცეკვა, რომლის



ქორეოგარფია ლინ ჰვაი-მინი, 90 წუთიან სპექტაკლში ჟღერს ქართული ხალხური სიმღერა ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით. წარმოდგენის მსვლელობისას 90 წუთის განმავლობაში, სცენის კუთხეში გაუნძრევლად მდგარ მწირს გაპარსულ თავზე წვიმასავით ეყრება ბრინჯის მარცვლების მოცემციმე ნაკადი. ოქროსფერი ბრინჯის მარცვლები სცენაზე გარდაიქმნებიან ხან მდინარედ, ხან გორაკებად, ხან კი უდაბნოდ. ბრინჯის ნაკადი კი ქმნის ზაფხულის წვიმის და ჩანჩქერის შთაბეჭდილებას. ამ ფონზე, დაძონძილ სამოსში გამოწყობილ მოცეკვავეებს, რომელთაც ხელში გრძელი ჯოხები უჭირავთ, მივყავართ მომლოცველთა მოგზაურობაში. 2011 წლიდან სპექტაკლი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმოდგენილი იქნა ანსამბლ „რუსთავის“ ცოცხალი შესრულების თანხლებით. თეატრის გასტროლი დაფინანსდა ჩინეთის რესპუბლიკის (ტაივანის) კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების გრანტით. „ღრუბლის კარიბჭე“ ცეკვის თეატრია, რომელიც ტაივანში მდებარეობს. „აზიის მოწინავე თანამედროვე ცეკვის თეატრი“, „ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ცეკვის თეატრი მსოფლიოში“, ... ამ თეატრის მსახიობებს ძალუძთ აქციონ უძრაობის ყოველი წამი ისეთივე გამომხატველად, როგორც თავად მოძრაობაა. მათ ძალა შესწევთ გავლენა მოახდინონ თქვენს ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზეც კი...“

– ასე ახასიათებენ თეატრს უცხოურ პრესაში. „ღრუბლის კარიბჭე“ უძველესი ჩინური ცეკვის სახელია. 1973 წელს ქორეოგრაფმა ლინ ჰვაი-მინმა ეს სახელი ჩინურად მოლაპარაკე საზოგადოებაში პირველ თანამედროვე ცეკვის კომპანიას მიანიჭა. ანსამბლის 24 მოცეკვავე ვარჯიშობს მედიტაციაში, ცნობილ უძველეს სუნთქვით ვარჯიშებში, საბრძოლო ხელოვნებაში, თანამედროვე ცეკვებში, ბალეტსა და კალიგრაფიაში. ლინ ჰვაი-მინის ქორეოგრაფიამ ცეკვის უძველეს ესთეტიკას თანამედროვე ელფერი შესძინა და მოძრაობის საოცარ დღესასწაულად აქცია. „ღრუბლის კარიბჭის“ საგატსროლო რუკა მრავალფეროვანია. ის მრავალჯერ იმყოფებოდა საგასტროლოდ ისეთ ცნობილ ფესტივალებსა და თეატრებში, როგორიცაა ნიუ იორკის, სედლერის თეატრსა და ბარბიკანის ცენტრში ლონდონში, მონაწილეობდა მოსკოვის ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო ფესტივალში, პინა ბაუშის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფესტივალში.

საერთაშორისო პროგრამაში გამორჩეულია სპექტაკლი „მოიტანე ბედნიერება“, რომელზეც მსახიობთა გუნდი „უხილავი ჯგუფი“ და ბრიტანული ბენდი „იმედი და ერთად ყოფნა“ მუშაობენ. ამ წარმოდგენის მიზანია აღბეჭდოს რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე ბედნიერი წუთები და სასიამოვნო მოგონებები და განათავსოს ისინი ბედნიერების რუკაზე. პირველი კოცნა, დაკარგული სიყვარული, ბავშვის მოლოდინი, ბავშვობის გმირი, ხელის თხოვნა, ცეკვა, იღბლიანი შეხვედრა, იხსენებთ სად და როდის შეგემთხვათ ეს ბედნიერი წუთები და აფასებთ ბედნიერ მომენტებს 10 ბალიანი სისტემით. „უხილავი ჯგუფის“ წევრები 3დე განზომილებაში შექმნან ქალაქის უზარმაზარ რუკას და გეპატიჟებიან მის სანახავად. რუკის დათვალიერებისას ნახავთ როდის არიან ადამიანები ბედნიერები. თქვენც, თქვენის მხრივ, გაიხსენებთ ბედნიერ მომენტებს თქვენი ცხოვრებიდან და ბედნიერების მონაცემთა ბაზას თქვენსას შემატებთ. შეგროვებული მასალა გადაიქცევა შთაბეჭდავ წარმოდგენად სახელწოდებით „მოიტანე ბედნიერება“.

საერთაშორისო პროგრამაში ასევე გამორჩეულია სლავა პოლუნინის „სლავას თოვლის შოუ“, რომლითაც პირველ ოქტომბერს გრიბოედოვის თეატრში საერთაშორისო პროგრამა დაიხურება. ეს არის ყველაზე ემოციური, თბილი და მაღალი ხარისხის სპექტაკლი, რომელსაც XX საუკუნის შედევრს უწოდებენ.

იუმორი

...

იაპონელებმა გამოიგონეს საათი, რომელიც გინების გაგონებაზე ერთი წუთით წინ მიდის. გადაწყვიტეს, თავიანთი გამოგონება გამოეცადათ. საათი იაპონურ ბარში ჩამოკიდეს. 24 საათის შემდეგ მივიდნენ და ნახეს, რომ საათი ორი წუთით წინ არის. შემდეგ ინგლისურ ბარში ჩამოკიდეს. 24 საათის შემდეგ მივიდნენ და საათი ხუთი წუთით წინ იყო წასული. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, რუსულ ბარში გამოეცადათ. 24 საათის შემდეგ მივიდნენ და ხედავენ, რომ საათი ადგილზე აღარ არის. ბარმენს ეკითხებიან:

– გუშინ აქ საათი რომ ჩამოკიდეთ, სად არის?

– რა? – კითხულობს გაკვირვებული ბარმენი, – ის რა საათი იყო?! ჩვენ ვენტილატორი გვეგონა, ვიფიქრეთ, ამ სიცივეში ვენტილატორი რაში გვჭირდებაო და გადავაგდეთ!!!

...

ორმა სომეხმა გადაწყვიტა, ქართველები გახდნენ და რჩევისთვის მკითხავთან მივიდნენ.

– მტკვარი გადაცურეთ და ქართველები გახდებით, – დაარიგა მკითხავმა.

სომხები მტკვარში ჩახტნენ და მიცურავენ. სეროჟა მეორე ნაპირზე გავიდა, საქულა კი იხრჩობა და სეროჟას ეძახის:

– მიშველე, სეროჟ, ვიხრჩობი...

– წადი შენი სომეხი დედაც... – გამოსძახა სეროჟამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯვრისწერა



შვეულად: 1. საიდუმლო დოკუმენტების დამტარებელი მთავრობის ან სამხედრო უწყების კურიერი; 2. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ფუძემდებელი; 3. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 4. ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 5. გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი; 6. შოკოლადის მწარმოებელი უძველესი ამერიკული კომპანია; 7. ყირგიზეთის დედაქალაქი; 9. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 13. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 17. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 18. სოკოვანი წარმონაქმნი საკვები პროდუქტის ზედაპირზე.

თარაზულად: 1. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე ცხენი; 3. ჩაის ფოთლის დამგრეხი მანქანა; 8. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 10. უბანი ძველ თბილისში; 11. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 12. ფრანგული სიგარეტი; 14. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 15. გერმანული ჟურნალი; 16. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 19. უღრანი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 20. ექიმის სპეციალობა; 21. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ყველამ გაითვალისწინეთ!

13 სექტემბერი – ნახმატებელი დღეა

ვერძი – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ მოემზადეთ. **კურო** – სიყვარულში გამარჯვება გელოდებათ. **ტყუპები** – სიახლე გწყურიათ, მალე ახალ ცხოვრებას დაიწყებთ. **კირჩხიბი** – გზიდან ფულსა და საჩუქრებს მიიღებთ. **ლომი** – მოულოდნელი ცვლილება სასიკეთოა, თქვენ კი ასე გეშინოდათ. **ქალწული** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – ფულის პრობლემა გაქვთ, ცოტაც მოითმინეთ. **ღრიანკალი** – გარისკავთ და მოიგებთ კიდევაც. **მშვილდოსანი** – წარსულს ვერ ივიწყებთ, არც არის საჭირო, უბრალოდ, მომავალზეც იფიქრეთ. **თხის რქა** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **მერწყული** – საკუთარ თავს გამოცდას უწყობთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თევზები** – ნუ გაფლანგავთ დროს, დრო ფულია.

14 სექტემბერი – ეს დღე ახლობლებს დაუთმეთ

ვერძი – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ, დასაჩუქრდებით. **კურო** – ფულს შოულობთ, პრობლემა არ გაქვთ. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ახალ სამსახურს შეეგუებით, ფულიც გექნებათ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – ნუ აყვებით პროვოკაციას, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ღრიანკალი** – პრობლემა მალე მოგეხსნებათ, ცოტაც მოითმინეთ. **მშვილდოსანი** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გაქვთ დანიშნული. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **მერწყული** – მთლიანობაში დამღლელი დღეა, მაგრამ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** – მეგობრების წრეში გაერთობით, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ღუმელი წითელი ყვითელი შავი